# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 31 ოქტომბერი 2000 №210 (1232) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ ზენაიშვილი

სტამბოლიდან



## ქართველების ბრმა დებიუტი



**თხუთმეტმილიონიანი** ულამაზესი სტამბოლი მრავალდღიანი გადაუღებელი წვიმის შემდეგ მცხუნვარე მზით შეხვდა ქართველ მოჭადრაკეებს. სამაგიეროდ, შესაბამისი სითბო და ყურადღება შეჯიბრების ორგანიზატორებისგან მათ არ უგრძვნიათ.

ჯერ იყო და, მასპინძელთაგან აეროპორტში არავინ აღმოჩნდა და რომ არა სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსული, ბატონი თეიმურაზ შარაშენიძე, ვინ იცის, რამდენ ხანს ალოდინებდნენ ბარგით ხელში მოსაცდელ დარბაზში. მერე სპორტსმენები დააბინავეს სასტუმროში, სადაც ნორმალური დასვენება და პარტიისთვის მზადება როგორ უნდა მოხერხდეს, არავინ იცის. ის კი არა, ნანა იოსელიანის სასტუმროში მოწყობას რვა საათი დასჭირდა.

გუნდებისთვის სასტუმროების შერჩევის პრინციპი მეტად გაუგებარია და მრავალ შეკითხვას ბადებს. ბევრ მათგანს ნამდვილად კარგი სასტუმრო შეურჩიეს, სხვებს კი ღმერთმა უწყის, სად მიუჩინეს ადგილი.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ბნელა? ბნელა! შავი კვადრატის ტური



საქართველოს ჩემპიონატი

**მეათე საკალათბურთო ჩემპიონატის აბდაუბდა დასაწყისმა გაგრძელებაც შესაბამისი ჰპოვა და ამ უქმეებზე ჩვენს კალათბურთში უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა. დენის მიწოდება შეუწყდა ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზს, რის გამოც მესამე ტურის „დინამო“ — „შევარდენი“ და მეოთხე ტურის თბილისში გასამართი სამივე მატჩი გაურკვეველი ვადით გადაიდო. მონასტერი მას შემდეგ აირია, როცა შაბათს „შევარდენის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგო იუხნელმა „დინამოსთან“ ჩაბნელებულ დარბაზში თამაში იუარა. ფედერაციამ, ბუნებრივია, დააკმაყოფილა იუხნელის მოთხოვნა და საკვირაო მატჩების სამომავლოდ გადატანაც ბრძანა**

ვითარება ერთობ ბუნდოვანია — დარბაზს ორი წელია, ელექტროენერგიის საფასური არ გადაუხდია და სადღეისოდ თელასისა 8 000 ლარამდე მართებს. შველას ქალაქის მერიისგან ელის, რადგან სწორედ ეს უწყება გახლავთ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის პატრონი. ორ ცეცხლს შუაა მოქცეული კალათბურთის ფედერაციაც, ეროვნული ჩემპიონატის ყოველმხრივ ორგანიზება ხომ მისი პრეროგატივაა. თავის მხრივ, ფედერაციას 70 000 ლარამდე ვალი აქვს ვერის ბაღისა, რადგან ოთხი წლია, დარბაზის იჯარა არ გაუსტუმრებია. ვერც გაისტუმრებდა, რადგან სპორტის დეპარტამენტისგან საამისო თანხა არ მიუღია. მთლიანობაში კი ქართული კალათბურთი ზარალდება, რადგან მეათე ეროვნულის მომავალი დიდ საფრთხეშია — ჯერ არავინ გამოჩენილა, ვინც თელასის ვალის დაფარვას იკისრებს.

გუშინ საქმეში ცეკავშირის მოუცლელი თავმჯდომარე, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გოგი ქათამაძე ჩაერია და ახლა ყველაფერი მის მარიფათზეა დამოკიდებული. თუ ყოველივე კალათბურთისთვის სასიკეთოდ გადაწყდა, მესამე ტურის „დინამო“ — „შევარდენი“ და მეოთხე ტურის ჩაშლილი მატჩები, ფედერაციის გენერალური მდივნის აკაკი მეგრელაძის თქმით, 8 ნოემბერს გაიმართება.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## 11 ტური

29 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| გორდა | 0 |
| სიონი | 0 |
| თსუ | 1 |
| ბათუმი | 3 |
| იბერია | 0 |

30 ოქტომბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ლოკომოტივი | 2 |
| მერანი | 0 |
| კოლხეთი | 1 |
| დილა | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 10 | 1 | 0 | 19:3 | 31 |
| ლოკომოტივი | 11 | 9 | 0 | 2 | 24:6 | 27 |
| დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 21:12 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 3 | 2 | 16:6 | 21 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 12:13 | 15 |
| ბათუმი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:14 | 13 |
| თსუ | 11 | 4 | 1 | 6 | 13:19 | 13 |
| სიონი | 11 | 4 | 1 | 6 | 9:10 | 13 |
| მერანი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | 13 |
| გორდა | 11 | 2 | 5 | 4 | 10:18 | 11 |
| დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 8:19 | 8 |
| იბერია | 11 | 0 | 1 | 10 | 1:23 | 1 |

# წრე დამთავრდა, რეკორდი დარჩა

ვერ გეტყვით, რა ხასიათზე დააყენებდა წინა „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიათი“ განაწყენებულ იმერეთის გუბერნატორს ამ გუნდების გუშინდელი შეხვედრა, მაგრამ ის კი შეგვიძლია ვთქვათ, ამ ფრით კმაყოფილი არც თავად ტორპედოელები დარჩებოდნენ. საქართველოს ჩემპიონმა ხელიდან გაუშვა ექსჩემპიონის ოთხგზის რეკორდის გამეორების და დამხობის შანსი — შინ უშუალო კონკურენტთან 1:1-ით მოგებათა ათმატჩიანი სერია შეუწყდა.

თასის მფლობელმა „ლოკომოტივმა“ მეორე ტაიმში გატანილი გოლებით დაამარცხა „მერანი“ და ჩემპიონთან ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირა.

ტურის მოვლენა კი უფრო კვირის მატჩებშია საძიებელი: ბოლნისში თსუ-მ „სიონს“ სძლია და პირველი წრის მინურულს რჩეულთა ექვსეულს მიუკაკუნა.



ბადრი ქოთლაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: „ლოკომოტივი“ — „მერანი“ 2:0. საჯარიმოდან კახი გოგიჩაიშვილის ოსტატურად დატრიალებული ბურთი აკაკი დევაძის (№1) ხელიდან ძელს მოხვდა, დავით ჭიჭველიშვილის დამატებულისას კი ჭვარედინს

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 001 | ბარნლი-ქრიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 24.00 | 002 | ბოლტონი-ქუინზ პარკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 003 | სუონსი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 004 | სუინდონი-კემბრიჯი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **იტალია. სერია A. მე-4 ტური** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 005 | ატალანტა-ვერონა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 006 | ბოლონია-რეჯინა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 007 | ფიორენტინა-ბარი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 008 | იუვენტუსი-უდინეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 009 | იუვენტუსი-უდინეზე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 010 | ლაციო-ბრეშა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 011 | ლაციო-ბრეშა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 012 | ლეჩე-ნაპოლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 013 | ვიჩენცა-პერუჯა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.30 | 014 | ინტერი-რომა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 015 | პარმა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| | | **იტალია. სერია B. მე-9 ტური** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 016 | კალიარი-პისტოიეზე | 1,5 | 3,4 | 7,5 |
| 18.00 | 017 | კიევო-ემპოლი | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 018 | ჩიტადელა-ტორინო | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| 18.00 | 019 | კროტონე-სამპდორია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 020 | ჯენოა-კოზენცა | 2,3 | 2,4 | 3,6 |
| 18.00 | 021 | პესკარა-ანკონა | 2,0 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 022 | სალერნიტანა-პიაჩენცა | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 023 | სიენა-ვენეცია | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 18.00 | 024 | ტერნანა-მონცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 18.00 | 025 | ტრევიზო-რავენა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. მე-8 ტური** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 00.30 | 026 | დეპორტივო-ლას პალმასი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 027 | დეპორტივო-ლას პალმასი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 20.00 | 028 | ალავესი-სოსიედადი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 20.00 | 029 | მალაგა-ოსასუნა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 20.00 | 030 | ბილბაო-სარაგოსა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 20.00 | 031 | რეალი-მალიორკა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 032 | რეალი-მალიორკა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 033 | ოვიედო-რაიო ვალეკანო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 034 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 22.30 | 035 | რასინგი-ვილიარეალი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 24.00 | 036 | ვალენსია-სელტა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 24.00 | 037 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 038 | ბარსელონა-ნუმანსია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 15.00 | 039 | ეიბარი-ბეტისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.00 | 040 | ლეგანესი-ხეტაფე | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 16.30 | 041 | უნივერსიდადი-ატლეტიკო | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 042 | კორდობა-ელჩე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 043 | ესტრემადურა-ფეროლი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 044 | სალამანკა-ხაენი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 045 | სევილია-უელვა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 20.00 | 046 | ალბასეტე-სპორტინგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 047 | მურსია-კომპოსტელა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 048 | ლეიდა-ლევანტე | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 049 | ტენერიფე-ბადახოსი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-11 ტური** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 23.00 | 050 | ჰერენვენი-სპარტა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 051 | ჰერენვენი-სპარტა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 052 | ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 053 | პსვ-ვიტესი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 054 | ვალვაიკი-უტრეხტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 055 | როდა-სიტარდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 056 | როდა-სიტარდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | **2 ნოემბერი** | | | |
| 23.00 | 057 | ფეიენოორდი-როზენდალი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 058 | ფეიენოორდი-როზენდალი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 23.00 | 059 | დენ ბოსხი-ჰაარლემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **ბელგია** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 060 | ანტვერპენი-გენკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **საბერძნეთი** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 19.00 | 061 | არისი-პაოკ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | | **ჩეხეთი** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 17.30 | 062 | იაბლონეცი-ბრნო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 063 | ბუდეიოვიცე-პრჟიბრამი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **ავსტრია. მე-17 ტური** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 18.30 | 064 | ადმირა-ლინცერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 065 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 066 | გრაცერი-ბრეგენცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 067 | აუსტრია-რაპიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 068 | რიდი-ზალცბურგი | 2,3 | 2,9 | 2,7 |
| 23.00 | 069 | ტიროლი-შტურმი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-17 ტური** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 22.30 | 070 | არაუ-სიონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 071 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 072 | ივერდონი-ლუცერნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-19 ტური** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 073 | კრინსი-კარუჟი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.30 | 074 | ვანგენი-ბადენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 075 | ვინტერტური-ლოკარნო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 076 | ვინტერტური-ლოკარნო 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 17.30 | 077 | ბელინცონა-ვილი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 078 | სოლოტურნი-დელემონი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 22.30 | 079 | იანგ ბოიზი-ტუნი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **რუსეთი** | | | |
| | | **2 ნოემბერი** | | | |
| 17.00 | 080 | სპარტაკი-როსტსელმაში | 1,15 | 5,6 | 10,0 |

| | |
|---|---|
| 22.30 | 1:0; აიაჩო — |
| 22.30 | ...ორუ — ვას- |
| 22.30 | ...ო — კრემო |
| 22.30 | ...იგი — კანი |
| 22.30 | ... — ნიცა 2:1 |
| 22.30 | 31:12 34 |
| | 25:15 33 |
| 17.00 | 24:14 32 |
| 17.30 | 24:15 31 |
| 22.00 | 21:13 31 |
| 22.00 | 22:17 25 |
| 22.00 | 22:18 25 |
| 22.00 | 18:14 23 |
| 23.00 | 17:17 23 |
| 23.00 | 21:23 23 |
| 23.00 | 20:25 21 |
| 23.30 | 17:24 20 |
| | 16:17 19 |
| | 16:18 18 |
| | 13:17 18 |
| 23.45 | 13:21 16 |
| 23.45 | 13:20 15 |
| 23.45 | 21:30 14 |
| 23.45 | 16:28 13 |
| 23.45 | 9:21 13 |
| 23.45 | ...ოი |
| 23.45 | ...ზიცა — ბო- |
| 23.45 | ...იონსკი — |
| 23.45 | ...ი 0:0; ოდ- |
| 23.45 | ...1:4; კატო- |
| 23.45 | 32:6 31 |
| 23.45 | 17:8 26 |
| 23.45 | 18:7 25 |
| 24.00 | 17:9 24 |
| 24.00 | 25:16 21 |
| | 17:14 19 |
| | 19:22 15 |
| 18.00 | 11:17 15 |
| 21.00 | 10:16 15 |
| 22.00 | 7:7 13 |
| 23.00 | 12:16 13 |
| 23.00 | 13:19 12 |
| 23.00 | 13:24 11 |
| 23.00 | 10:16 9 |
| 23.00 | 11:22 9 |
| 23.00 | 9:22 7 |
| 20.00 | ...ა |
| 20.00 | ...ეი |
| | ... 08; |
| 18.00 | |
| 18.00 | |

... თამაშის უფლება მ...პოვოს.

53-ე წუთიდან მოყოლებული „ციურიხი" რიცხობრივ უპირატესობას ფლობდა: მსაჯმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის მინდვრიდან ბალდასარი დაითხოვა. მასპინძლები ამ მომენტამდეც უტევდნენ და მეტოქის გაძევების შემდეგ უფრო მონდომებით შეუტიეს, მაგრამ შასოს გამოსვლამდე სახეირო ვერაფერი გააკეთეს.

გოლის გატანის ერთი კარგი მომენტი „არაუსაც" ჰქონდა — ლევან ხომერიკმა მატჩის მე-20 წუთზე ბურთი ძელს გაარტყა. თამაშის მიწურულს სტუმართა თავკაცმა როლფ ფრინგერმა, იქნებ ანგარიში შევინარჩუნოო, ქართველი თავდამსხმელი ნახევარმცველ დიდით შეცვალა, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩა.

მოიგო მეორე ციურიხულმა კლუბმაც — „გრასჰოპერმა", რომელმაც სტუმრად „ლუცერნი" იმსხვერპლა 3:2. არადა, მატჩის მსვლელობისას „კალიები" ორჯერ აგებდნენ.

ზედიზედ ცხრა მოუგებელი თამაშის შემდეგ ნავსი გატეხა აუტსაიდერმა ნოიშატილის „ქსამაქსმა". ქსამაქსელებმა შინ „სერვეტი" დაამარცხეს და მიმდინარე სეზონში მესამე მოგება იზეიმეს. იცით, როდის მოიგო ბოლოს „ქსამაქსმა"? 12 აგვისტოს. ჰოდა, ისე მოსწყურებოდათ გამარჯვება, ჟენეველებს თავიდანვე შეუტიეს და ორი ბურთიც გაუტანეს — კამარას ორ წუთში დიოპმაც მიბაძა. მატჩის ბოლოს მასპინძლები გაძლებაზეღა იყვნენ. ვერც გაძლებდნენ, მეკარე კოლომბას რომ არ გამოედო თავი და უძნელესი ბურთები არ აეღო. საბოლოოდ „სერვეტმა" მხოლოდ ერთი ბურთი გაქვითა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 16 | 9 | 4 | 3 | 27:13 | 31 |
| სენტ გალენი | 16 | 8 | 6 | 2 | 27:12 | 30 |
| გრასჰოპერი | 16 | 9 | 2 | 5 | 38:16 | 29 |
| ბაზელი | 16 | 8 | 4 | 4 | 32:22 | 28 |
| ლოზანა | 16 | 8 | 2 | 6 | 28:24 | 26 |
| სიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:26 | 22 |
| სერვეტი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:19 | 21 |
| ციურიხი | 16 | 4 | 7 | 5 | 24:20 | 19 |
| ივერდონი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:28 | 16 |
| არაუ | 16 | 4 | 4 | 8 | 19:30 | 16 |
| ლუცერნი | 16 | 4 | 3 | 9 | 23:38 | 15 |
| ქსამაქსი | 16 | 3 | 2 | 11 | 16:46 | 11 |

## ნორვეგია

**თასის ფინალი**

**ოდ გრენლანდი 2:1დ.დ.(1:1) ვიკინგი**

0:1 დელი (45), 1:1 ტიბინენი (65ს.კ.), 2:1 ბიერგი (106)

ადმირა ... 2 3 11 ...

## იტალია

**სერია B. VIII ტური**

**ემპოლი 3:2 რავენა**

1:0 ბაროლო (19), 1:1 დელ ანო (35პ), 2:1 მაკარონე (52), 2:2 დელ ანო (74პ), 3:2 ბიანკონი (79)

**პისტოიეზე 0:4 კროტონე**

0:1 დეფლორიო (39), 0:2 ფიალდინი (53), 0:3, 0:4 ამბროზი (64პ, 71)

**ვენეცია 3:0 ტრევიზო**

1:0 მანიერო (24), 2:0 დი ნაპოლი (56), 3:0 ბაცანი (88)

**სამპდორია 2:1 კალიარი**

1:0 ფლაკი (62პ), 2:0 ვაზარი (70), 2:1 სუაზო (77)

**პესკარა 1:1 ჯენოა**

0:1 ფრანკიოზო (60), 1:1 პალადინი (64)

**კოზენცა 3:1 სიენა**

1:0 პისანო (3პ), 2:0 პავონე (34), 2:1 არკადიო (54), 3:1 სავოლდი (85)

**კიევო 1:0 ანკონა**

1:0 კორადი (26)

**მონცა 1:0 ჩიტადელა**

1:0 ბონაჩინა (43)

**ტერნანა 0:0 სალერნიტანა**

**პიაჩენცა 3:1 ტორინო**

1:0 პიოვანი (51პ), 2:0 გაუტიერი (53), 3:0 კაზი... (63პ), 3:1 ფერანტე (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოზენცა | 8 | 6 | 1 | 1 | 14:7 | 19 |
| კიევო | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 15 |
| კალიარი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:9 | 14 |
| ვენეცია | 8 | 3 | 5 | 0 | 12:8 | 14 |
| პიაჩენცა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| ემპოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:8 | 13 |
| სამპდორია | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| სიენა | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| ტერნანა | 8 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 12 |
| სალერნიტანა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | 11 |
| ანკონა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ჩიტადელა | 8 | 2 | 4 | 2 | 11:11 | 10 |
| კროტონე | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 |
| ტრევიზო | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| მონცა | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | 9 |
| ტორინო | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| პისტოიეზე | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| ჯენოა | 8 | 0 | 5 | 3 | 5:8 | 5 |
| პესკარა | 8 | 0 | 4 | 4 | 6:11 | 4 |
| რავენა | 8 | 0 | 4 | 4 | 7:14 | 4 |

**სერია C1/A**

მე-9 ტური: ალბინოლეფე — პიზა 0:0; ალესანდრია — არეცო 1:2; ალძანო — სპეცია 0:1; კარარეზე — ლეკო 1:2; კომო — ბრეშელო 1:0; ლივორნო — მოდენა 3:1; ლუკეზე — ლუმეცანე 1:0; რეჯანა — ჩეზენა 0:1; ვარეზე — სპალ 0:0

**სერია C1/B**

მე-9 ტური: ასკოლი — აკილა 1:0; ბენევენტო — აველინო 1:1; დი სანგრო — ატლეტიკო 4:1; კატანია — ჯულიანოვა 1:3; ფიდელისანდრია — ფერმანა 0:0; მესინა — ტორესი 2:3; ნოჩერინა — პეზარო 1:0; სავოია — პალერმო 5:1; ვიტერბეზე — ლოდიჯანი 0:1



ზურაბ ხიზანიშვილი

# თოფი სტეპანოვსს, ხიზანიშვილი ლოკომოტივს

ზოგს ისეთი ბედი აქვს, გემი რომ იყიდოს, ზღვა დაშრება. შორს არ წავალთ, აჰა, მაგალითი: 19 წლის ქართველ მცველს ინგლისური „არსენალის" (თუნდაც სარეზერვო) მაისურის მორგების შანსი ლონდონურმა ამინდმა და ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობმა მიზეზმა წაართვა.

გუშინ ჩვენი დროით 23 საათზე დასაწყები „არსენალი" — „საუთჰემპტონი" გაურკვეველი ვადით გადაიდო, რადგან სათადარიგოებს „ბორემვუდის" ნაავდრალი სტადიონი დატბორილი დაუხვდათ.

— ზურას ხვალ ან ზეგ ლონდონელები შინ გამოამგზავრებენ და ყველა კითხვაზე თავად უკეთ გიპასუხებთ — გვითხრა წუხელ ზურაბის უფროსმა ძმამ, თბილისის „აკადემიის" მცველმა გიორგი ხიზანიშვილმა.

ერთი სიტყვით, ლონდონურ „არსენალთან" თითქმის ერთ კვირას მოვარჯიშე ზურაბ ხიზანიშვილის საქმეში ნახვა ვერ მოხერხდა. ის მხოლოდ „არსენალის" ორმხრივი თამაშისას გამოსცადეს ინგლისელებმა.

მოგეხსენებათ, ანკონაში იტალია — საქართველოს მატჩისას ჩვენი ეროვნული გუნდის მარჯვენა მცველმა ისე ითამაშა, თვით „არსენალის" ფრანგი თავკაცის, არსენ ვენგერის მოწონებული.

ვენგერმა ზურაბი ლონდონში იხმო, ერთ კვირას ავარჯიშა და უცებ... უთამაშებელი ხიზანიშვილი შინ ბრუნდება! რატომ?

დიახ, კითხვა არაერთი გაჩნდა, მათ შორის ასეთიც:

— რა სტატუსით ახლავს „არსენალს" ნასტუმრევ თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელს ლონდონში რევაზ მოძუაშვილის ვაჟი მიხეილი, რომელიც რიგის „სკონტოს" მენეჯერია?

ზურას მამამ, თასების თასის მფლობელმა თბილისის დინამოელმა ნოდარ ხიზანიშვილმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ასე სცადა:

— მოგეხსენებათ, „არსენალმა" ამ ცოტა ხნის წინ ლატვიელი იგორს სტეპანოვსი შეიძინა. მიშას, როგორც რიგის „სკონტოს" მენეჯერს, ლონდონელებთან ურთიერთობა აქამდეც ჰქონდა. ახლა კი, როგორც ვიცი, ის „არსენალთან" თბილისის „ლოკომოტივს" წარმოადგენს და ამ ორ კლუბს შორის ურთიერთობის გაღრმავებას ცდილობს.

ცნობისთვის, ამ დღეებში მეთოფეებმა სტეპანოვსი პრემიერლიგის განაცხადში შეიყვანეს და №3 უბოძეს.

ექსსკონტოელი 4 სექტემბრიდან „არსენალთან" კონტრაქტითაა დაკავშირებული, მაგრამ, განაცხადში ახლახან მოხვდა. შესაძლოა, ხიზანიშვილის შინ გამობრუნებაში ამ ამბის წილიც ერიოს. თუმცა, ამაში თავად ზურაბი, ალბათ, უკეთ გაგვარკვევს.

თოფი მეფოფეს და ორივე ერთად სოფელსო, ნათქვამია. თოფი ლატვიელს მისცეს და „არსენალსაც" ის უნდა გამოდგეს, ქართველი კი, რომელიც, სხვათა შორის, სერია A-ს „ლეჩესაც" სურდა, „ლოკომოტივს" დაუბრუნეს.

**ვახტანგ ზჩიკაძე**

საქართველოს ჩემპიონატი / პირველი ლიგა / პირველი წრე

## 12 ტური

# დროშა უნდა ფრიალებდეს

საეჭვოა, ბორჯომში ეროვნული დროშა არ მოიძებნებოდეს. ყოველ შემთხვევაში, იქაური „ჯემალ ზეინკლიშვილი" უდროშოდ შეხვდა პირველი ლიგის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის კალენდრულ მატჩს „თორსა" და „თბილისს" შორის. ეს ტურის ერთადერთი მწირგოლიანი მატჩი იყო, სეფერთელაძის მიერ გატანილი კინკილა ბურთის წყალობით მასპინძელთა გამარჯვებით რომ დასრულდა. ამ მოგებით „თორი" ექვსეულში შევიდა და დროებით მეხუთე ადგილზე მოკალათდა. დროებით იმიტომ, რომ ხაშურში „ივერიასა" და „ზუგდიდის" მატჩი არ გამართულა. ზუგდიდელთა ცნობით, მათი გუნდი კოლექტიურად მოიწამლა. ფეხბურთელები სტაციონარებში მოხვედრილან და ხაშურსაც ამიტომ ვერ სწვევიან. სათანადო საბუთების გაცნობის შემდეგ სფფ-მ მატჩის გადატანა ბრძანა და ამ გუნდების შეხვედრა დღეს გაიმართება „გრიგოლ ჯომართიძეზე". სავარაუდოდ, ზუგდიდელები თავს არ შეირცხვენენ და მორიგ სამ ქულას ჩაიწერენ.

აქვე კიდევ ერთ გადატანილ მატჩზეც ვთქვათ და მეთორმეტე ტურის მოკლე მიმოხილვა შემდეგ გავაგრძელოთ.

გუშინ IV ტურის გამოტოვებულ მატჩში „გურიამ" მეორეადგილოსან „მილანს" უმასპინძლა. „გურიამ" გუშინდელი შეხვედრა ალმავლობით ჩაატარა და 3:1 სძლია მეტოქეს. შედეგად ლანჩხუთელებმა სატურნირო ცხრილში ადგილი გაუცვალეს წნორელებს.

ასეთივე ანგარიშით მოიგო „გურიამ" მეთორმეტე ტურის მატჩიც ქობულეთის „შუქურასთან". ასე რომ, სამი დღის ინტერვალში გურულებმა ორი ლიდერი იმსხვერპლეს და რა გასაკვირია, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახავთ მიზნად. ლანჩხუთელთა საგრძნობ პროგრესზე ისიც მეტყველებს, რომ ზღვისპირელებს დიდი ძალისხმევის გარეშე ძლიეს. ჯულელის დაწყებული საქმე მეორე ტაიმში სულაკაძემ და ენდელაძემ გააგრძელეს და 78-ე წუთისთვის ქობულეთელები 0:3-ს აგებდნენ. ანგარიში მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ყალიჩავამ „დაასველა" და მისმა გუნდმა მეოთხე ადგილზე ჩაინაცვლა.

ამ შეხვედრას ექსცესების გარეშეც არ ჩაუვლია. სტუმართა ერთ-ერთ მწვრთნელ (რომელიც მატჩის ოქმში სელექციონერადაა მოხსენიებული), ლევან ბაჟუნაშვილს ენერგიულად უგინებია თანამსაჯი ლავრენტი რაზმაძე. ამის გამო ბაჟუნაშვილი სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე მიაბრძანეს. თუმც სტუმარ მწვრთნელ-სელექციონერს გინება არც ტრიბუნიდან შეუწყვეტია და ბოლოს სტადიონიც დაატოვებინეს.

„მილანიც" ადვილად გაუსწორდა სტუმარ მეტოქეს. „ოკეანემ" ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია რანგით მაღალ მოწინააღმდეგე და პირველ ტაიმშივე გამოაცხადა კაპიტულაცია. მასპინძელთაგან საწყის 45 წუთში თავი ექსგორდელებმა დავით ინასარიძემ და ალექსანდრე თელიაშვილმა გამოიჩინეს. ერთხელაც მათ გოლებს შორის ვლადიმერ ჭყონიამ მოახერხა გატანა — 3:0. ეს ანგარიში მოსალოდნელი იყო, საკვირველი ისაა, რომ უკვე მეორე მატჩია მასპინძლები ტაიმის ბოლოს ცვლიან მოთამაშეებს (პირველად ეს „დინამოსთან" თასის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის საპასუხო მატჩში გააკეთეს). ამჯერად წყვილი შეცვლა 44-ე წუთზე მოხდა.

კვლავაც გამოავლინა თავისი ბომბარდირული თვისებები ცხინვალელმა პაატა გვირჯიშვილმა, მისი გუნდის 5 გოლიდან ორი სწორედ ამ ფეხბურთელის ანგარიშზეა. ისე, მას ჰეთთრიქითაც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ 79-ე წუთზე ხობელთა კარში დანიშნული პენალტის შესრულება მარლიშვილმა ითავა და რა გამოვიდა აქედან, ოქმიდანაც კარგად ჩანს. „ხობმა" პირველ ტაიმში დიდი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს, ანგარიშიც გახსნა და ტაიმიც სასურველი შედეგით დაასრულა, თუმც შესვენების შემდეგ „ცხინვალი" შაუჩერებელი გახლდათ და თორმეტი ტურის შემდეგ კვლავაც პირველია.

ტურში ფრედ დასრულებული ერთადერთი მატჩი ზესტაფონში გაიმართა. „მეტალურგს" „სამგურალმა" არაფერი არ დაუთმო და წყალტუბოელ მცველებს ოდნავ ყურადღებით რომ ეთამაშათ, შინ სამი ქულით ხელდამშვენებულნი გაბრუნდებოდნენ.

პირველი ლიგის მეცამეტე ტური პარასკევს, 3 ნოემბერს, ჩატარდება. სხვათაგან გამორჩეულ ინტერესს „ზუგდიდი" — „გურიას" და „ცხინვალი" — „თორის" მატჩები იწვევს.

**პაატა ქვანტალიანი**

ქველი ანაგა
27 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 3 000)

### მილანი 3:0 ოკეანე

1:0 ინასარიძე (18), 2:0 ჭყონია (26), 3:0 თელიაშვილი (38)
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარულაშვილი, ვ. ლუდუშაური, კობაიძე (ვარამაშვილი 44), თელიაშვილი, დ. კაპანაძე, ჭყონია, ინასარიძე, გოძიაშვილი (მეტონიძე 44), კ. მელქაძე, მედოევი (კიკვაძე 57)
სათადარიგონი: სოსელია, მ. სომხიშვილი, გ. ჩიტაური, შავშიშვილი
ოკეანე: თავაძე, ტონია, თოდაძე, მაღლაკელიძე, ს. გოგია, ლორთქიფანიძე, გაბედავა (ო. ფხაკაძე 24), კრავეიშვილი (მალალურაძე 73), კაცაძე, ჯიქიძე (ჩიგოგიძე 73), ცომაია
სათადარიგო: ჭკუასელი;
გაფრთხილება: კრავეიშვილი (70), კიკვაძე (72)
მსაჯები: ვ. ელოევი (ცხინვალი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)

გორი
27 ოქტომბერი
16 საათი
ქართლი
500 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 5:1 ხობი

0:1 ქაშიბაძე (10), 1:1 ზ. მაისურაძე (34), 2:1 ბოჭორაძე (47), 3:1, 4:1 გვირჯიშვილი (62, 79), 5:1 წიქარიძე (81)
მარლიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (79)
ცხინვალი: ქესანაშვილი, ცხადაძე, რ. ხაჭაპურიძე (მურადელი 16), ტყემალაძე, ყაჩლავაშვილი, ბოჭორაძე (წიქარიძე 68), ზ. მაისურაძე (ჩაჩიბაია 59), მარგიევი, მარლიშვილი, ნასყაშვილი, გვირჯიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; გუგულაშვილი, კობაური
ხობი: შ. გოგია, ფიფია, ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, არ. ჯიქია (ხორავა 46), აბაკელია, ვართაგავა, ქაშიბაძე მიქავა (ხაჟალია 41), ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი (ჭეჟია 55)
სათადარიგო: თოლორდავა;
გაფრთხილება: ცხადაძე (20)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. მეშკოვი (თბილისი)

ლანჩხუთი
27 ოქტომბერი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

### გურია 3:1 შუქურა

1:0 ჯულელი (15), 2:0 სულაკაძე (57), 3:0 ენდელაძე (78), 3:1 ყალიჩავა (85)
გურია: მერკვილიშვილი, ვოსკანოვი, ორბელაძე, გაბრიჭიძე, მ. ჯღარკავა (სამხარაძე 85), სულაკაძე, განევი (შველიძე 87), ჯულელი (ძნელაძე 68), ჩხეტია, ენდელაძე, ლორია
სათადარიგონი: შეყრილაძე; კირკიტაძე, მინაშვილი, პატარაია
შუქურა: გოგუა, კოროტკოვი, კვეკვესკირი (გორჯელაძე 58), ოქროპირიძე, ბერიძე, ბ. ფუტკარაძე, კაკალაძე (ყალიჩავა 55), კალანდაძე, კვირკველია (ჩახუნაშვილი 75), ბაჟუნაიშვილი, ჩელებაძე
სათადარიგონი: პერმინოვი; ლომთაათიძე, ბოლქვაძე, მესხიძე
გაფრთხილება: ენდელაძე (50), ჯულელი (52), კვეკვესკირი (57), ვოსკანოვი (65)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. რაზმაძე (გორი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ბორჯომი
27 ოქტომბერი
16 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
300 (ტევადობა 3 000)

### თორი 1:0 თბილისი

1:0 სეფერთელაძე (35)
თორი: ლაბაძე, დ. ლეკიშვილი, ქობესაშვილი, წიქარიშვილი, სეფერთელაძე, გ. ლომიძე, ელისაშვილი, ვარდიაშვილი, ვ. ფირცხალავა, კ. ჯანაშია (ნამგალაძე 89), თალაკვაძე
სათადარიგონი: სულავა; ზაქარეიშვილი, ტარიელაშვილი
თბილისი: კუპატაძე, აბრამიშვილი, ნიკურაძე, დ. ტყებუჩავა, მანაგაძე (სახურია 46), ნ. ჯღარკავა (გ. კაპანაძე 70), გუშარაშვილი (სტურუა 55), ქუხილავა, მახარაძე, სალარეიშვილი, მანჭარაული
სათადარიგონი: კოდალაევი; გოგმაჩაძე, დ. შენგელია
გაფრთხილება: აბრამიშვილი (74), ნიკურაძე (82), მახარაძე (86)
მსაჯები: ვ. ჩოჩიშვილი; კ. თბილელი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

ზესტაფონი
27 ოქტომბერი
16 საათი
მეტალურგი
500 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 1:1 სამგურალი

0:1 ჯინჭარაძე (72), 1:1 გვაზავა (753)
მეტალურგი: ნიქაბერიძე, გოგაძე, პ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი, ბაქრაძე, ორმოცაძე (მემარნიშვილი 46), კაციაშვილი, აჭარაძე (მოდებაძე 72), ამაშუკელი, გ. გვაზავა, ფირცხალეიშვილი
სათადარიგონი: ოდიკაძე; გურეშიძე, აბაზაძე, ფანცხავა, მახათაძე
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ჭელიძე, თირქია, ქობულაძე, ბაბუნაშვილი (დ. ჯიქია 90), შ. ფუტკარაძე (გოლეთიანი 77), დარსაძე, მ. ჯინჭარაძე, ზ. ფხაკაძე, ქუთათელაძე (კიკვიძე 90)
სათადარიგონი: გიორგაძე; ლევინჯილია, მაჭარაძე
გაფრთხილება: ფხაკაძე (43), ფუტკარაძე (70), გვაზავა (85)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

## 6 ტური

გამოტოვებული მატჩი

ლანჩხუთი
30 ოქტომბერი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
? (ტევადობა 22 000)

### გურია 3:1 მილანი

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 13 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| 9 - ქუთათელაძე | სამგურალი |
| ბოჭორაძე | ცხინვალი |
| გ. გვაზავა | მეტალურგი |

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 12 | 8 | 1 | 3 | 36:12 | 24 | 25 | 6 | 6 | 0 | 0 | 27:3 | 24 | 18 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 7 |
| 2 გურია | 12 | 7 | 3 | 2 | 17:15 | 2 | 24 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:4 | 8 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:11 | -6 | 8 |
| 3 მილანი | 12 | 7 | 2 | 3 | 17:9 | 8 | 23 | 6 | 6 | 0 | 0 | 14:2 | 12 | 18 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 5 |
| 4 შუქურა | 12 | 6 | 2 | 4 | 16:10 | 6 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:0 | 12 | 16 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 |
| 5 თორი | 12 | 6 | 2 | 4 | 13:10 | 3 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 7 |
| 6 ზუგდიდი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:13 | 5 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:6 | 9 | 16 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 3 |
| 7 მეტალურგი | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 2 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 16 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:9 | -6 | 3 |
| 8 სამგურალი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:11 | 7 | 18 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 16 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:7 | -4 | 2 |
| 9 ხობი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:14 | -6 | 13 | 6 | 2 | 4 | 0 | 2:0 | 2 | 10 | 6 | 1 | 0 | 5 | 6:14 | -8 | 3 |
| 10 თბილისი | 12 | 1 | 4 | 7 | 4:20 | -16 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:14 | -13 | 1 |
| 11 ოკეანე | 12 | 1 | 3 | 8 | 8:25 | -17 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:17 | -12 | 1 |
| 12 ივერია | 11 | 1 | 2 | 8 | 5:23 | -18 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:17 | -16 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი / უმაღლესი ლიგა / პირველი წრე

## 11 ტური

ქუთაისი
30 ოქტომბერი
15 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 იონანიძე (83), 1:1 გოჩაშვილი (86)
ტორპედო: ზოიძე, შალამბერიძე (ბობოხიძე 70), მახვილაძე (კვერნაძე 81), ხვადაგიანი, ჩხაიძე (თურმანიძე 70), გუჩუა, ჩხეტიანი, ასათიანი, ახვლედიანი, იმედაძე, იონანიძე
სათადარიგონი: ქანტურია; შეყრილაძე, თავბერიძე, ვაჩიბერაძე
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, თაყაძე (გოჩაშვილი 83), დეკანოსიძე, სულთანიშვილი (დ. დოლიძე 86), მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; ინწკირველი, გვაზავა
გაფრთხილება: საჯაია (35), სულთანიშვილი (38), თაყაძე (81), გუჩუა (83), გოჩაშვილი (86)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სახუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

საქართველოს ჩემპიონატი / რეგიონული ლიგა / პირველი წრე

## 6 ტური

VI ტური

**დასავლეთი**

მერცხალი 2:0 სულორი
მზიური 1:0 ინტერი
დინამო 2 სოხუმი 4:2 სალხინო
სქური 4:0 ბათუმი 2
ლაზიკა 4:3 კოლხეთი 2
სამეგრელო 3:2 გურია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 6 | 6 | 0 | 0 | 20:7 | 18 |
| სქური | 6 | 4 | 1 | 1 | 15:6 | 13 |
| ლაზიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 20:13 | 13 |
| კოლხეთი 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:8 | 9 |
| ინტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 17:5 | 8 |
| მერცხალი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| სამეგრელო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 |
| დინამო 2 სოხუმი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 |
| ბათუმი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | 5 |
| სალხინო | 6 | 1 | 2 | 3 | 12:15 | 5 |
| გურია 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:17 | 5 |
| სულორი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:29 | 3 |

**ცენტრალური**

ვალენსია 83 1:4 დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 0:1 ამირანი
მრეტები 0:1 ოლიმპიკი
ვარძია 0:0 დილა 2
ს.ა. იბერია 4:0 მესხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:7 | 15 |
| დინამო 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 15:9 | 10 |
| ს.ა.იბერია | 5 | 2 | 3 | 0 | 12:5 | 9 |
| ოლიმპიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 9 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 14:7 | 8 |
| ვალენსია 83 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| მრეტები | 6 | 2 | 1 | 3 | 3:6 | 7 |
| მესხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:11 | 7 |
| დილა 2 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:13 | 4 |
| ვარძია | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | 2 |
| საბურთალო | 5 | 0 | 2 | 3 | 4:16 | 2 |

**აღმოსავლეთი**

ალაზანი 8:1 კავკასიონი
ჭაბუკიანი 2:1 აკადემია
ზოოვეტი 1:1 ლოკომოტივი 3
ცხუმი — თბილისი 2
„ცხუმმა" სტადიონი ვერ მოამზადა
სამგორი — ასკ
ასკ არ გამოცხადდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 3 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| აკადემია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| ჭაბუკიანი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| ალაზანი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:13 | 9 |
| ხალიბი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ცხუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:4 | 6 |
| ზოოვეტი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| თბილისი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| სამგორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ასკ | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| კავკასიონი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:17 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

# 11 ტური

# პარანორმალური გოლები

**თბილისი**
30 ოქტომბერი
15 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 2:0 მერანი**

1:0 ჭიჭველიშვილი (66), 2:0 პარამონოვი (89)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, გოგიჩაიშვილი (გ. ილაური 57), დავითაშვილი (პარამონოვი 46), გ. შენგელია, რუსია (გონჩაროვი 46)
სათადარიგონი: ივარდავა; აფციაური, დ. არჩვაძე, ძოძუაშვილი
მერანი: დევაძე, გ. ილურიძე, ცქიფურიშვილი (თოლორდავა 80), დევიძე, ფოცხვერია, გ. კვიტნაძე, კობესაშვილი, დ. გოდერძიშვილი (ბაჯელიძე 68), როსტიაშვილი, მინაშვილი, მუხინი
სათადარიგონი: ნაჭყეპია; პოდლესნი, კაკუბავა, ჭინჭარაული, ბოლქვაძე
გაფრთხილება: გონჩაროვი (71)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

**მამუკა კვანტალიანი**

თამაში ათიოდ წუთის განახლებული გახლდათ, როცა „ლოკომოტივის" ქომაგებმა „მერანის" დაუმარცხებლობა თითქმის ირწმუნეს. როგორი ამბავია, რკინიგზელა ლიდერი კახა გოგიჩაიშვილი ტრავმის გამო თამაშს ნაადრევად გამოეთიშა, ხოლო სტუმრები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ მასპინძელთა დაცვასა და მეკარეს.

სწორედ ამ დროს ივარგა დავით ჭიჭველიშვილმა. ოცდაათიოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა მეტოქის კარისკენ და აკაკი დევაძემ, რომელიც ამას არ ელოდა, რეაგირება დააგვიანა. მერე კი გადახტა თავგანწირვით, მაგრამ შორეულ, მარჯვენა ცხრიანისკენ მფრინავ ბურთს ველარ შესწვდა.

მანამდე ავჭალელებს წასაგები არაფერი სჭირდათ. „მერანი" ყურადღებით იცავდა თავს და ერთი-ორჯერ სახიფათო კონტრშეტევაც განახორციელა.

პირველ ტაიმში გოლიც გაიტანეს სტუმრებმა. მუხინის ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს დევიძემ ზუსტი თავურით ლომაიას კარში მიუჩინა ადგილი, მაგრამ გოლი შალამბერიძემ სამართლიანად არ ჩათვალა. საგოლე დარტყმამდე აშკარად ჩანდა, როგორ ჰკრა ხელი მერანელმა მეურვე ბალაშვილს.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, პირველად გოლს სტუმრები გადაურჩნენ. რუსიას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან გოგიჩაიშვილმა ბურთი ცოცხალ კედელს ოსტატურად გადაავლო და რომ არა დევაძე...

მეკარემ ბურთს ხელი წაატანა და დარტყმული ძელს მოხვდა. გაღმოვარდნილს ჭიჭველიშვილმა დაამატა, მაგრამ „მერანი" გოლისგან იმავე ძელმა იხსნა.

პირველ ტაიმში რკინიგზელებს სისხარტე აკლდათ, „მერანიც" მძიმედ გადადიოდა შეტევაზე, ამიტომ ძირითადი ბრძოლა მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა.

ბოლო დროს „ლოკომოტივის" წინა ხაზი უფერულად გამოიყურება. რევაზ ძოძუაშვილიც თავდამსხმელთა ოპტიმალური დუეტის ძიებაშია, მაგრამ, მგონი, ჯერჯერობით პრობლემა მოუგვარებელია. პირველ ტაიმში პასიური რუსია-დავითაშვილი ძოძუაშვილმა გონჩაროვ-პარამონოვით შეცვალა. მწვრთნელმა ცვლილებები ამჯერადაც გამოიცნო, თუმც შესაძლებელიც იყო ამ დროისთვის ყველაფერი სტუმართა სასარგებლოდ ყოფილიყო.

ცოტა კრიტიკას ავჭალელთა თავკაცობასაც ვკადრებთ. ჩვენი აზრით, შეცდომა იყო მიხეილ ფოცხვერიას ნახევარდაცვის ფლანგზე მოცდენა და მერე გოდერძიშვილის გამოცვლაც. შესაცვლელი ვინც იყო, ალბათ, გაბელაიას ჩვენზე უკეთ მოეხსენება, მაგრამ...

მეორე ტაიმი დაიწყო და სტუმრებმა დაწინაურების შანსი გაუშვეს ხელიდან. მუხინმა ზუსტი პასით გოდერძიშვილი ლომაიას შეატოვა პირისპირ, თუმც ჯერჯერობით ჩემპიონატის პირველმა მეგოლემ ბურთი მეკარეს უსაჩუქრა.



გუშინ ეროვნულზე: „ლოკომოტივი" — „მერანი" 2:0. დავით ჭიჭველიშვილი (მარჯვნივ) შორიდან გატანაში ანდრეი მუხინს გაეჯიბრა

ცოტა ხანში ფოცხვერიამ გაიბრწყინა. ფლანგზე ერთი მცველი მოატყუა, მერე პირით ხაზთან მდგომი მეორეს გაუსწორდა და კარის წინ ეულად მდგომ მუხინს დაუგორა ბურთი. უკრაინელის დარტყმულს ლომაია გადაელობა და „მერანიც" კუთხურსლა დასჯერდა.

მერე კი იყო ის საფირმო დარტყმა, ჭიჭველიშვილმა რომ შეასრულა და რომლის ავტორობასაც არაერთი ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალი ინატრებდა.

დაწინაურების შემდეგ „ლოკომოტივი" კონტრიერიშებს მიეძალა და რკინიგზელთა ტანმაღალი ფორვარდიც სასარგებლო მოთამაშედ იქცა.

ერთი შეხედვით ტლანქი და მოუხეშავი რკინიგზელი თანდათან, თამაშიდან თამაშამდე იხვეწება.

მატჩის ბოლოსწინა წუთზე შეუჩერებელი გახდა — დიმიტრი პარამონოვმა სიჩქარეში მცველს გაასწრო, საჯარიმოს მიახლოებულმა წინ გამოსული დევაძეც შენიშნა და ოსტატური დარტყმით ბურთი ცხრიანში ჩაახვია.

ამ წაგებით „მერანმა" ექვსეულში ადგილი დაკარგა, ხოლო „ლოკომოტივმა" „ტორპედოსთან" სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა.

**ფოთი**
30 ოქტომბერი
15 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 1:0 დილა**

1:0 ფანჩულიძე (70)
შავგულიძემ ვერ გაიტანა პენალტი (40, ხარიხა)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა (კრასოვსკი 65), ქუნთელია, გ. ჩიტაია (ფანჩულიძე 46), ახალკაცი, კიკლიაშვილი, ლალანიძე, კვირკველია, ე. გვასალია, შავგულიძე (პაპავა 90)
სათადარიგონი: ჩემია; თედეევი, მალაკელიძე, ბურკვაძე
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, რევაზიშვილი, საყვარელიძე (გრიგალაშვილი 46), დ. მაისურაძე (ხოხობაშვილი 82), ეჯოშვილი (გ. ტულუში 80), ფეზუაშვილი, ციცქიშვილი
სათადარიგონი: მდივანი, გ. გოჩაშვილი, სამნიშვილი, ციცქიშვილი
გაფრთხილება: საყვარელიძე (27), ლ. გოჩაშვილი (49), ლალანიძე (48), ე. გვასალია (67)
გაძევება: აკოფიანი (39), ე. გვასალია (82)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

# გამართლებული რისკი

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

„ფაზისზე" მორიგი გორული კომპლექსი გაუჩნდა „კოლხეთს": დიახ, ადრე ასე იყო და გამონაკლისი არც გუშინ ყოფილა — მართალია, გორის „დილა" წლეულს ისე ვერ ვარგობს, როგორც ადრე, მაგრამ კოლხებთან ბრძოლა მაინც შეუძლია ძველებურად. და მაინც, „კოლხეთმა" მოიგო, ოღონდ ეს ძალიან რთული საქმე გამოდგა. ყველაფერი ერთმა, კინკილა გოლმა გადაწყვიტა, გოლმა, რომელმაც გორელთა მხრიდან დიდი აყალმაყალი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

70-ე წუთზე კოლხთა ერთ-ერთი შეტევა მაღალი ჩაწოდებით დასრულდა და სოლოლაშვილმა ბურთი უპრობლემოდ იგდო ხელთ. ჰოდა, იქვე დადარაჯებულმა ფანჩულიძემ დააგდებინა, თუ თავად დაუვარდა, ზუსტად ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ ფანჩულიძემ ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

ლევან ფანიაშვილმა წესების დარღვევა ვერ შენიშნა და გორელთა ალყაშიც მოექცა. თუმც ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და პროტესტანტებიც ბედს მალე შეეგუვნენ. მანამდე კი მსაჯი ყვითელმაისურიანებმა პირველ ტაიმშიც მოიქციეს ალყაში და მაშინ სტუმრებს თავგასულობა გაძევებად დაუჯდათ. ყველაფერი კი ფანიაშვილის არცთუ დამაჯერებელ გადაწყვეტილებას მოჰყვა. საჯარიმოში მაღალ ჩაწოდებულ ბურთზე გაგნიძესთან ჭიდილში შავგულიძე დაეცა და თერთმეტმეტრიანიც მოინადირა.

პენალტი მართლაც სადავო ჩანდა და „დილამაც" მთელი შემადგენლობით მსაჯი კუთხურის ალამთან მიამწყვდია. თანაგუნდელებთან შედარებით ნაკლებაქტიურმა აკოფიანმა ნერვები ვერ მოთოკა, ფანიაშვილს ლაზათიანად შეუკურთხა და წითელი ბარათითაც დაისაჯა — „დილა" კაცნაკლული დატოვა.

პენალტის ნიშნულთან თავად შავგულიძე მივიდა და გაასამა: წლევანდელ სეზონში ორი თერთმეტმეტრიანი ჰქონდა გაცუდებული და მესამეც მიაყოლა.

მატჩის ორ უმთავრეს ეპიზოდზე მოგახსენეთ და ცოტა მის მიმდინარეობაზეც ვიტყვი. პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ „დილა" არაფრის დამთმობი იყო. „კოლხეთს" დიდი წინააღმდეგობა მოედნის ცენტრში ხვდებოდა და იქ ბრძოლა გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. საგოლე მომენტები არცთუ ხშირი იყო და ზემოთ ნახსენებ პენალტს თუ არ ჩავთვლით, პირველ ტაიმში სხვა საგულისხმო არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმში სოსო ფილიამ გარისკა და გაუმართლა. გელა ფანჩულიძეს ტრავმა აწუხებდა და ამიტომ ვერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, თუმც საქმეს დაჭირდა და მან გიორგი ჩიტაიას ნაცვლად ითამაშა. მოედანზე შევიდა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

გატანილისას მისი დამსახურება აღვნიშნეთ და მარტო ამით როდი შემოვიფარგლებით. გელამ მთელი ტაიმი ჩინებულად ილვაწა, კოლხთა შეტევებს ახალი სული შთაბერა და საგოლე მომენტი ყველა მისი მონაწილეობით შეიქმნა.

საერთოდ, „კოლხეთს" დაეტყო დავით ხუჭუას არყოფნა. მასპინძლები ჩვეულად ვერც ფლანგებზე აქტიურობდნენ. ცენტრიდან კი „დილას" უკანა ხაზს, ბევრი ვერაფერი დაატყვეს.

კოლხებმა მოგებით ძალიან გაიხარეს, მაგრამ ერთ რამეზე დარჩათ გულში ხინჯი. მომავალ ტურში „ფაზისზე" უპრინციპულესი ბრძოლა ელით „მერანთან" და ამ მატჩში ვერ ითამაშებს ელდარ გვასალია, რომელსაც ფანიაშვილმა სამართლიანად დაატოვებინა მოედანი.

სახელდახელო პრესკონფერენციაზე გორელთა თავკაცი ვაჟა ხაჩირაშვილი ნირწამხდარი გახლდათ — მიკერძოებით გვიმსაჯესო.

სოსო ფილიამ კი პირიქით — მოგება სამართლიანად მიიჩნია და თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილიც დარჩა. და ეს იმის მიუხედავად, რომ „კოლხეთმა" დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა.

**ბათუმი**
29 ოქტომბერი
15 საათი
დინამო
500 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 3:0 იბერია**

1:0 ღლონტი (9), 2:0 რომანაძე (12), 3:0 აფხაზავა (52)
აფხაზავამ ვერ გაიტანა პენალტი (9, მეკარე)
ბათუმი: ბედიაშვილი, ჩიჩუა, მინდაძე, მჟავანაძე, პაპიძე (სიხარულიძე 46), თედორაძე (ქაცარავა 55), ღლონტი, დარჩიძე, რომანაძე, აფხაზავა, ა. მუჯირი (სოხაძე 61)
სათადარიგონი: ჯაში; ბეჟანიძე, გველესიანი, კაკაბაძე
იბერია: ჩომახიძე, გ. ნოზაძე (ქვანია 55), მიქელთაძე, სანიკიძე, მუმლაძე, ლ. ხმალაძე, ყურაშვილი (ბიწაძე 17), ოდიკაძე, გიორგაძე, გიგიაძე, ონიანი
სათადარიგონი: ვარდანიძე, ბანძელაძე, ჭოლაძე, კ. ბობოხიძე
გაფრთხილება: მუმლაძე (54), მჟავანაძე 74)
გაძევება: სანიკიძე (9)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

# რატომ წახვედი შენ ბათუმში?

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

როგორი საქმეა, ამხელა გზა გაიარო და 90-ის ნაცვლად მხოლოდ ცხრა წუთი ითამაშო. ასე დაემართა სამტრედიელ ირაკლი სანიკიძეს.

თამაში ხეირიანად არ გახურებულიყო, ცენტრალური ხაზის რკალიდან ათიოდ მეტრით მოშორებით სანიკიძე პოზიციურად რომ შეცდა — ბურთის ტრაექტორია ვერ გათვალა და კარისკენ გაწეულ შალვა აფხაზავას მხოლოდ მაშინ დაეწია, როცა მას მოტყუებული მეკარე უკან ჩამოეტოვებინა და ცარიელ კარში გატანას აპირებდა.

იბერიელთა მცველმა იგი წესების დარღვევით შეაჩერა. ჰოდა, ალექსანდრე კრიჭაშვილმა პენალტიც დანიშნა და ეპიზოდი ბოლო იმედის ჯარიმითაც შეაფასა.

თერთმეტმეტრიანის დარტყმა თავად დაზარალებულმა ითავა, მაგრამ ზღვისპირელთა მთავარ პენალტისტს ალექსანდრე ჩომახიძემ კუთხე გამოუცნო და ბურთიც უკუაგდო. თუმცა ამაოდ დაშვრა — მის მოგერიებულს პირველმა ავთანდილ ღლონტმა მიუსწრო და ანგარიშიც გახსნა.

სამიოდ წუთში ბრინჯივით დაბნეულ იმერლებს „ბათუმმა" მეორედ გაუტანა. იმავე აფხაზავამ ფლანგზე კარგა ხანს იჯამბაზა, მცველებთან ბრძოლაში ბურთი შეინარჩუნა და საჯარიმოში შესულმა არჩილ რომანაძე მოძებნა. ამანაც ცაციათი ჩომახიძეს ახლო კუთხეში გაუტანა.

ათი მატჩიდან ოდენ ქულის ამღებ „იბერიას" თითქოს თავისი გასაჭირი არ ჰყოფნიდა, მოვლენების ასეთმა განვითარებამ სულ წაუხდინა თამაშის ნირი. გასარკვევიც სწორედ აქ გაირკვა და დარჩენილ დროში სტუმრები ინერციითღა ეწინააღმდეგებოდნენ მეტოქეს.

თავი დიდად არც მასპინძლებს გამოუდიათ. მათი უპირატესობა თვალშისაცემი კი გახლდათ, მაგრამ რიცხვმრავალ შეტევებს სიმწვავე აკლდა და პირველ ტაიმში ღირებული მეტი არც არაფერი მომხდარა.

აი, თამაშის განახლებას მალე კიდევ ერთი გოლი მოჰყვა და კვლავ „იბერიას" კარში, მარცხენა ფლანგზე ამირან მუჯირმა დრიბლინგით მეურვე გიორგი ნოზაძე იოლად ჩამოიცილა და პენალტის მოგერიებისთვის ჩომახიძე აფხაზავას ფეხითვე დასაჯა.

ინერტულად მოთამაშე იმერლებს აგრესიის ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ. ამას ისიც მოწმობს, რომ ისინი მხოლოდ ცხრაჯერ დაჯარიმდნენ. პირველად კი „ბათუმის" კარს მხოლოდ 62-ე წუთზე დაემუქრნენ, როცა ხმალაძემ დაცვა გაარღვია და ბედიაშვილთან პირისპირ შეყრილს დარტყმა ნაჩქარევი გამოუვიდა.

ზღვისპირელებს მეტოქის კარის დალაშქვრის სურვილი არც შეხვედრის ბოლოს განელებიათ, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. საგოლე მომენტებიც არცთუ მრავლად იყო. ყველაზე მწვავე მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე შექმნილ ეპიზოდს თუ ეთქმოდა, როცა ქაცარავას პასით აფხაზავამ კარიდან ხუთიოდ მეტრში გატანა სცადა.

მოკლედ, „ბათუმმა" იოლად მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ექვსეულისკენ მიმავალ ძნელ გზაზე. ისე კი, ბოლო სამ ტურში ასლან ბალაძის სამწყსოსთვის ეს მეშვიდე ქულა გახლდათ და მეორე წრეც თუ ასე შემართებით გააგრძელეს, რჩეულთა შორის მოხვედრას წინ არაფერი დაუდგება.

აი, „იბერიაზე" რაღა გითხრათ. ურთულესი ამოცანის წინაშე დგას სოსო ფრუიძე და თუ რაიმე არ მოიმოქმედა, ჩათვალეთ, რომ სამტრედიელებს გავარდნა არ ასცდებათ. მათი გუშინწინდელი გარჯა ამის წინაპირობას ნამდვილად იძლევა.

**ბოლნისი**
**29 ოქტომბერი**
**15 საათი**
**თემურ სტეფანია**
**900 (ტევადობა 3 000)**

## სიონი 0:1 თსუ

0:1 ახალაძე (18)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (ჩაგელიშვილი 28, სვანიძე 68), მინდიაშვილი (კ. მეტრეველი 57), ბარნოვი, მოსეშვილი, სოლოლაშვილი, ისიანი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, დემურიშვილი
თსუ: მამარდაშვილი, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, სვანაძე, რ. გოცირიძე, ნუწუნავა (არეშიძე 90), ახალაძე (ადამია 65), ერაძე, ვადაჭკორია
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ბ. ნოზაძე, მორჩილაძე
გაფრთხილება: ებრალიძე (60), მამარდაშვილი (80)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

# სიონმა პრეზიდენტი გააბრაზა წაგებამ პერსპექტივა გააჩინა

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

კვლავაც თავში მიტრიალებს ამ შეხვედრის პერიპეტიები და თვალი უნებურად მატჩის სტატისტიკური მონაცემებისკენ გამირბის.

კუთხურების რაოდენობა: 17-0; კარისკენ დარტყმების მაჩვენებელი: 12-4; კარში დარტყმა: 11-1... რაოდენ უსუსურია ყველანაირი სტატისტიკა საფინალო შედეგთან. დიახ, თსუ-ს კუთხური არ ჩაუწოდებია, მეტოქეზე თითქმის სამჯერ მეტად დაჯარიმდა, კარში კი ერთადერთხელ დაარტყა და 1:0 გაიმარჯვა, საოცარია? ფეხბურთისას რას გაიგებ...

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, თავისი გუნდის მატჩს პირველად დაესწრო „სიონის“ ოფიციალური პრეზიდენტი ზურაბ ლობჟანიძე. ერთი შეხედვით მშვიდმა და გაწონასწორებულმა პიროვნებამ მტკივნეულად განიცადა თავისიანთა მარცხი. თუმც, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე მოუვიდათ ბოლნისელებს.

საქმე ისაა, რომ ნამატჩევს ზურაბ ლობჟანიძისა და „სიონის“ საპატიო პრეზიდენტის, ზურაბ ჯაფარიძის საოცარი შეთანხმების მოწმე გავხდი...

— ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. ვგრძნობდი, რომ დავმარცხდებოდით. „სიონი“ უპირველესად ფსიქოლოგიურად გატყდა. საშინლად იმედგაცრუებული ვარ — აღშფოთებას ვერ მალავდა ლობჟანიძე.

ზურაბ ჯაფარიძესაც დანა პირს არ უხსნიდა და უცებ უჩვეულო რამ მოხდა.

— მე გავბრაზდი და გადავწყვიტე, ამ საქმეს ხელი მოვკიდო. ბოლნისში დიდ გუნდს გავაკეთებთ და შენი თანადგომის იმედიც მაქვს, ზურაბ — შესძახა ლობჟანიძემ და ხელი გაუწოდა ჯაფარიძეს. ბოლნისის გამგებელმაც გამოიდარა, უმალ მიიღო გამოწვევა და თავისი მარჯვენა შეაგება მას. ლობჟანიძეს ყველა სიტყვის კაცად იცნობს.

ეშველა „სიონს“ და ეგააო, ჩაილაპარაკა ამ ეპიზოდის მომსწრე კიდევ ერთმა პიროვნებამ და მზერა ბოლნისელთა პრეზიდენტზე შეაჩერა.

ერთი სიტყვით, გუშინ ისტორიული დღე იყო „სიონისთვის“. მატჩი კი...

თსუ მშვენიერი გუნდია, ახალგაზრდები საოცრად მობილიზებულნი და შემართულნი ხვდებიან თითოეულ მატჩს, ბოლნისში მათი გამარჯვება გარკვეულწილად გმირობის ტოლფასიცაა და არანაირი სურვილი არ მაქვს, იგი გავაფერმკრთალო, მაგრამ, ჩემი აზრით, „სიონის“ მარცხის უპირველესი მიზეზი ისევ და ისევ „სიონია“.

ბოლნისელთა წაგება მთავარი მწვრთნელის შეცდომებმაც განაპირობა. მოულოდნელი იყო „სიონის“ ძირითად შემადგენლობაში მინდიაშვილის მარცხენა მცველის პოზიციაზე ხილვა, მის ადგილზე კი მცველის — დიმიტრიშვილის გამოჩენა. ამ გადანაცვლებამ ერთობ აზარალა ბოლნისელები. ფაქტობრივად, ფლანგი მოშლილი იყო, უჩვეულო პოზიციაზე მყოფი მინდიაშვილი თავის სრულად წარმოჩენას ვერ ახერხებდა, ფეხმტკივანი დიმიტრიშვილი კი საქმეს ვერ აუდიოდა. მე-18 წუთზე თავური გადაცემებით მასპინძლებს სტუმართა უიშვიათესი კონტრშეტევა გამოეპარათ, სტუდენტთა შორის ერთ-ერთმა საუკეთესომ, კახა ახალაძემ გოცირიძეს კედელი გაუთამაშა და საჯარიმოში შესულმა მოძრაობაზე დაიჭირა ვოლკოვი — 0:1.

გოლმა „სიონი“ გააავფთრა, მაგრამ გუნდის მარცხენა ფლანგი საფუძვლიან გარდაქმნას მოითხოვდა და მაშინ, როდესაც ყველა კონსტანტინე მეტრეველის გამოჩენას ელოდა, არჩვაძემ ჩაგელიშვილი დიმიტრიშვილს შეუნაცვლა, მინდიაშვილი კი კვლავაც დაცვაში დატოვა...

— ჩაგელიშვილის სისწრაფის იმედი მქონდა, მაგრამ შევცდი — თქვა ნამატჩევს სიონელთა გულგატეხილმა თავკაცმა.

მატჩის პერიპეტიების აღწერას აზრი არა აქვს, ეს შორს წაგვიყვანს, ერთს კი ვიტყვი — მთელი მატჩის განმავლობაში „სიონი“ მეტოქის საჯარიმოს არ მოსცილებია, მომენტი მომენტზე იქმნებოდა სტუდენტთა კართან. საკითხავი მხოლოდ ის იყო, გაძლებდნენ თუ არა სტუმრები. გაძლეს და ამას დავით მამარდაშვილს უნდა უმადლოდნენ.

შეუდარებელი იყო კვირას ბოლნისში თსუ-ელთა მეკარე. მისი გარჯა მცველებმაც დააფასეს — ...ერაძემ და ებრალიძემ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი.

თსუ-მ გაიმარჯვა და უკვე ექვსეულის ფერხულში ჩაბმულმა გვარიანად შეაფერხა ამბიციური ბოლნისის „სიონი“. თუმცა რა, ხომ ვთქვით, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ასე რომ, ამ მატჩმა ორივე გუნდის პერსპექტივები გამოკვეთა.

პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი გამოცხადდა.

*თენგიზ კაცია, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:*

— ძალიან ძნელი იყო „ვიტ ჯორჯიასთან“ და „ტორპედოსთან“ მომქანცველი მატჩების შემდეგ მობილიზება. გამოგიტყდებით, რომ ამ შედეგს არ ველოდი, მაგრამ ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს, ჩვენ თავს ვაჯობეთ, იღბალიც წაგვეხმარა და გავიმარჯვეთ. „სიონი“ კი დიდებული იყო, ეს გუნდი ექვსეულში მოხვედრის რეალური კანდიდატია.

*სპარტაკ არჩვაძე, „სიონის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ეს ფეხბურთია, შეცდომები ჩვენშია საძიებელი, რაც გარკვეულწილად ჩვენი გუნდის ბევრი ფეხბურთელის ტრავმებითაცაა განპირობებული და მაინც, მატჩი მეკარე დავით მამარდაშვილმა მოიგო. ჩვენ კი მომხდარს სათანადოდ გავაანალიზებთ, სწორ დასკვნებს გავაკეთებთ და კვლავაც განვაგრძობთ ექვსეულში მოსახვედრად ბრძოლას.

**თბილისი**
**29 ოქტომბერი**
**15 საათი**
**ეროვნული**
**500 (ტევადობა 70 900)**

## დინამო 2:0 გორდა

1:0 ზირაქიშვილი (50), 2:0 გოგოლაძე (79)
დინამო: ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე, მაზიაშვილი (ბურდული 71), სიჭინავა, გადელია (კ. გოგოლაძე 75), ზირაქიშვილი (რუხაძე 80), ჯინჭარაძე
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; დათვაძე, გ. ვ. მიქაძე
გორდა: ნიკურაძე, მჭედლიძე, ლაშა სილაგაძე, ა. ბურნაძე, ფოჩხუა, კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (ივერიანი 64), ბუკია (მ. სახვაძე 64), ბაჩილავა, კიტეიშვილი (მელაძე 59), მიშველიძე
*სათადარიგონი:* გონგაძე; წიკლაური, პატარიძე
გაფრთხილება: გადელია (39), ა. სახვაძე (57)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. დოლიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

# მაჟორ-მინორი

დავით თავართქილაძე

წინა ტურში მშობლიურ „ფოლადზე“ წაგების შემდეგ რუსთაველები გადასხვაფერებული შემადგენლობით წარდგნენ ქვეყნის მთავარ სარბიელზე, მაგრამ არც ასეთი „გორდა“ გამოდგა დიდი ხვითო. ფრთები არც „დინამოს“ გამოუსხამს, საკუთარი, ისედაც ემოციური თავკაცი გვარიანად ანერვიულა და არცთუ იოლად მიითვალა მეშვიდე გამარჯვება მეთორმეტე ეროვნულში.

შეხვედრის დებიუტში ყოჩაღად ირჯებოდნენ რუსთაველები, ერთი-ორი მწვავე იერიშიც განახორციელეს, მაგრამ საქმე კარის გასწვრივ სახიფათო ჩაწოდებებზე შორს არ წასულა.

10-15 წუთის შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და თამაშიც ძირითადად სტუმართა მოედნის ნახევარზე წარიმართა, თუმცა „გორდამ“ იმას კი მიაღწია, რომ „დინამოს“ კომბინაციური სტილით მოქმედება არ დაანება. მასპინძლები დიდ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ვერ ლალობდნენ, ჩაკეტილი თამაში მიდიოდა.

„დინამო“ უმეტესად მარცხენა ფლანგიდან უტევდა მწვავედ. არჩილ სახვაძის ჩაწოდებები თავურებით გააცუდეს გადელიამ, ზირაქიშვილმა და ვაშაკიძემ. ინდივიდუალური ოსტატობით ფონს გასვლას ცდილობდა ზაზა ზირაქიშვილი, მაგრამ მისი და გადელიას ტანდემი თავდასხმაში არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

დინამოელებმა შორეული დარტყმებითაც სცადეს ფონს გასვლა, მაგრამ ვერც ამით მოიწონეს თავი.

გოლის დაგვიანებამ, რა თქმა უნდა, ცუდი სამსახური გაუწია მასპინძლებს, მაგრამ „გორდამ“ ამ ფაქტით ვერ ისარგებლა, ალბათ, თავს ზემოთ ძალა არ იყო.

მეორე ტაიმში „გორდას“ კართან შექმნილი პირველივე ხიფათი კი გოლით დასრულდა — სახვაძის დარტყმულს რიკოშეტი მოჰყვა, ბურთი კარგ პოზიციაში მყოფ ზირაქიშვილს მიუვიდა და „დინამოს“ ფორვარდმაც 3-4 მეტრიდან აულებლად დაურტყა ნიკურაძეს.

გოლმა მასპინძლები თითქოსდა დაამშვიდა, არც სტუმრები შეშფოთებულან მაინცდამაინც. ასე რომ, მატჩის საერთო სურათი დიდად არ შეცვლილა, „დინამო“ უტევდა, „გორდა“ კი თავს იცავდა.

ანგარიშის გაზრდის კარგი შანსი ჰქონდა სახვაძეს — საჯარიმოში შეჭრილმა „დინამოს“ მარცხენაფლანგელმა მოჭრილი ძლიერი დარტყმა აგემა ნიკურაძეს, მაგრამ რუსთაველთა მეკარემ წარმოუდგენელი რეაქცია გამოავლინა და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

შეხვედრის მიწურულს თამაში ოდნავ დაიძაბა. ცხადი გახდა, რომ „დინამოს“ სრული სიმშვიდისთვის მეორე გოლიც ესაჭიროებოდა, ჰოდა, რევაზ არველაძემაც მრავალნაცადი კახა გოგოლაძე იახლა მინდორზე.

შუაზიამოვლილ ფორვარდს ოთხადოთხი წუთი დასჭირდა თავისი საქმის გასაკეთებლად. პაატა ჯინჭარაძემ საკუთარი მოედნის ნახევრიდან დაახლოებით 30-მეტრიანი რეიდი განახორციელა და გოგოლაძე დროული პასით გარღვევაზე გაიყვანა, რუსთაველთა საჯარიმოს მარჯვენა წიბოსთან მყოფმა თავდამსხმელმა ბურთი მარცხენა ფეხზე გაისწორა და მოჭრილი ცაციათი მარჯვენა მაღალ კუთხეში გაუტანა ნიკურაძეს.

ერთი სიტყვით, მაჟორულად ჩაამთავრა დასნეულებულმა „დინამომ“ პირველი წრე — ბოლო 3 მატჩი 11 გატანილი გოლით მშრალად მოიგო, „გორდამ“ კი წაგებათა ჰეთ-თრიქი შეასრულა, შთამბეჭდავ სტარტს მინორული ეპილოგი გამოუძერწა.

ისე, კი ამბობდა წამატებული სტარტის შემდეგ რუსთაველთა თავკაცი იასონ ალადაშვილი, „გორდას“ პატრონი ახლახან გამოუჩნდა, სული ძლივს მოვითქვით და ბევრსაც ნუ მოგვთხოვთ, მთავარი მიზანი კვლავაც უმაღლეს ლიგაში დარჩენა იქნებაო.



კვირას ეროვნულზე: „დინამო“ — „გორდა“ 2:0. ვაშაკიძის (№3), გადელიას და ზირაქიშვილის (№10) იერიში სტუმართა მეკარე ნიკურაძემ (№12) მუშტებით მოიგერია

## ინგლისი

# ამ ქვეყანაზე ერთი ხარ, ერთი!

### XI ტური

**ბრედფორდი 1:1 ლიდსი**

1:0 კოლიმორი (21), 1:1 ვიდუკა (80)
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, ვეზეროლი, უოლი, აზერტონი, მაკკოლი, ლოურენსი, ბიგრი (შარპი 90), პეტრესკუ, კარბონე (უორდი 72), კოლიმორი (სონდერსი 71)
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ვუდგეიტი, პეი, ჰარტი, მატეო, დაკური, ბოიერი (ბარნსი 63), ბაკე, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ლოურენსი, კლარკი, ბიგრი, ბაკე, ჰარტი, დაკური, ვიდუკა
17 364 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ევერტონი**

1:0 ბარმბი (12), 1:1 კემპბელი (17), 2:1 ჰესკი (56), 3:1 ბერგერი (78პ)
ლივერპული: ვესტერფელდი, ჯერარდი (კარაგერი 87), ციგე, ჰიიპია, ბაბელი, ბერგერი, ჰამანი, მაკალისტერი, ბარმბი, ფაულერი (შმიცერი 69), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ევერტონი: ჟერარი, ბოლი (ნეისმიტი 54), ვეირი, უოტსონი, ნიარკო, პემბრიჯი, შავიერი, გრაველსენი, ტალი (მური 67), გესქოინი, კ. კემპბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: პემბრიჯი
გაძევება: გრაველსენი (77)
44 718 მაყურებელი

**არსენალი 5:0 მანჩესტერ სიტი**

1:0 კოული (44), 2:0 ბერხკამპი (52), 3:0 ვილტორდი (75), 4:0, 5:0 ანრი (82, 88)
არსენალი: ლუკიჩი, ლუჟნი (დიქსონი 69), კიოუნი, ადამსი, გრიმანდი, ვიეირა, პარლოუ (ვილტორდი 70), ანრი, პირესი (ლიუნგბერგი 21), ბერხკამპი, ეშლი კოული
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მანჩესტერ სიტი: ვიავერი, ვიკენსი, პრიორი, ტიატო, ჰაუი, ჰაალანდი, რიჩი, უიტლი, დიკოვი, გოტერი (კენედი 70), ვარვე
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: გოტერი, დიკოვი, ტიატო
გაძევება: ტიატო (43)
38 049 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:1 ჩარლტონი**

1:0 ტეილორი (33), 2:0 მერსონი (41), 2:1 დაბლინი (82ს.კ.)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი, ალფაი, ტეილორი, ბოატენგი, სტოუნი, მერსონი, დაბლინი, ჯოუჩიმი (ვასელი 72)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ჩარლტონი: კიელი, პაუელი (კონჩესკი 64), ტოდი, ტაილერი, ბრაუნი, იენსენი, კინსელა, ს. რობინსონი (ლისბი 64), სტიუარტი, იოჰანსონი, სვენსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: რაიტი, ტეილორი, ალფაი, კინსელა, სტიუარტი, კონჩესკი
27 461 მაყურებელი

**ჩელსი 3:0 ტოტენჰემი**

1:0 ჰასელბაინკი (13პ), 2:0 ძოლა (39), 3:0 ჰასელბაინკი (87)
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, ფერერი, მელხიოტი, პოიეტი (ფლო 64), უაიზი, დალა ბონა, ძოლა (იოკანოვიჩი 68), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, კარი, ვეგა, პერი, ფრიონდი (დევისი 80), ანდერტონი, შერვუდი, კორსტენი (დოჰერტი 80), კლემენსი, ლ. ფერდინანდი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: ლებეფი, ბაბაიარო, ანდერტონი, შერვუდი, კარი
34 966 მაყურებელი

**იფსვიჩი 2:1 მიდლსბრო**

1:0 ნეილორი (25), 2:0 ვენუსი (28), 2:1 გორდონი (68)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, ვენუსი, მაკგრელი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, მეჯილტონი (მოუკროფტი 90), სტიუარტი (ჯონსონი 73), ჯ. რაიტი, ნეილორი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
მიდლსბრო: კროსლი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, კარამბუ, დინი (მარინელი 76), ე. კემპბელი (ჟობი 79), რიკარდი (ველანი 32), სამერბელი, კუპერი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: სამერბელი, ვიკერსი
21 771 მაყურებელი

**ლესტერი 2:1 დერბი ქაუნთი**

0:1 დელაპი (12), 1:1 იზეტი (31), 2:1 გუნლაუგსონი (76)
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, გაპი (გუნლაუგსონი 74), დევიდსონი, სევიჯი, ლენონი, იზეტი, კროსველი (იდი 69), აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
დერბი ქაუნთი: პოომი, პაუელი, შნური (ძინძლაძე 82), დელაპი, ბარლი, ჯონსონი, უ. ბარტონი, ს. ელიოტი, ერანიო (კრისტი 46)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ვალაკარი, კრისტი, ს. ელიოტი
20 525 მაყურებელი

**მანჩესტერი 5:0 საუთჰემპტონი**

1:0 კოული (9), 2:0, 3:0, 4:0 შერინგემი (45, 51, 55), 5:0 კოული (73)
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, ირვინი, ბრაუნი, გ. ნევილი (უოლვორკი 59), ბეკჰემი, ბატი, სქოულზი, შერინგემი (იორკი 75), ენდი კოული (სოლსკიაერი 75), გიგზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ოკლი (მარსდენი 72), დრეიპერი, დევისი, პახარსი, ბრიჯი, ელ ხალეჯი (ბენალი 81), ტესემი (ბიტი 66), კაჩლული
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
67 581 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 ქოვენთრი**

1:0 ტომე (52)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, კრადოკი, ტომე, ჰათჩისონი, რაე, უილიამსი, არკა, ფილიპსი, ნ. ქუინი (დიჩიო 86)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ქოვენთრი: კირკლენდი, შოუ, უილიამსი, ბრინი, ტელფერი, გერერო (ტომპსონი 80), ჰაჯი, ჩიპო, ბ. ქუინი (ოსტიჩი 73), ალოიზი (რუსელი 53), ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მაკინი, უილიამსი, ჩიპო, კირკლენდი
44 526 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:0 ნიუკასლი**

1:0 კანო (73)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, ტ. სინკლერი, რ. ფერდინანდი, უინტერბერნი (პოტსი 65), ი. პირსი, ლამპარდი, კარიკი, ჯ. კოული (შუკერი 69), დი კანიო, კანო (მონკუ 88)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ნიუკასლი: გივენი, გომა, აკუნია, ლი (გლასი 82), დაიერი, შირერი, სპიდი, გრიფინი, სოლანო, ა. ჰიუზი, ლუა ლუა (კორდონე 81)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: უინტერბერნი, მონკუ, შუკერი, სოლანო, ლუა ლუა
20 044 მაყურებელი

**მართლაც** ერთადერთია „დერბი ქაუნთი“. არა მარტო პრემიერლიგაში, არამედ მთელს ინგლისში — ოთხივე დივიზიონის 92 პროფესიონალური გუნდიდან გიო ქინქლაძეს „დერბი“ ერთადერთია, ვისაც ამ სეზონში ჯერ არ მოუგია. არადა, ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა.

შაბათს ლესტერში რორი დელაპი შეეცადა ამ უსიამოვნო სერიის დასრულებას და მე-12 წუთზე ანგარიშიც გახსნა, მაგრამ ჯერ თურქულის არმცოდნე თურქმა მაზი იზეტმა გაათანაბრა, დამთავრებამდე 14 წუთით ადრე კი წუთის წინ შეცვლაზე შესულმა ისლანდიელმა არნარ გუნლაუგსონმა სტუმრებს ქულის იმედიც მოუსპო. მხოლოდ ამის მერე იხმო წყალშეყენებულმა ჯიმ სმიტმა ქინქლაძე — არიქა, გვიშველეო — მაგრამ 8 წუთი ამისთვის მეტად მცირე დრო აღმოჩნდა. მოკლედ, „დერბი“ ბოლოა და თუ რაიმე არ იღონა, პრემიერლიგას, ვგონებთ, საახალწლოდ, პირველი წრის დამთავრებისთანავე დაემშვიდობება.

რა უნდა იღონოს? თუნდაც იმის მსგავსი რამ, რაც ცხრილში მისმა მეზობელმა „ბრედფორდმა“ მოიმოქმედა — ამან ხომ გასულ კვირას ყველასგან შერისხული სტენ კოლიმორი შეიძინა. ჭირვეულმა ფორვარდმაც არ დაახანა და გუშინწინ ახალ გუნდში დებიუტი ზღაპრული მაკრატელა გოლით აღნიშნა. გმირობამდე „ბრედფორდის“ ახალწვეულს სანტიმეტრილა დააკლდა — 67-ე წუთზე მისი დარტყმული „ბარსელონასთან“ თავგამოჩენილი რობინსონის კარს ოდნავ ასცდა. 7 წუთში კოლიმორი შეცვალეს, კიდევ რვა წუთში კი მარკ ვიდუკამ შეაგდო და ტურში ერთადერთი ფრე დააფიქსირა.

დანარჩენ 9 შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს, სტუმრისადმი განსაკუთრებული უპატივცემულობა კი ლიდერებმა გამოამჟღავნეს.

ჩემპიონთა ლიგაში დაგროვილი ბოღმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შაბათს გლენ ჰოდლის „საუთჰემპტონზე“ ამოანთხია. თანაც ალექს ფერგიუსონს და მის ბიჭებს ისიც კარგად ახსოვდათ, შარშან ამ გუნდმა „ოლდ ტრეფორდზე“ 3:3 რომ „იკადრა“. მაშინ „იუნაიტედის“ კარს იტალიელი მასიმო ტაიბი იცავდა (როგორ, ანგარიშიდანაც ჩანს), შაბათს კი ფრანგმა ბარტეზმა სტუმრებს ნახევარშანსიც არ დაუტოვა. თავის მხრივ, ერთმანეთზე გაბუტულმა კოულმა და შერინგემმა სამხრეთელთა კარის ამოვსება არ დაიზარეს. განსაკუთრებით აღსანიშნავი ვეტერანი შერინგემის 10-წუთიანი ჰეთ-თრიქი გახლდათ — პირველი პრემიერლიგური „მანჩესტერის“ შემადგენლობაში.

იმავ დროს მწუხარებას დაესადგურებინა მანჩესტერის მეორე ნაწილში ანუ „სიტის“ ფანობაში: ექვსსაათიანი წინ და უკან მგზავრობა შენი გუნდის განადგურების სანახავად მართლაც ვერაა საშური საქმე.

ისევე როგორც „ოლდ ტრეფორდზე“, „ჰაიბერიზეც“ ანგარიში კოულმა გახსნა — ჭაბუკმა მცველმა ეშლი კოულმა „არსენალის“ ძირითადში საშინაო დებიუტი გოლით გაილამაზა. ეს ამბავი 44-ე წუთზე მოხდა და იმ დროს „სიტი“ უკვე ათი კაცით თამაშობდა: წუთით ადრე ავსტრალიელმა დენი ტიატომ ანრისთან უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ჰოდა, მეთოფეთა ბუნაგშიც ბათქი-ბუთქი სწორედ ამის მერე ატყდა. კოულის მერე მეტოქისთვის ზუსტად სროლა არც ბერხკამპმა და ვილტორდმა ითაკილეს, საკონტროლო გასროლა კი (თანაც ორი), ემანდ ხომ არ ბორგავსო, ტიერი ანრიმ ითავა. „0:5 ნამეტანია. შედეგი სულაც არ ასახავს თამაშის მიმდინარეობას“ — დაიჩივლა „სიტის“ მწვრთნელმა ჯო როილმა, ვისაც ტიატოს გაძევებაზეც ჰქონდა პრეტენზია. კოლეგის მდგომარეობაში არსენ ვენგერიც შევიდა და დიპლომატიური ფრაზით შემოიფარგლა: სტუმრებს რომ პირველებს გაეტანათ, ასე იოლად ველარ გავიმარჯვებდითო.

კიდევ ერთი გაძევება კვირას „ენფილდ როუდზე“ დაფიქსირდა და მასაც წუთში გოლი მოჰყვა — ევერტონელმა დანიელმა თომას გრაველსენმა საჯარიმოში შეჭრილი ჩეხი შმიცერი მოცელა, თანამემამულის წყენა კი სტუმრებს ბერგერმა არ შეარჩინა. პენალტიდან გატანილი ეს გოლი ლივერპულური დერბის მეოთხე და ბოლო გამოდგა.

ანგარიში კი ნახევარ ლივერპულში ყველაზე საძულველმა კაცმა, ნიკ ბარმბიმ გახსნა. ივლისში „ევერტონიდან“ „ლივერპულში“ 6 მილიონად გადაბარგებულმა ყოფილ კლუბთან პირველივე შეხვედრაში დაამტკიცა, რომ არაფრის ერიდება. ბარმბის ლანძღვა სტუმართა ტრიბუნაზე მალე ყიჟინამ შეცვალა — კემპბელმა გაათანაბრა, მაგრამ თანაფარდობამ 56-ე წუთამდე გასტანა. აქ კი ემილ ჰესკიმ ბოლო ოთხ თამაშში თავი მეექვსედ გამოიჩინა.

მაგრამ ეს რაა — ჩელსელმა ჰოლანდიელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ექვსი გოლის გატანა ბოლო ორ თამაშში მოახერხა. წინა ტურში „ქოვენთრისთან“ გახერხებულ „პოკერს“ ჯიმიმ გასულ შაბათს წყვილი გოლი წაუმატა და ბომბარდირთა სიაში კიდევ უფრო დაწინაურდა. ამ ორი გამარჯვებით კლაუდიო რანიერის გუნდი მეტნაკლებად შესაფერის, მეექვსე ადგილზეც დამკვიდრდა, თუმცა იტალიელი მწვრთნელი ამის საგანგებოდ აღნიშვნას სულაც არ აპირებს: „მე კმაყოფილი არასდროს ვარ. კიდევ ათასი წელი რომ ვითამაშოთ სრულყოფას მაინც ვერ მივაღწევთ, იმიტომ, რომ სრულყოფილი ამქვეყნად არაფერია.“ [illegible]

ისე, „ჩელსის“ გამარჯვება [illegible] ელ მეზობელთან მოსალოდნელიც იყო — „ტოტენჰემს“ ათწლეულზე მეტია, ამ გუნდისთვის არ მოუგია. დაახლოებით ასეთ დღეშია „ნიუკასლიც“, ვისთვისაც ლონდონიდან სამი ქულის წაღება ოცნებად ქცეულა. ბოლო ოცი ვიზიტი დედაქალაქში ჯორდებისთვის მაქსიმუმ ქულის მოპოვებით მთავრდება, თუმცა შაბათს „აპტონ პარკზე“ ბობი რობსონის გუნდმა ესეც ვერ შეძლო — დავორ შუკერის პასით ფრედერიც კანომ „ვესტ ჰემს“ შინ ამ სეზონში პირველად მოაგებინა.

ბირმინგემში კი დიონ დაბლინმა უგოლო თამაშთა სერია შეწყვიტა, თუმცა ამით მხოლოდ საკუთარი მეკარე გაანაწყენა...

**გიგა ძოგახიძე**



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — საუთჰემპტონი 5:0. მანჩესტერელი ტედი შერინგემი საუკეთესო ბომბარდირთა ლიდერებში გაერია

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 31:8 | 23 | 24 | 6 | 5 | 1 | 0 | 22:3 | 19 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 8 |
| 2 არსენალი | 11 | 7 | 3 | 1 | 22:10 | 12 | 24 | 6 | 6 | 0 | 0 | 16:4 | 12 | 18 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 0 | 6 |
| 3 ლივერპული | 11 | 6 | 3 | 2 | 20:14 | 6 | 21 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:5 | 7 | 16 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | –1 | 5 |
| 4 ლესტერი | 11 | 5 | 4 | 2 | 9:7 | 2 | 19 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 3:1 | 2 | 8 |
| 5 იფსვიჩი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:12 | 4 | 18 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 3 | 9 |
| 6 ჩელსი | 11 | 4 | 4 | 3 | 22:14 | 8 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 13 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | –3 | 3 |
| 7 ასტონ ვილა | 10 | 4 | 4 | 2 | 13:9 | 4 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | –2 | 5 |
| 8 ნიუკასლი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 16 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:6 | 0 | 9 |
| 9 სანდერლენდი | 11 | 4 | 4 | 3 | 9:11 | –2 | 16 | 6 | 4 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 14 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | –6 | 2 |
| 10 ლიდსი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:14 | 1 | 15 | 5 | 3 | 0 | 2 | 11:8 | 3 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | –2 | 6 |
| 11 ჩარლტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:18 | –1 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:15 | –7 | 4 |
| 12 ტოტენჰემი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:17 | –2 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:13 | –8 | 1 |
| 13 სიტი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:19 | –5 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:13 | –7 | 7 |
| 14 ევერტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:19 | –5 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | –2 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | –3 | 7 |
| 15 ვესტ ჰემი | 11 | 2 | 5 | 4 | 13:14 | –1 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | –1 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 5 |
| 16 ქოვენთრი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:22 | –11 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | –6 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:13 | –5 | 7 |
| 17 მიდლსბრო | 11 | 2 | 4 | 5 | 16:18 | –2 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:9 | –4 | 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 8 |
| 18 საუთჰემპტონი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:20 | –8 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | –3 | 4 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:10 | –5 | 6 |
| 19 ბრედფორდი | 11 | 1 | 4 | 6 | 5:17 | –12 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | –1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:12 | –11 | 1 |
| 20 დერბი ქაუნთი | 11 | 0 | 5 | 6 | 16:28 | –12 | 5 | 5 | 0 | 4 | 1 | 8:12 | –4 | 4 | 6 | 0 | 1 | 5 | 8:16 | –8 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 10 |
| ანრი (არსენალი) | 8 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 7 |

### XII ტური

4 ნოემბერი
ჩარლტონი — ბრედფორდი
ქოვენთრი — მანჩესტერი
ლიდსი — ლივერპული
სიტი — ლესტერი
მიდლსბრო — არსენალი
ნიუკასლი — იფსვიჩი
საუთჰემპტონი — ჩელსი
ტოტენჰემი — სანდერლენდი

5 ნოემბერი
ევერტონი — ასტონ ვილა

6 ნოემბერი
დერბი ქაუნთი — ვესტ ჰემი

## პირველი დივიზიონი

### XVI ტური

**ვულვზი 2:2 უოტფორდი**

0:1 კოქსი (33), 0:2 მუნი (39), 1:2 მუსკატი (47პ), 2:2 დინინგი (75)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, პოლეტი (პიკოკი 29), ლესკოტი, ბაზელი, ოსბორნი, დინინგი, სინტონი (რობინსონი 46), ძეცბაია, ბრენჩი
მწვრთნელი: კოლინ ლი
20 296 მაყურებელი

**გრიმსბი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ალენი (59), 2:0 ნილსენი (84)

**ბოლტონი 3:3 კრისტალ პალასი**

1:0 ბერგსონი (20), 1:1 ფრიდმანი (41), 2:1 რიკეტსი (75), 3:1 ფრანდსენი (77), 3:2 ფრიდმანი (87), 3:3 მორისონი (90)

**ჯილინგემი 0:1 ქრიუ**

0:1 ლიტლი (52)

**ჰადერსფილდი 0:1 ბლექბერნი**

0:1 ოსტენსტადი (73)

**პორტსმუთი 1:1 ბირმინგემი**

1:0 ბრედბერი (41), 1:1 იდენი (48)

**შეფილდ უენსდი 3:3 ფულემი**

1:0 სიბონი (41), 1:1 საჰა (47), 1:2 ჰეილსი (55), 2:2 მორისონი (72), 2:3 მელვილი (82), 3:3 ვესტვუდი (90)

**სტოკპორტი 1:2 ნოტინგემი**

1:0 ედვარდსი (48ს.კ.), 1:1, 1:2 ლესტერი (75, 88)

**ტრანმერი 1:1 ქუინზ პარკი**

1:0 კუმასი (58), 1:1 კონოლი (83)

**უიმბლდონი 0:0 შეფილდ იუნ.**

**პრესტონი 1:2 ბარნსლი**

0:1 დიერი (33), 0:2 შერონი (52), 1:2 მაკენი (86)

**ბარნლი — ნორვიჩი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 14 | 11 | 3 | 0 | 30:11 | 36 |
| ფულემი | 14 | 11 | 2 | 1 | 34:10 | 35 |
| ბირმინგემი | 15 | 9 | 3 | 3 | 24:12 | 30 |
| პრესტონი | 15 | 8 | 4 | 3 | 18:11 | 28 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 8 | 3 | 5 | 18:18 | 27 |
| ბოლტონი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:17 | 26 |
| ბარნლი | 14 | 7 | 4 | 3 | 15:16 | 25 |
| ბლექბერნი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:15 | 24 |
| ნოტინგემი | 14 | 7 | 3 | 4 | 19:16 | 24 |
| შეფილდ იუნ. | 14 | 7 | 3 | 4 | 16:13 | 24 |
| პორტსმუთი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:19 | 21 |
| ბარნსლი | 15 | 5 | 4 | 6 | 23:25 | 19 |
| უიმბლდონი | 14 | 4 | 6 | 4 | 21:14 | 18 |
| გრიმსბი | 14 | 5 | 2 | 7 | 11:15 | 17 |
| ვულვზი | 15 | 3 | 7 | 5 | 15:15 | 16 |
| ჯილინგემი | 16 | 3 | 7 | 6 | 18:23 | 16 |
| ტრანმერი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:25 | 16 |
| ქრიუ | 15 | 4 | 3 | 8 | 10:19 | 15 |
| ნორვიჩი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:16 | 14 |
| ქუინზ პარკი | 14 | 2 | 6 | 6 | 14:21 | 12 |
| უენსდი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:27 | 12 |
| სტოკპორტი | 16 | 2 | 5 | 9 | 17:30 | 11 |
| კრ. პალასი | 15 | 2 | 3 | 10 | 13:24 | 9 |
| ჰადერსფილდი | 15 | 1 | 4 | 10 | 10:22 | 7 |

## მეორე დივიზიონი

მე-16 ტური: ბრენტფორდი — უოლსოლი 2:1; როვერსი — ოლდემი 0:2; ლუთონი — რექსჰემი 3:4; მილუოლი — კემბრიჯი 3:1; ნორთჰემპტონი — როტერჰემი 0:1; ნოტსი — სუინდონი 3:2; პიტერბრო — კოლჩესტერი 3:1; რედინგი — ოქსფორდი 4:3; სტოკი — ბორნმუთი 2:1; სუონსი — პორტველი 0:1; უიგანი — ბერი 1:0; უიკომბი — ბრისტოლი 1:2

## მესამე დივიზიონი

მე-16 ტური: ბარნეტი — ლინკოლნი 4:3; კარლაილი — სკანთორპი 1:2; ჩელტნემი — ბლექპული 0:1; ჩესტერფილდი — კარდიფი 2:2; დარლინგტონი — ბრაიტონი 1:2; ექსეტერი — როჩდეილი 0:1; ჰარტლპული — ლეიტონი 2:1; მაკლსფილდი — ჰალიფაქსი 0:0; მენსფილდი — საუთენდი 1:1; შრიუსბერი — ტორკი 1:1; იორკი — ჰალი 0:0; პლიმუთი — კიდერმინსტერი გადაიდო

# შენ ის სერა არა ხარ?

## ესპანეთი

### VII ტური

**ოსასუნა 1:2 ვალენსია**

1:0 მატეო (6), 1:1 კრუჩაგა (19ს.კ.), 1:2 კარეუ (85)
ოსასუნა: ნუნო, მატეო, ვიდაკოვიჩი, კრუჩაგა, იანგუსი, ლეკუმბერი, პალასიოსი, ანხელი (ალფონსო 53), არმენტანო, სენა (ალექსი 38), საბინო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, კარბონი, ჯუკიჩი, აიალა, ზაჰოვიჩი (დეშამპი 75), ბარახა, მენდიეტა (პარი 89), ხუან სანჩესი, კარეუ, კილი გონსალესი (ვისენტე 67)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: აიალა, კილი გონსალესი, ბარახა, იანგუსი, საბინო
16 152 მაყურებელი

**ლას პალმასი 2:1 რასინგი**

1:0 ულარე (28), 1:1 ამავისკა (57პ), 2:1 ულარე (82პ)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, შურერი, პაკუი, ალვარო, ბაიანო, ედუ ალონსო, გიარე (ორლანდო 76), სემვისი, ხორხე (გუდიონსონი 76), ულარე, ანხელი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
რასინგი: სებალიოსი, ხულიო ალვარესი (ესტევესი 72), სიეტესი, ტაისი, ჩემა, მელბერგი, ესპინია, ამავისკა, ხაიმე, პრესიადო (მანხარინი 63), რუშფელდტი
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: ბაიანო, ტაისი, ჩემა, ანხელი
18 069 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:0 ოვიედო**

1:0 სერხიო (18), 2:0 ტამუდო (58)
ესპანიოლი: მორა, ნანდო, პოჩეტინიო, კრისტობალი, ველამასანი (ნავასი 68), სერხიო, გალკა, როხერი, ტამუდო (ოსკარი 77), მარტინ პოსე (სერანო 86), ივან დიასი
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ოვიედო: ესტებანი, ონოპკო, მარტინოვიჩი (ნადი 64), დანჟუ, ივან ანია, ტომიჩი, ამიევა (რუბენი 64), ივო, კეიტა, ოლი, ლოსადა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: მარტინოვიჩი, დანჟუ, ველამასანი, ტამუდო
18 100 მაყურებელი

**სოსიედადი 1:4 რეალი**

0:1 გუტი (13), 0:2 იერო (41პ), 0:3 ფიგუ (46), 0:4 სავიო (63), 1:4 იანკაუსკასი (77)
სოსიედადი: ალბერტო, პიკაბეა, არანსაბალი, გურუჩაგა, ფუენტესი, დე პედრო (ხაბილონდო 56), ხოხლოვი (დე პაულა 56), ხაურეგი, არანბურუ, იანკაუსკასი, იდიაკესი
მწვრთნელი: პერიკო ალონსო
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი (სოლარი 56), კარანკა, იერო, გუტი (მორიენტესი 69), სავიო, მაკელელე (სანჩისი 76), ელგერა, ჯერემი, ფიგუ რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: დე პედრო, სავიო, არანბურუ, კარანკა
25 000 მაყურებელი

**სელტა 2:1 ვალიადოლიდი**

1:0 კარპინი (34), 2:0 ედუ (77), 2:1 ჩირიჩი (92)
სელტა: პინტო, მანოლო, ჯოროვიჩი, კასერესი, ველასკო, კარპინი (ხესული 80), ჯოვანელა, დორივა, კატანია, გუსტავო ლოპესი (ტომასი 71), მაკკარტი (ედუ 46)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვალიადოლიდი: რიკარდო, რიკეტი, მარკოსი, პაინცე, პენია, გარსია კალვო, ტორეს გომესი, ტურიელი (კამინერო 77), ეუსებიო (ჩემა 60), კავიდესი (ჩირიჩი 70), პაჩონი
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: ჯოვანელა, რიკეტი, მარკოსი, ველასკო, ჯოროვიჩი, კატანია, ტურიელი
გაძევება: მარკოსი (42)
22 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:1 მალაგა**

0:1 დარიო სილვა (48), 1:1 მონტენეგრო (57)
სარაგოსა: ხუანმი, მონტენეგრო, სუნდგრენი, რებოსიო, პაკო ხემესი, პაბლო, მარტინ ველისკა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი, ხუანელე (ფერონი 78)
მწვრთნელი: ლუიშ კოშტა
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ბრავო, ლარაინსარი, მუსამპა (ისნატა 71), დე ლოს სანტოსი, მოვილია (ზარატე 71), რუანო (ედგარი 84), დელი ვალდესი, დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ხუანელე, ბრავო, კონტრერასი, დე ლოს სანტოსი
გაძევება: სუნდგრენი (93)
18 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:0 ბარსელონა**

1:0 ეტოო (11), 2:0 იბაგასა (51)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ნადალი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, მარკოსი, იბაგასა, ენგონგა (სტანკოვიჩი 79), ფინიდი (ნოვო 74), ლუკე (ჩიჩი სოლერი 66), ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბარსელონა: დუტრუელი, სერხი, პუიოლი, აბელარდო, რაიციგერი (ხერარდი 46), ლუის ენრიკე (დე ლა პენია 65), ხავი (ალფონსო 65), კოკუ, სიმაო, დანი, რივალდო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, მარკოსი, ლუკე, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ალფონსო
22 400 მაყურებელი

**ვილიარეალი 0:0 ბილბაო**

ვილიარეალი: ლოპეს ვალენო, ბერუე არუაბარენა, კიკე ალვარესი, კანია, ამორი (ხავი გარსია 59), გალვანი, მარიონი, ვიქტორი, კალეხა (უნაი 59), ხორხე ლოპესი (ესკუდა 71)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
ბილბაო: ლაფუენტე, დელ ჰორნო, ლარასაბალი, ალკორტა, ლაკრუსი, გერერო (რობერტო რიოსი 90), ურუტია, ორბაისი, ოსკარ ვალესი, ურსაისი (ხავი გონსალესი 81), ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: ოსკარ ვალესი, ურუტია, ურსაისი, ეჩებერია, ესკუდა, უნაი
16 000 მაყურებელი

**ნუმანსია 1:2 დეპორტივო**

0:1 დონატო (14), 0:2 ფერნანდო (29), 1:2 რუბენ ნავარო (59)
ნუმანსია: ნუნიესი, პაჩეტა (რუბენ ნავარო 46), კლავერო, სორია, მუნისი, ხაუმე მარინი, ნაგორე, ოხედა (როსუ 66), დელგადო (ბარბუ 57), ინიაკი
მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო
დეპორტივო: მოლინა, ნაიბეტი, სეზარ სამპაიო, რომერო, მანუელ პაბლო, ჯალმინია (ვალერონი 72), ფერნანდო, სკალონი, ემერსონი, დონატო (პელდერი 46), პანდიანი (დიეგო ტრისტანი 62)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ფერნანდო, მარინი, როსუ
გაძევება: ფერნანდო (91)
10 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:1 ალავესი**

0:1 ხავი მორენო (4)
რაიო ვალეკანო: ლომბერდი, მინგო, დე კინტანა, ბალესტეროსი, ალკასარი (სეტველსი 58), მიჩელი, კვედო (გლაუჩიო 58), პელდერი, ბოშნერი, ბოლიჩი (ბარტელტი 77), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ალავესი: ერერა, ჯელი, ტელიესი, კარმონა, ეგენი, კონტრა, პაბლო (მაგნო 62), დესიო, ტომიჩი, ხავი მორენო (იბონ ბეგონია 69), კრუიფი (მარიო 83)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ხავი მორენო, მიჩელი, კრუიფი, მინგო, ტომიჩი, გლაუჩიო, კარმონა, დესიო, ერერა, იბონ ბეგონია
5 000 მაყურებელი

მხოლოდ ერთ შეხვედრაში მოხდა, რომ გუნდი იგებდა და დამარცხდა. დანარჩენ ცხრაში გოლგაშვებულებს სამი ქულა არ აუღიათ და რომ არა ის ერთი შემობრუნებული თამაში, ესპანეთში ახლა ოთხხელისუფლებიანობა იქნებოდა. კიდევ ის, რომ ამ ტურამდე ორი გუნდი იყო დაუმარცხებელი — „რაიო ვალეკანო“ და „ვალიადოლიდი“ და ახლა ერთიც აღარაა. სამ გუნდს კი, რომელთაც საშინაო მატჩი ვერ მოეგოთ — „ოსასუნა“, „სოსიედადი“ და „სარაგოსა“ — ამჯერადაც არ გაუმართლა.

„ოსასუნა“ წაგებას არ იმსახურებდა. პამპლონელებმა ტოლი არ დაუდეს დივიზიონის ერთ-ერთ ფავორიტ „ვალენსიას“ და უიღბლობით დამარცხდნენ, რაც ფეხბურთში საკმაოდ ხშირად ხდება. მასპინძლები ადრევე დაწინაურდნენ — ხოსე მანუელ მატეომ უზადოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ რად გინდა, 12 წუთში სესარ კრუჩაგამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, ხოლო მატჩის მიწურულს რვამილიონიანმა ექს-რუსენბორგელმა იონ კარეუმ ბასკები სულაც უქულოდ დატოვა — ნუნუ სიმოეშს ბურთი ქვევიდან გაუტარა.

როგორც ვთქვით, თავისუფლად შეიძლებოდა, „ოსასუნას“ მოეგო, რაც ტურის მეორე სენსაცია იქნებოდა. პირველი „ბარსელონას“ მარცხია. თუმცა შესაძლოა, მოდავეებიც გამოჩნდნენ, სენსაცია ერთი თამაშის წაგებას ნიშნავს, თვენახევარში ხუთჯერ რომ დამარცხდები, მაგას სხვა სახელი ჰქვიაო. მაგრამ ნუ ვიკამათებთ, თამაშს მივყვეთ.

სასიამოვნოდ გაოცებულნი დარჩნენ მალიორკელი ქომაგები — „სოსიედადთან“, „მილანთან“, „რეალთან“ და „ლიდსთან“ თამაშის მერე „ბარსელონასგან“ ცოტა მეტს ელოდნენ, რივალდო კი მხოლოდ აჩრდილი იყო იმ ფეხბურთელისა, წინა მატჩებში მეკარეებს რომ ბომბავდა. ლორენს სერა ფერერი? ფერერი მალიორკაში დაბადებული კაცია და მწვრთნელობაც იქ დაიწყო. ჯერ „მალიორკა B“-ში მუშაობდა, მერე პირველი გუნდიც ჩააბარეს. შვიდი წელია, რაც კუნძულიდან წავიდა. ალბათ სერას სურდა სამშობლოში დიდი „ბარსელონას“ დიდ მწვრთნელად დაბრუნება, უნდოდა, რომ იქაურებს ეთქვათ: სერა ჩამოვიდაო, მაგრამ რაც გამოვიდა, ანგარიშიდან ჩანს.




მალიორკა — ბარსელონა 2:0. ნადალმა (№20) რივალდო და ყოფილი თანაკლუბელები არ გაახარა

„მალიორკა“ ამ ტურამდე მე-17 ადგილზე იყო. უჭირს გუნდს ექტორ კუპერის წასვლის შემდეგ. ლუის არაგონესის ბიჭებს არც „ბარსელონასთან“ გამოუდიათ მაინცდამაინც თავი და ისევ მეტოქე დაეხმარათ — რიშარ დუტრუელმა, ხავიმ და სერხიმ უხეში შეცდომები დაუშვეს.

დუტრუელმა ალბერტ ლუკეს შორიდან დარტყმული ვერ დაიჭირა და იქვე შორიახლოს მოიგერია. ბურთი, წესით და რიგით, ხავის უნდა დარჩენოდა, მაგრამ უკნიდან წამოპარულმა სამუელ ეტოომ (ყოფილმა რეალელმა) აართვა და ანგარიში გახსნა. მეორე გოლიც დაახლოებით ამგვარ სიტუაციაში გავიდა. ისევ ლუკემ დაარტყა შორიდან და დუტრუელმა კვლავ უხეიროდ მოიგერია. ახლა უკვე სერხის შეეძლო სიტუაციის განმუხტვა, მაგრამ ისევ ეტოომ აჯობა, არიელ იბაგასას ჩააწოდა და არგენტინელმაც ცარიელ კარში დაარტყა.

ვაი, „სოსიედადს“! ბოლოადგილოსან „სარაგოსას“ ოდენ 8 გოლი აქვს გაშვებული, ამას კი — 22. მწვრთნელის შეცვლას (ხავიერ კლემენტეს ნაცვლად გუნდში პერიკო ალონსო მივიდა) მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ ბასკებმა წინა ტურში თუ ექვსი უპასუხო გოლი გაუშვეს, ამჯერად ოთხს დასჯერდნენ და ერთიც გაიტანეს. თუ ეს ამბავი „სოსიედადის“ ქომაგებს ანუგეშებს, საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს.

ბასკებმა დიდი ენთუზიაზმით დაიწყეს თამაში, თუმცა ენთუზიაზმი და „რეალის“ დამარცხების რწმენა მალევე გაქრა. დავაზუსტოდ და ვთქვათ, რომ ეს მე-13 წუთზე მოხდა, როცა გუტიმ მასპინძლებს პირველი გოლი შეუგდო. იმავე გუტიმ ტაიმის მიწურულს პენალტსაც გამოჰკრა ხელი, როცა ლოიოლა გურუჩაგამ საჯარიმოში დასცა. შესვენების შემდეგ ფიგუმ გაიბრწყინა - მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილმა მეკარე ალბერტოს ხარისხისგან ოდნავ ქვევით აუღებელი დაურტყა. სავიომ მთლად შეარცხვინა მასპინძლები და ალბერტოს ბურთი ფეხებში გაუძვრინა.

სამაგიეროდ, არ შერცხვა „დეპორტივოს“ კარის დარაჯი ხოსე ფრანსისკო მოლინა. მისი ყოჩაღობა რომ არა, „ნუმანსია“ ანგარიშის გათანაბრებას შეძლებდა და ქვეყნის ჩემპიონი ახლა ოდენ მერვე ადგილზე იქნებოდა. ლაკორუნიელებმა დონატოსა და ფერნანდოს გოლების შემდეგ საქმე მოთავებულად ჩათვალეს. მეორე ნახევარში მასპინძელთა გააქტიურდნენ. რუბენ ნავარის ერთი საპასუხო გოლის მერე ბურთი სულ ნუმანსიელებს ეჭირათ, ხოლო რატომ ვერ შეძლეს მეორეს გატანა, უკვე მოგახსენეთ.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 7 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 12 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 7 |
| 2 | რეალი | 7 | 4 | 2 | 1 | 16:8 | 8 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 5 |
| 3 | ალავესი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 14 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 8 |
| 4 | დეპორტივო | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 |
| 5 | სელტა | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 2 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | –3 | 3 |
| 6 | რაიო ვალეკანო | 7 | 3 | 3 | 1 | 14:5 | 9 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 5 |
| 7 | ბარსელონა | 7 | 4 | 0 | 3 | 14:9 | 5 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 7:7 | 0 | 3 |
| 8 | ლას პალმასი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:13 | –2 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | –1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | –1 | 4 |
| 9 | ვილიარეალი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:8 | –3 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | –3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 |
| 10 | ვალიადოლიდი | 7 | 1 | 5 | 1 | 6:5 | 1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | –1 | 3 |
| 11 | ოვიედო | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | –1 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | –4 | 1 |
| 12 | მალაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | –2 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | –1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | –1 | 4 |
| 13 | მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | –3 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | –5 | 1 |
| 14 | ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 6:11 | –5 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:6 | –5 | 2 |
| 15 | ესპანიოლი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | –1 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | –1 | 3 |
| 16 | ნუმანსია | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | –5 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | –3 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | –2 | 3 |
| 17 | ოსასუნა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | –4 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | –3 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | –1 | 4 |
| 18 | რასინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | –5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | –1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:9 | –4 | 1 |
| 19 | სოსიედადი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:22 | –14 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:13 | –9 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | –5 | 3 |
| 20 | სარაგოსა | 7 | 0 | 4 | 3 | 5:8 | –3 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | –1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | –2 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 6 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 6 |
| გუტი (რეალი) | 5 |
| მენდიეტა (ვალენსია) | 4 |
| რივალდო (ბარსელონა) | 4 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 4 |
| მიჩელი (რაიო ვალეკანო) | 4 |

### VIII ტური

დღეს
დეპორტივო — ლას პალმასი

1 ნოემბერი
ალავესი — სოსიედადი
ოვიედო — რაიო
ვალიადოლიდი — ესპანიოლი
ვალენსია — სელტა
მალაგა — ოსასუნა
ბილბაო — სარაგოსა
რასინგი — ვილიარეალი
ბარსელონა — ნუმანსია
რეალი — მალიორკა

## მეორე დივიზიონი

### IX ტური

**ლევანტე 2:0 სევილია**
1:0 სალილიასი (81), 2:0 როა (87)

**უელვა 0:0 სალამანკა**

**კომპოსტელა 2:1 ეიბარი**
0:1 აგირე (1), 1:1 აგუადო (29), 2:1 ბისკაი (81)

**ფეროლი 1:2 ტენერიფე**
0:1, 0:2 ლუის გარსია (52, 58), 1:2 ბორხა (72)

**ბადახოსი 3:1 უნივერსიდადი**
1:0 ლეანდრო (50), 1:1 ჯონათანი (60), 2:1 ხორხე (72), 3:1 პეპინი (75)

**ხეტაფე 2:1 ლეიდა**
1:0 მაიკელი (30), 2:0 პარადო (33), 2:1 ნაკორი (52)

**ატლეტიკო 1:1 კორდობა**
1:0 ჩუბილო (85პ), 1:1 მელგარი (90პ)

**ელჩე 0:1 ალბასეტე**
0:1 გერერო (70)

**სპორტინგი 2:2 ლეგანესი**
1:0 ვისენტე (3), 2:0 მარიო (43), 2:1 მაკანასი (61), 2:2 ფედე მარინი (64)

**ხაენი 2:1 მურსია**
0:1 აგილარი (16პ), 1:1 სიერა (23), 2:1 კარლოს ტორესი (45)

**ბეტისი 1:0 ესტრემადურა**
1:0 ფილიპესკუ (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორდობა | 9 | 5 | 3 | 1 | 9:3 | 18 |
| ხაენი | 9 | 5 | 2 | 2 | 7:4 | 17 |
| სევილია | 9 | 5 | 2 | 2 | 10:9 | 17 |
| ლევანტე | 9 | 4 | 4 | 1 | 14:7 | 16 |
| ტენერიფე | 9 | 4 | 3 | 2 | 12:5 | 15 |
| ბეტისი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:5 | 15 |
| მურსია | 9 | 4 | 2 | 3 | 15:12 | 14 |
| უელვა | 9 | 3 | 5 | 1 | 6:3 | 14 |
| ალბასეტე | 9 | 4 | 2 | 3 | 7:8 | 14 |
| სპორტინგი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 13 |
| ლეგანესი | 9 | 2 | 6 | 1 | 10:9 | 12 |
| სალამანკა | 9 | 3 | 3 | 3 | 9:8 | 12 |
| ბადახოსი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| ელჩე | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ატლეტიკო | 9 | 2 | 4 | 3 | 8:9 | 10 |
| ესტრემადურა | 9 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 10 |
| ეიბარი | 9 | 2 | 4 | 3 | 5:7 | 10 |
| ხეტაფე | 9 | 2 | 3 | 4 | 6:12 | 9 |
| ფეროლი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:15 | 8 |
| კომპოსტელა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | 8 |
| ლეიდა | 9 | 1 | 2 | 6 | 4:12 | 5 |
| უნივერსიდადი | 9 | 0 | 3 | 6 | 3:13 | 3 |

# ბოლო წუთის ლიდერი

## გერმანია

### X ტური

**მიუნხენი 0:1 ჰერტა**

0:1 სვერისონი (90)
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, კურცი (ელერსი 5), ტაპალოვიჩი, მიუკლანდი, რიდლი (ბაიროფკა 79), ჩერნი, ტაისი, ჰესლერი (ვინკლერი 87), მაქსი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, შმიდტი, სვერისონი, სანე, კონსტანტინიდისი, ჰარტმანი, დაისლერი (ვაიტი 69), ბაინლიხი, ალვეში (დაეი 46), პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ტაპალოვიჩი, ვან ბურიკი
27 600 მაყურებელი

**კოტბუსი 2:0 ბოხუმი**

1:0 მიჩევსკი (29), 2:0 მირიუტა (43)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ბეეკი, ჰუჟოროვიჩი, აკპაროვიჩი, მატიუში, რეგეკამპფი, მიჩევსკი (ვატა 87), მირიუტა, ლაბაკი (ჰორვატი 75), ფრანკლინი (ჰელბიგი 71)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, მამიჩი, მილინოვიჩი, მაიხელბეკი (რისტაუ 46), შინდცილორცი, დიკჰაუტი, პეშელი (მანდრეკო 67), ბასტურკი, ბაკლი, მ. მარიჩი, ვებერი (დრინჩიჩი 67)
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: ლაბაკი, ჰელბიგი, ბეეკი, ბაკლი, დიკჰაუტი, ვებერი, დრინჩიჩი
14 835 მაყურებელი

**აინტრახტი 3:0 ფრაიბურგი**

1:0 რაიხენბერგერი (10), 2:0 ფიორტოფტი (21), 3:0 ბრანკო (85)
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, ვიმერი (გუიე-მიენი 59), შური (რასიევსკი 25), ბრანკო, სობოტჩიკი (ზინოვი 75), ჰელდტი, ფიორტოფტი, რაიხენბერგერი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა (კონდე 46), ჰერმელი, ა. ცაიერი, ვილი (რამდანე 46), კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ბაია, ვაისჰაუპტი (სელიმი 67), კულიბალი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: სობოტჩიკი, კობიაშვილი, კულიბალი, ვილი
გაძევება: კონდე (78)
23 800 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:2 ლაუტერნი**

0:1 ხრისტოვი (12), 1:1 ევანილსონი (63), 1:2 რაიხი (88)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი (ნოიჰაუსი 89), ჰაინრიხი, მეცელდერი, ევანილსონი, სტევიჩი, დედე, რიკენი, ადო, რეინა (კრონტირისი 58), ჰერლიხი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი (რაიხი 66), კლოსი, გრამოცისი, ჰ. კოხი, აჟიჩი (კომლიენოვიჩი 63), შტრასერი, პეტერსონი, ხრისტოვი (ლოკვენცი 85), ჟორკაეფი, კლოსე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ევანილსონი, ადო, ჟორკაეფი, გ. კოხი
62 000 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 2:1 ჰამბურგი**

0:1 კინცი (11), 1:1 შტრაუბე (87), 2:1 შპიზაკი (90)
უნტერჰახინგი: ტრემელი, ბერგენი (ზდრილიჩი 38), ბუხერი (ნოვაკი 75), შტრაუბე, ჰ. ჰერცოგი, შტრემელი, შვარცი, მატიას ციმერმანი, ჰაბერი, შპიზაკი, რაკლი (ობერლაიტნერი 76)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი (კრუშე 63), კინცი, ტოფტინგი, ჰოლერბახი, ბარბარესი, მაჰდავიკია, კეტლაერი (პაინცი 46), პრეგერი (მაული 55)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: შპიზაკი
12 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 ვოლფსბურგი**

0:1 რიდლევიჩი (37ს.კ.), 1:1 მაიაკი (89)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი, ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი (აჰინფუფი 81), ემარა (ბაუმგარტი 65), ბრანდი (ბრაიტკროიცი 69), არვიდსონი, მაიაკი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ჰენგენი, კრიგერი, აკონორი, გრაინერი (მალტრიცი 83), ვაისერი, ნოვაკი, კუჰბაუერი, იუსკოვიაკი (რიშე 87), აკპობორი (ტ. მარიჩი 79)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: გრაინერი, კუჰბაუერი, ნოვაკი, აკონორი, აკპობორი
14 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 ბაიერნი**

0:1 პაულო სერჟიო (6), 1:1 აილტონი (113)
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, აილტსი (ბარტენი 66), ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, ვიკი, ფ. ერნსტი, ბანოვიჩი (შტალტერი 76), ა. ჰერცოგი, ბოდე, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, სფორცა, ანდერსონი, ტარნატი, იერემისი, ფინკი, შოლი, სალიჰამიჯიჩი (იანკერი 84), პაულო სერჟიო (ციკლერი 81), ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ფრინგსი, კრსტაიჩი, კანი, ფინკი, შოლი
35 282 მაყურებელი

**შალკე 0:0 ლევერკუზენი**

შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, კამპუისი, ნემეცი, ლატალი (ასამოა 79), ბიომე, მიოლერი, სანდი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, რამელო, რეები (ტ. ჰოფმანი 70), ოჯიგვე, ბალაკი (ბ. შნაიდერი 80), ნოივილი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 65)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
გაფრთხილება: ლატალი, ჰაიტო, მპენზა, ნოივილი, ნოვოტნი, ბალაკი
41 545 მაყურებელი

**კიოლნი 3:2 შტუტგარტი**

0:1 განია (28), 1:1, 2:1 შპრინგერი (31, 36), 2:2 ტიამი (41), 3:2 ლოტნერი (75)
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი, კულმანი, სიჩონე (ჟივიორი 46), შერცი, კელერი, ვოიგტი, ლოტნერი (ვოლინცი 82), ტიმი, შპრინგერი, კურტი (გრლიჩი 89)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი, სოლდო (ენდრესი 53), ბორდონი, კარნელი, ტიამი, პინტუ, ლისტეში, გერბერი (მაისნერი 87), დანდი (გლები 87), განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: შერცი, კელერი, შპრინგერი, ვოიგტი, სოლდო, განია
32 000 მაყურებელი



REUTERS ბრემენიდან

ვერდერი — ბაიერნი 1:1. მიუნხენელი მიხაელ ტარნატი საპასუხო გოლის გამტან აილტონს (№32) ბურთს ეცილება

**შაბათს** რუდი ფიოლერი მეექვსედ მოკალათდა სათადარიგოთა სკამზე მთავარი მწვრთნელის ადგილზე და პირველად მოხდა, რომ მისმა გაწვრთნილმა გუნდმა ვერ მოიგო. „ლევერკუზენი" „შალკეს" ეწვია და ფრედ 0:0 ითამაშა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების თავკაცის გაკრიტიკება აზრადაც არავის მოსვლია. თავად ფიოლერიც არ დარჩენილა შედეგით უკმაყოფილო. „მოხარული ვარ, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან სტუმრად არ წავაგეთ და ქულა მოვიპოვეთ" — თქვა მან მატჩის შემდეგ.

სრულიად შესაძლებელი იყო, „ლევერკუზენს" ეს მატჩიც მოეგო — ბრდარიჩსა და ჰოფმანს ბრწყინვალე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. სამართლიანადაც, რადგან მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ და გატანის მეტი შანსიც ჰქონდათ.

მიუნხენის „ბაიერნი", ჯერ იყო და, თამაშს თამაშზე იგებდა, მერე ზედიზედ სამჯერ წააგო, ახლა კი ორი ფრე მიაყოლა ერთმანეთს: სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში შინ შვედურ „ჰელსინგბორგთან", შაბათს კი ბრემენში „ვერდერთან". არადა, მატჩი სტუმართათვის კარგად დაიწყო, მე-6 წუთზე პაულო სერჟიომ მაკრატელათი ულამაზესი გოლით გახსნა ანგარიში, რომელიც ძალიან მალე შეიცვალა — მე-11 წუთზე აილტონმა პენალტი გამოიყენა და მატჩსაც წერტილი ადრე დაუსვა. სახიფათო მომენტები ამის შემდეგაც შექმნეს გუნდებმა, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა. ამაში ბრალი კარის ძელებს მიუძღვით. ჯერ შოლის ჯარიმა აისხლიტა ხარიხამ, მერე — ბოდესა და ფრინგსის დარტყმულებზე კანს ძელები დაეხმარა.

„ბაიერნის" დაკარგული ორი ქულა ცხრილის სათავეში არაფერს შეცვლიდა, „მიუნხენი" — „ჰერტას" შეხვედრის ბოლო წუთი რომ არა. სწორედ ბოლო წუთზე დატრიალდა მატჩის მთავარი ამბავი — ბერლინელებმა ბოლო კონტრშეტევისას საჯარიმოში ჩააწოდეს ბურთი, იქ კი საიდანღაც სვერისონი გამოხტა, ყველაზე მაღლა ახტა და თავით გაიტანა. შედეგად „ჰერტამ" „ბაიერნის" „ოლიმპიაშტადიონზე" 1:0 მოიგო, გერმანულ გრანდს ორი ქულით გაუსწრო და პირველ ადგილზე მოკალათდა. საერთოდ, მატჩი მიუნხენელთა უპირატესობით წარიმართა, მათ შეტევებს „ჰერტა" დროდადრო მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა, მაგრამ ბოლო წუთამდე გუნდები ამაოდ დაშვრნენ.

„გაგვიმართლა და მოვიგეთ. ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ იღბალიც ჩვენს მხარეს იყო" — ობიექტურად შეაფასა შეხვედრა ახალგამომცხვარი ლიდერის თავკაცმა იურგენ რიობერმა.

ანდრეას ბრემეს „კაიზერსლაუტერნს" კი მადა ჭამაში მოუვიდა. აზარტში შესულმა ლაუტერნელებმა ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ ზედიზედ მეოთხედ (უეფას თასის ჩათვლით) მოიგეს.

ბრემე თავის გუნდს საკმაოდ მარტივი ტაქტიკით ათამაშებს: თერთმეტი კაცი მთელი შეხვედრა თავს იცავს, თუმცა, მიეცემა თუ არა შანსი, უმალ კონტრშეტევაზე გადადის. დაცვითი ტაქტიკის მიუხედავად, ბრემეს ვერავინ გააკრიტიკებს, იმიტომ, რომ კაცს, რომელსაც მწვრთნელობის მხოლოდ ორკვირიანი სტაჟი აქვს, თავის გასამართლებლად საუკეთესო არგუმენტი აქვს — ზედიზედ ოთხი მოგება.

შაბათს ბრემეს ანკესს მათიას ზამერი წამოეგო, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა წლეულს კოლეგასავით კარგად დაიწყო, მაგრამ ამ ბოლო დროს წაგებებსაც გაუშინაურდა.

დორტმუნდელებს ამ მატჩში იკპება, როიტერი, ბობიჩი, ოლისე და კოლერი აკლდათ. მიუხედავად ამისა, თავიდანვე შეტევებს მიეძალნენ, თუმცა შედეგი უარყოფითი მიიღეს. მე-12 წუთზე ხრისტოვმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა — 1:0. „დორტმუნდს" გასათანაბრებლად მთელი 50 წუთი დასჭირდა, მერე კი ევანილსონმა კოხი გააწბილა. ამ გოლამდე ორჯერ ჰერლიხმა და ერთხელ რეინამ სტუმართა კარის დალაშქვრა ვერ მოახერხეს. 1:1-ზე მასპინძლებმა დაწინაურება სცადეს, მაგრამ... 88-ე წუთზე ბურთი რაიხმა მოიგდო, ნახევარი მინდორი თვალის დახამხამებაში გადაირბინა და ლემანს მეორე გოლი გაუტანა — ასე განაწყენდა 62 ათასი ქომაგი.

სამი ქართველის „ფრაიბურგი" ფრანკფურტის „აინტრახტს" ორი ქართველით ეწვია. ფოლკერ ფინკემ მატჩის წინ ალექსანდრე იაშვილი მოისაკლისა, რომელიც მამის გარდაცვალების გამო თბილისში იმყოფება. ლევან ცქიტიშვილმა და ლევან კობიაშვილმა კი 90 წუთი ითამაშეს, მაგრამ თავიანთ გუნდს ვერაფრით დაეხმარნენ. „ფრაიბურგი" პირწმინდად განადგურდა — 0:3. ის, რომ ქართული დუეტი თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გუნდისთვის ვერაფერი ნუგეშია.

„აინტრახტი" მე-10 წუთზე რაიხენბერგერმა დააწინაურა, თუმცა მანამდე კობიაშვილს მართებდა გატანა, მაგრამ კარგი შანსი დაკარგა. მერე 2:0-იც გახდა — ფიორტოფტმა „ფრაიბურგის" დაცვას არც მეორე შეცდომა აპატია. სტუმრებმა რამდენიმე მომენტი ამის შემდეგაც შექმნეს, მაგრამ გოლი აქეთ მიიღეს — კამერუნელმა ბრანკომ ბუნდესლიგაში დებიუტი მატჩის მიწურულს გატანილი ბურთით აღნიშნა. ამ დროს „ფრაიბურგი" ათი კაცით იყო, კონდე უხეშობისთვის ორი ყვითლით დაისაჯა.

„კიოლნში" კვლავ არ უთამაშია არჩილ არველაძეს, რომელსაც ტრავმა აწუხებს. უმისოდ კიოლნელებმა კვირას შინ „შტუტგარტს" დრამატულ მატჩში 3:2 აჯობეს. შეხვედრა საინტერესო გამოდგა. 41-ე წუთამდე ოთხი გოლი გავიდა. პირველი და მეოთხე სტუმრებმა გაიტანეს. განეამ და ტიამმა ტყუპისცალივით მსგავსი ბურთები შეაგდეს. ორივემ შორიდან დაარტყა, პრიოლმა ორჯერვე მარცხენა დაბალ კუთხეში გაუშვა. ამ გოლებს შორის ორჯერ შპრინგერმა გამოიჩინა თავი, ტაიმიც 2:2 დასრულდა. 75-ე წუთზე კი თამაშის ბედი გადაწყდა — ლოტნერმა ჯარიმიდან გაიტანა, კარამდე მანძილი 30-35 მეტრი იქნებოდა. შედეგად „კიოლნი" მეცამეტე ადგილამდე აღზევდა, თუმც ბოლო საფეხურს სულ ორი ქულა აშორებს.

**მანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჰერტა | 10 | 7 | 0 | 3 | 24:14 | 10 | 21 | 5 | 5 | 0 | 0 | 17:3 | 14 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:11 | –4 | 6 |
| 2 | ბაიერნი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:10 | 10 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 |
| 3 | შალკე | 10 | 5 | 3 | 2 | 20:8 | 12 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 8 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 7 |
| 4 | ლაუტერნი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 4 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 |
| 5 | ლევერკუზენი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:12 | 1 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:9 | –2 | 6 |
| 6 | დორტმუნდი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:16 | 0 | 16 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | –4 | 6 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 4 | 10 |
| 7 | ვოლფსბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 24:15 | 9 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 18:7 | 11 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | –2 | 4 |
| 8 | ჰამბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 22:19 | 3 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 12:13 | –1 | 5 |
| 9 | აინტრახტი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:14 | 0 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:1 | 11 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | –11 | 1 |
| 10 | ჰანზა | 10 | 4 | 2 | 4 | 7:14 | –7 | 14 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:7 | –5 | 5 | 5 | 3 | 0 | 2 | 5:7 | –2 | 9 |
| 11 | ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:11 | 2 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 8 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | –6 | 2 |
| 12 | მიუნხენი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:16 | –4 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | –2 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | –2 | 5 |
| 13 | კიოლნი | 10 | 3 | 2 | 5 | 15:21 | –6 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:15 | –11 | 1 |
| 14 | ვერდერი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:15 | –2 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 9:8 | 1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | –3 | 4 |
| 15 | შტუტგარტი | 10 | 2 | 4 | 4 | 16:20 | –4 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 12:8 | 4 | 9 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | –8 | 1 |
| 16 | კოტბუსი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:20 | –9 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:14 | –10 | 1 |
| 17 | ბოხუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:19 | –11 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | –4 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:9 | –7 | 4 |
| 18 | უნტერჰახინგი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:19 | –8 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 8 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:13 | –10 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 8 |
| აგოსტინო (მიუნხენი) | 6 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 6 |
| იანკერი (ბაიერნი) | 6 |
| სანდი (შალკე) | 6 |
| მპენზა (შალკე) | 6 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 6 |

### XI ტური

3 ნოემბერი
ლევერკუზენი — აინტრახტი
4 ნოემბერი
ბაიერნი — დორტმუნდი
ლაუტერნი — შალკე
შტუტგარტი — ჰანზა
ჰერტა — ვერდერი
ჰამბურგი — ფრაიბურგი
ბოხუმი — მიუნხენი
5 ნოემბერი
უნტერჰახინგი — კიოლნი
ვოლფსბურგი — კოტბუსი

## მეორე ბუნდესლიგა

### X ტური

**ალემანია 0:0 ოსნაბრუკი**

**ობერჰაუზენი 0:0 ჰანოვერი**

**კიკერსი 0:0 დუისბურგი**

**ზანქტ პაული 2:2 ზაარბრიუკენი**

1:0 პაჩინსკი (2), 2:0 კლასნიჩი (32), 2:1 ტიეკუ (47), 2:2 კორტუსი (87)

**ვალდჰოფი 4:0 გლადბახი**

1:0 კლაუცი (17), 2:0 ლიხტი (52), 3:0 კატიჩი (70), 4:0 პასიეკა (80)

**ალენი 2:0 ფიურტი**

1:0 სობიჩი (43), 2:0 ბამბა (77)

**მაინცი 0:3 ულმი**

0:1 როსლერი (59), 0:2 ლეანდრო (62), 0:3 ოტო (70)

**ნიურნბერგი 3:1 ქემნიცი**

1:0 მიოკელი (12), 2:0 გიუნტერი (30პ), 2:1 ჰოლეჩეკი (50), 3:1 ნიკლი (68)

**როიტლინგენი 3:2 არმინია**

0:1 ლაბადია (2), 1:1 დიაბა (14), 2:1 მალხოვი (21), 3:1 დიაბა (70), 3:2 შტრატოსი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 10 | 8 | 2 | 0 | 21:6 | 26 |
| ჰანოვერი | 10 | 5 | 4 | 1 | 18:8 | 19 |
| ზტ. პაული | 10 | 5 | 2 | 3 | 28:19 | 17 |
| ობერჰაუზენი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 17 |
| ზაარბრიუკენი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:15 | 17 |
| როიტლინგენი | 10 | 5 | 1 | 4 | 20:21 | 16 |
| არმინია | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ალემანია | 10 | 4 | 3 | 3 | 14:12 | 15 |
| ვალდჰოფი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:16 | 15 |
| გლადბახი | 10 | 3 | 4 | 3 | 17:14 | 13 |
| ფიურტი | 10 | 3 | 3 | 4 | 16:13 | 12 |
| მაინცი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| ულმი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:17 | 11 |
| ალენი | 10 | 2 | 4 | 4 | 15:22 | 10 |
| დუისბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:15 | 9 |
| ოსნაბრუკი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| კიკერსი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:16 | 7 |
| ქემნიცი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:23 | 7 |

# რეინჯერსშია ფერები მუქი



ნილ მაკკანს და მის „რეინჯერსს“ იოლად აღარაფერს უთმობენ

## შოტლანდია

XIII ტური

**დანფერმლაინი 1:0 დანდი**

1:0 მოსი (61)

დანდი: როკატი, სმიტი, დე მარკი, ტვიდი, მაროკო, რაე, ნემსაძე, რომანო, ბონეტი (მილნი 62), არტერო (კარანცა 75), კანიჯა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

6 397 მაყურებელი

**მოზერუელი 3:3 სელტიკი**

0:1 მიალბი (13), 1:1 ადამსი (22), 2:1 მაკკალოხი (53), 2:2 ვალგარენი (57), 2:3 მაკნამარა (71), 3:3 ბრანანი (78პ)

**დანდი იუნ. 0:1 ჰიბერნიანი**

0:1 მაკმანუსი (81)

**ჰართსი 0:3 სენტ ჯონსტონი**

0:1 პარკერი (49პ), 0:2, 0:3 კონოლი (62, 89)

**რეინჯერსი 0:3 კილმარნოკი**

0:1 კოკარი (5), 0:2 ჰოლტი (32), 0:3 ნუმანი (67ავ.)

**სენტ მირენი 2:0 აბერდინი**

1:0 უოკერი (24), 2:0 ქილი (53)

„**გულშემატკივარს** შეუძლია მლანძღოს, თუ გუნდი მოედანზეა და ცუდად თამაშობს, მაგრამ როცა 10 მოთამაშე დაშავებული მყავს, ამის გაკეთება, ვგონებ, არ ღირს. თუმცა რას იზამ, ქომაგების გულისწყრომა ხომ ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია“ — თქვა „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა.

ეჰ, დრო იყო, 10 დაშავებული კი არა, „კილმარნოკს“ რეინჯერსელი ფანებიც უგებდნენ, მაგრამ მერე ჩარხი უკუღმა დატრიალებულა და აი: ბოლო ათ წელიწადში სქოთთა ცხრაგზის ჩემპიონმა ზედიზედ სამი თამაში წააგო, ამათგან ბოლო შაბათს, საკუთარ „აიბროქსზე“. თანაც დიდი ანგარიშით.

50 ათასი კაცი სახტად დარჩა, როცა ენდი მაკლარენის პასით ფრანგმა კრისტოფ კოკარმა „კილმარნოკი“ დააწინაურა: 32-ე წუთზე უკვე გარი ჰოლტმა ისახელა თავი იან დარანტის უზადო გადაცემით, ყველაფერი კი 67-ეზე დამთავრდა, როცა ადვოკაატის თანამემამულე არტურ ნუმანმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. „რაც თავი მახსოვს, სტუმარ გუნდს „აიბროქსზე“ ასე ჩინებულად არასდროს უთამაშია“ — ხარობდა კილმარნოკელი იან დარანტი, ვისაც მართლაც ბევრი რამ ახსოვს: ის ხომ 14 წელი „რეინჯერსში“ თამაშობდა.

0:3 — ცხადია, „აიბროქსზე“ ასეთი ანგარიში იშვიათობაა. აი, დიკ ადვოკაატი 30 თვეა „რეინჯერსის“ სათავეში და ასე შინ არასდროს განადგურებულა. შედეგად, გუნდი თავის უმთავრეს მტერ „სელტიკს“ 13 ქულით ჩამორჩება.

ეს სხვაობა მეტიც იქნებოდა, მოზერუელში მსაჯი ჰიუ დალასი რომ არ შემცდარიყო და გლაზგოელი მიალბიუს ალალი გოლი ჩაეთვალა. მოგვიანებით ტელევიზიამ ყველა დაარწმუნა, რომ მიალბიუს თავურის მერე ბურთმა მასპინძელთა კარის ხაზი გადაკვეთა. მართალი ყოფილა „სელტიკის“ მწვრთნელი მარტინ ონილი, ვინც მატჩის მერე მსაჯი სახალხოდ შეარცხვინა. ასეა თუ ისე, შეხვედრას არც ჩათვლილი გოლების ნაკლებობა აზასიათებდა: სამი გლაზგოელთა კარში შევარდა, სამიც — მასპინძლებისაში.

ამრიგად, „სელტიკმა“ კიდევ ერთი ქულით გაზარდა თანაქალაქელ „რეინჯერსთან“ სხვაობა, თუმცა, მეორე მხრივ, ედინბურგის „ჰიბერნიანი“ მიუახლოვდა ჯერ კიდევ წაუგებელ ლიდერს. დედაქალაქელებმა წყალწაღებულ „დანდი იუნაიტედს“ მოუგეს გვიანი გოლით და ახლა „სელტიკის“ წაფორხილებას ელიან.

წააგო დანდის მეორე გუნდმაც — ნემსაძისა და კანიჯას „დანდი“ დანფერმლაინში დამარცხდა.

**გიგა კობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 13 | 11 | 2 | 0 | 31:12 | 35 |
| ჰიბერნიანი | 13 | 10 | 2 | 1 | 27:7 | 32 |
| კილმარნოკი | 13 | 8 | 2 | 3 | 19:12 | 26 |
| რეინჯერსი | 12 | 7 | 1 | 4 | 22:18 | 22 |
| სტ. ჯონსტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 14:18 | 17 |
| დანდი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:13 | 16 |
| ჰართსი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:20 | 16 |
| დანფერმლაინი | 13 | 3 | 4 | 6 | 9:17 | 13 |
| აბერდინი | 12 | 2 | 6 | 4 | 11:15 | 12 |
| მოზერუელი | 13 | 3 | 3 | 7 | 14:19 | 12 |
| სენტ მირენი | 13 | 3 | 1 | 9 | 9:18 | 10 |
| დანდი იუნ. | 13 | 0 | 2 | 11 | 7:28 | 2 |

## შვედეთი

25-ე ტური: ელფსბორგი — ჰალმსტადი 0:2; გაის — ნორჩიოპინგი 3:0; ჰაკენი — აიკ 2:2; ჰამარბი — ჰელსინგბორგი 0:2; ტრელებორგი — ფრიოლუნდა 3:0; იორებრო — სუნდსვალი 2:3; იორგრიტე — გიოტებორგი 1:2

„**ჰალმსტადი**“ ქვეყნის ჩემპიონია. ბოლო ოთხ წელიწადში მან უკვე მეორედ მოიპოვა უძლიერესი შვედური გუნდის ტიტული. ჰალმსტადელები კვირას „ელფსბორგს“ იმ იმედით ესტუმრნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში პირველობის დასრულებამდე ტურით ადრე დაიბევებდნენ ჩემპიონობას. ლიდერებმა მართლაც გაიმარჯვეს და მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს. მეორეადგილოსანმა და პოტენციურმა კონკურენტმა სტოკჰოლმის აიკმა კი მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და აწი ლიდერს ველარ დაეწევა.

„კმაყოფილი ვარ. წლევანდელი ტურნირი მართლაც ძლიერად ჩავატარეთ და ჩემპიონობა ნამდვილად დავიმსახურეთ“ — განაცხადა „ჰალმსტადის“ მწვრთნელმა ტომი პრალმა, ვინც 1997 წლის წარმატების დროსაც გუნდთან ერთად იყო.

„ძლიერი გუნდი გვყავს. თუ შემადგენლობის შენარჩუნება შევძელით, ბევრ მეტოქეს გავუმკლავდებით“ — აღნიშნა ფორვარდმა შტეფან სელაკოვიჩმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 25 | 16 | 4 | 5 | 46:22 | 52 |
| აიკ | 25 | 13 | 5 | 7 | 37:29 | 44 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 13 | 4 | 8 | 47:29 | 43 |
| ელფსბორგი | 25 | 13 | 3 | 9 | 42:36 | 42 |
| გიოტებორგი | 25 | 11 | 8 | 6 | 40:31 | 41 |
| იორგრიტე | 25 | 11 | 4 | 10 | 31:28 | 37 |
| ტრელებორგი | 25 | 9 | 8 | 8 | 28:27 | 35 |
| იორებრო | 25 | 9 | 6 | 10 | 43:38 | 33 |
| ჰამარბი | 25 | 9 | 6 | 10 | 32:38 | 33 |
| ნორჩიოპინგი | 25 | 7 | 11 | 7 | 38:30 | 32 |
| სუნდსვალი | 25 | 7 | 8 | 10 | 34:40 | 29 |
| ჰაკენი | 25 | 4 | 13 | 8 | 38:46 | 25 |
| გაის | 25 | 4 | 8 | 13 | 26:41 | 20 |
| ფრიოლუნდა | 25 | 2 | 6 | 17 | 15:62 | 12 |

## საფრანგეთი

XIII ტური

**ტრუა 1:0 მონაკო**

1:0 ს. ჟუკიჩი (69)

**პარი სენ ჟერმენი 1:2 ბორდო**

0:1, 0:2 პაულეტა (24, 76), 1:2 დისტინი (90)

**სედანი 2:0 ნანტი**

1:0 ნდიაე (23), 2:0 ტ. ბრონი (67)

**მეცი 2:1 ლანსი**

0:1 სიბირსკი (22), 1:1 ჟაგერი (38), 2:1 ბატიკლი (67)

**ლილი 1:0 ტულუზი**

1:0 ბუტოლი (84)

**ლიონი 2:2 ოსერი**

0:1 გივარში (28), 1:1 გოვუ (29), 1:2 ტაინიო (64), 2:2 გოვუ (90)

**რენი 1:2 გენგამი**

0:1 ფიორეზე (32), 1:1 შაპუ (50), 1:2 ფიორეზე (70)

**ბასტია 0:0 სენტ ეტიენი**

**სტრასბური 1:1 მარსელი**

1:0 ლუინდულა (9), 1:1 ვეა (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 13 | 7 | 3 | 3 | 27:18 | 24 |
| ლილი | 13 | 6 | 4 | 3 | 15:9 | 22 |
| სედანი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:14 | 22 |
| ბასტია | 13 | 6 | 3 | 4 | 15:12 | 21 |
| გენგამი | 13 | 6 | 3 | 4 | 17:15 | 21 |
| ბორდო | 13 | 5 | 5 | 3 | 19:14 | 20 |
| ტრუა | 13 | 5 | 5 | 3 | 18:15 | 20 |
| მონაკო | 13 | 5 | 4 | 4 | 19:16 | 19 |
| ნანტი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:19 | 18 |
| მეცი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:14 | 18 |
| ლანსი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:14 | 17 |
| ლიონი | 12 | 3 | 7 | 2 | 14:12 | 16 |
| რენი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:13 | 15 |
| მარსელი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:16 | 15 |
| ოსერი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:16 | 15 |
| სენტ ეტიენი | 13 | 3 | 5 | 5 | 19:22 | 14 |
| სტრასბური | 13 | 3 | 2 | 8 | 12:30 | 11 |
| ტულუზი | 12 | 1 | 3 | 8 | 10:18 | 6 |

### მეორე დივიზიონი

მე-17 ტური: მონპელიე — ლავალი 1:0; აიაჩო — ნიორი 0:1; ანჟერი — ბოვე 1:1; შატორუ — ვასკეალი 2:0; ლე მანი — ნიმი 1:1; სოშო — კრეტეი 3:0; ლორიანი — ნანსი 2:0; მარტიგი — კაენი 2:2; ლე ავრი — გენიონი 1:3; კანი — ნიცა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 17 | 10 | 4 | 3 | 31:12 | 34 |
| მონპელიე | 17 | 9 | 6 | 2 | 25:15 | 33 |
| ნიორი | 17 | 9 | 5 | 3 | 24:14 | 32 |
| ლორიანი | 17 | 8 | 7 | 2 | 24:15 | 31 |
| ლავალი | 17 | 9 | 4 | 4 | 21:13 | 31 |
| ლე ავრი | 17 | 6 | 7 | 4 | 22:17 | 25 |
| შატორუ | 17 | 6 | 7 | 4 | 22:18 | 25 |
| ნანსი | 17 | 6 | 5 | 6 | 18:14 | 23 |
| კრეტეი | 17 | 6 | 5 | 6 | 17:17 | 23 |
| ნიმი | 16 | 6 | 5 | 5 | 21:23 | 23 |
| კაენი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:25 | 21 |
| ნიცა | 17 | 6 | 2 | 9 | 17:24 | 20 |
| ვასკეალი | 17 | 4 | 7 | 6 | 16:17 | 19 |
| ლე მანი | 17 | 3 | 9 | 5 | 16:18 | 18 |
| მარტიგი | 17 | 3 | 9 | 5 | 13:17 | 18 |
| გენიონი | 17 | 3 | 7 | 7 | 13:21 | 16 |
| ბოვე | 17 | 2 | 9 | 6 | 13:20 | 15 |
| კანი | 17 | 3 | 5 | 9 | 21:30 | 14 |
| ანჟერი | 17 | 2 | 7 | 8 | 16:28 | 13 |
| აიაჩო | 16 | 3 | 4 | 9 | 9:21 | 13 |

## პოლონეთი

მე-12 ტური: პლოცკი — ვისლა 0:5; ამიცა — პოგონი 1:2; პოლონია — ვიძევი 3:1; შლიონსკი — ზაგლებე 2:1; სტომილი — გროცლინი 0:0; ოდრა — გურნიკი 0:0; რუხი — ლეგია 1:4; კატოვიცე — რაძიონკოვი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 12 | 10 | 1 | 1 | 32:6 | 31 |
| პოგონი | 12 | 8 | 2 | 2 | 17:8 | 26 |
| ლეგია | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| პოლონია | 12 | 7 | 3 | 2 | 17:9 | 24 |
| ამიცა | 12 | 6 | 3 | 3 | 25:16 | 21 |
| ზაგლებე | 12 | 6 | 1 | 5 | 17:14 | 19 |
| ვიძევი | 12 | 4 | 3 | 5 | 19:22 | 15 |
| ოდრა | 12 | 4 | 3 | 5 | 11:17 | 15 |
| სტომილი | 12 | 4 | 3 | 5 | 10:16 | 15 |
| კატოვიცე | 12 | 2 | 7 | 3 | 7:7 | 13 |
| გროცლინი | 12 | 3 | 4 | 5 | 12:16 | 13 |
| შლიონსკი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:19 | 12 |
| პლოცკი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:24 | 11 |
| გურნიკი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:16 | 9 |
| რუხი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | 9 |
| რაძიონკოვი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:22 | 7 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## შვეიცარია

XVI ტური

**ციურიხი 1:0 არაუ**

1:0 შასო (85)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, კვენტინი, ჟანინი, ბიულმანი (შასო 80), ოენენი, პალასი, ჯამარაული, დელ სინიორე (აკალე 61), ბარტლეტი, ყაველაშვილი (მელდმანი 89)

არაუ: ბენიტო, ბადერი (პრევიტალი 38), ბაუდრი, ფიხტერი, ეგიმანი, სკრეპიჩაკი, ვიდერკერი, ივანოვი (ილდიჩე 57), ბალდასარი, პავლიჩევიჩი, ხომერიკი (დიდი 80)

**ლოზანა 0:2 სენტ გალენი**

0:1 ამოა (40), 0:2 მიულერი (62)

**ლუცერნი 2:3 გრასჰოპერი**

1:0 ვისი (18), 1:1 პეტრიჩი (51), 2:1 კერლი (52), 2:2 იაკინი (70), 2:3 პეტრიჩი (75)

**ქსამაქსი 2:1 სერვეტი**

1:0 კამარა (25), 2:0 დიოპი (27), 2:1 ლონდონო (85)

**სიონი 3:2 ლუგანო**

0:1 როსი (13), 0:2 გასპოზი (21), 1:2 გრიხტინგი (24), 2:2 ტუმი (50), 3:2 ბაუბონე (79)

**ბაზელი 2:1 ივერდონი**

0:1 ჟენი (31), 1:1 კანტალუპი (64), 2:1 კროიცერი (67პ)

**მე-80** წუთზე ციურიხელთა თავკაცმა ჟილბერტ გრესმა ბიულმანის ნაცვლად მინდორზე შასო შეუშვა. ხუთ წუთში გოჩა ჯამარაულმა კუთხური ჩააწოდა, შასომ ყველას დაასწრო და თავით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. ასე დაამარცხა გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა“ ლევან ხომერიკის „არაუ“ შვეიცარიის ჩემპიონატის „ქართულ“ დერბიში. შედეგად „ციურიხმა“ „არაუ“ და „ივერდონი“ სამი ქულით ჩამოიშორა, თუმც წინ კიდევ გვარიანი ბრძოლა მოელის, რათა მერვე ადგილი შეინარჩუნოს და გაზაფხულზე ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვოს.

53-ე წუთიდან მოყოლებული „ციურიხი“ რიცხობრივ უპირატესობას ფლობდა: მსაჯმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის მინდვრიდან ბალდასარი დაითხოვა. მასპინძლები ამ მომენტამდეც უტევდნენ და მეტოქის გაძევების შემდეგ უფრო მონდომებით შეუტიეს, მაგრამ შასოს გამოსვლამდე სახეირო ვერაფერი გააკეთეს.

გოლის გატანის ერთი კარგი მომენტი „არაუსაც“ ჰქონდა — ლევან ხომერიკმა მატჩის მე-20 წუთზე ბურთი ძელს გაარტყა. თამაშის მიწურულს სტუმართა თავკაცმა როლფ ფრინგერმა, იქნებ ანგარიში შევინარჩუნოო, ქართველი თავდამსხმელი ნახევარმცველ დიდით შეცვალა, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩა.

მოიგო მეორე ციურიხულმა კლუბმაც — „გრასჰოპერმა“, რომელმაც სტუმრად „ლუცერნი“ იმსხვერპლა 3:2. არადა, მატჩის მსვლელობისას „კალიები“ ორჯერ აგებდნენ.

ზედიზედ ცხრა მოუგებელი თამაშის შემდეგ ნავსი გატეხა აუტსაიდერმა ნოიშატილის „ქსამაქსმა“. ქსამაქსელებმა შინ „სერვეტი“ დაამარცხეს და მიმდინარე სეზონში მესამე მოგება იზეიმეს. იცით, როდის მოიგო ბოლოს „ქსამაქსმა“? 12 აგვისტოს. ჰოდა, ისე მოსწყურებოდათ გამარჯვება, ჟენეველებს თავიდანვე შეუტიეს და ორი ბურთიც გაუტანეს — კამარას ორ წუთში დიოპმაც მიბაძა. მატჩის ბოლოს მასპინძლები გაძლებაზეღა იყვნენ. ვერც გაძლებდნენ, მეკარე კოლომბას რომ არ გამოედო თავი და უძნელესი ბურთები არ აეღო. საბოლოოდ „სერვეტმა“ მხოლოდ ერთი ბურთი გაქვითა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 16 | 9 | 4 | 3 | 27:13 | 31 |
| სენტ გალენი | 16 | 8 | 6 | 2 | 27:12 | 30 |
| გრასჰოპერი | 16 | 9 | 2 | 5 | 38:16 | 29 |
| ბაზელი | 16 | 8 | 4 | 4 | 32:22 | 28 |
| ლოზანა | 16 | 8 | 2 | 6 | 28:24 | 26 |
| სიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:26 | 22 |
| სერვეტი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:19 | 21 |
| ციურიხი | 16 | 4 | 7 | 5 | 24:20 | 19 |
| ივერდონი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:28 | 16 |
| არაუ | 16 | 4 | 4 | 8 | 19:30 | 16 |
| ლუცერნი | 16 | 4 | 3 | 9 | 23:38 | 15 |
| ქსამაქსი | 16 | 3 | 2 | 11 | 16:46 | 11 |

## ნორვეგია

თასის ფინალი

**ოდ გრენლანდი 2:1დ.დ.(1:1) ვიკინგი**

0:1 დელი (45), 1:1 ტიპინენი (65ს.კ.), 2:1 ბიერგი (106)

## თურქეთი

მე-10 ტური: გალათასარაი — იოზგათი 3:0; ქოჯაელი — ისთანბული 1:1; გაზიანთეფი — რიზე 2:1; სამსუნი — გენჩლერბირლიგი 1:2; ერზურუმი — ბეშიქთაში 1:3; ბურსა — იეთფა 3:2; ანკარაგიუჯიუ — ადანა 4:0; ტრაბზონი — ანთალია 4:0; ფენერბაჰჩე — დენიზლი 5:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:6 | 23 |
| გალათასარაი | 10 | 7 | 1 | 2 | 28:9 | 22 |
| ბეშიქთაში | 10 | 7 | 1 | 2 | 24:12 | 22 |
| ფენერბაჰჩე | 10 | 7 | 1 | 2 | 22:12 | 22 |
| გაზიანთეფი | 10 | 6 | 3 | 1 | 24:12 | 21 |
| გენჩლერბირ. | 10 | 6 | 1 | 3 | 14:12 | 19 |
| ანკარაგიუჯიუ | 10 | 4 | 3 | 3 | 14:14 | 15 |
| დენიზლი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:18 | 14 |
| ანთალია | 10 | 3 | 4 | 3 | 13:14 | 13 |
| ისთანბული | 10 | 3 | 4 | 3 | 10:14 | 13 |
| სამსუნი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | 12 |
| ადანა | 10 | 2 | 4 | 4 | 15:18 | 10 |
| იოზგათი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:15 | 9 |
| ბურსა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:22 | 9 |
| ერზურუმი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |
| რიზე | 10 | 1 | 4 | 5 | 7:11 | 7 |
| ქოჯაელი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:17 | 5 |
| იეთფა | 10 | 0 | 3 | 7 | 13:28 | 3 |

## ავსტრია

მე-16 ტური: ლინცერი — გრაცერი 0:1; ტიროლი — რიდი 2:0; რაპიდი — ადმირა 1:0; ზალცბურგი — აუსტრია 2:0; შტურმი — ბრეგენცი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 16 | 9 | 4 | 3 | 29:16 | 31 |
| ტიროლი | 16 | 9 | 3 | 4 | 27:13 | 30 |
| აუსტრია | 17 | 8 | 4 | 5 | 29:16 | 28 |
| გრაცერი | 16 | 8 | 3 | 5 | 25:22 | 27 |
| ზალცბურგი | 16 | 8 | 2 | 6 | 23:22 | 26 |
| შტურმი | 16 | 7 | 2 | 7 | 31:23 | 23 |
| რიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 27:23 | 22 |
| ბრეგენცი | 17 | 5 | 4 | 8 | 24:31 | 19 |
| ლინცერი | 16 | 3 | 3 | 10 | 14:35 | 12 |
| ადმირა | 16 | 2 | 3 | 11 | 11:39 | 9 |

## იტალია

სერია B. VIII ტური

**ემპოლი 3:2 რავენა**

1:0 ბაროლო (19), 1:1 დელ ანო (35პ), 2:1 მაკარონე (52), 2:2 დელ ანო (74პ), 3:2 ბიანკონი (79)

**პისტოიეზე 0:4 კროტონე**

0:1 დეფლორიო (39), 0:2 ფიალდინი (53), 0:3, 0:4 ამბროზი (64პ, 71)

**ვენეცია 3:0 ტრევიზო**

1:0 მანიერო (24), 2:0 დი ნაპოლი (56), 3:0 ბაცანი (88)

**სამპდორია 2:1 კალიარი**

1:0 ფლაკო (62პ), 2:0 ვაზარი (70), 2:1 სუაზო (77)

**პესკარა 1:1 ჯენოა**

0:1 ფრანკიოზო (60), 1:1 პალადინი (64)

**კოზენცა 3:1 სიენა**

1:0 პისანო (3პ), 2:0 პავონე (34), 2:1 არკადიო (54), 3:1 სავოლდი (85)

**კიევო 1:0 ანკონა**

1:0 კორადი (26)

**მონცა 1:0 ჩიტადელა**

1:0 ბონაჩინა (43)

**ტერნანა 0:0 სალერნიტანა**

**პიაჩენცა 3:1 ტორინო**

1:0 პიოვანი (51პ), 2:0 გაუტიერი (53), 3:0 კაჩა (63პ), 3:1 ფერანტე (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოზენცა | 8 | 6 | 1 | 1 | 14:7 | 19 |
| კიევო | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 15 |
| კალიარი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:9 | 14 |
| ვენეცია | 8 | 3 | 5 | 0 | 12:8 | 14 |
| პიაჩენცა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| ემპოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:8 | 13 |
| სამპდორია | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| სიენა | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| ტერნანა | 8 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 12 |
| სალერნიტანა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | 11 |
| ანკონა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ჩიტადელა | 8 | 2 | 4 | 2 | 11:11 | 10 |
| კროტონე | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 |
| ტრევიზო | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| მონცა | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | 9 |
| ტორინო | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| პისტოიეზე | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| ჯენოა | 8 | 0 | 5 | 3 | 5:8 | 5 |
| პესკარა | 8 | 0 | 4 | 4 | 6:11 | 4 |
| რავენა | 8 | 0 | 4 | 4 | 7:14 | 4 |

### სერია C1/A

მე-9 ტური: ალბინოლეფე — პიზა 0:0; ალესანდრია — არეცო 1:2; ალძანო — სპეცია 0:1; კარარეზე — ლეკო 1:2; კომო — ბრეშელო 1:0; ლივორნო — მოდენა 3:1; ლუკეზე — ლუმეცანე 1:0; რეჯანა — ჩეზენა 0:1; ვარეზე — სპალ 0:0

### სერია C1/B

მე-9 ტური: ასკოლი — აკილა 1:0; ბენევენტო — აველინო 1:1; დი სანგრო — ატლეტიკო 4:1; კატანია — ჟულიანოვა 1:3; ფიდელისანდრია — ფერმანა 0:0; მესინა — ტორესი 2:3; ნოჩერინა — პესარო 1:0; სავოია — პალერმო 5:1; ვიტერბეზე — ლოდიჯანი 0:1

## რუსეთი

### გადადებული მატჩი
### ზენიტი 1:2 სპარტაკი

0:1 ტიტოვი (11), 1:1 პოპოვიჩი (74პ), 1:2 ბუზნიკინი (90)

**რუსული** ამბები საჩემპიონო ინტრიგით არა, მაგრამ სისასტიკით კი გამოირჩევა. კვირას პეტერბურგში 28-ე ტურის გადადებული მატჩი გაიმართა. „ზენიტმა“ „სპარტაკს“ უმასპინძლა და 1:2 წააგო. ახლა სპარტაკელები ხუთი ქულით უსწრებენ თანაქალაქელ „ლოკომოტივს“ და დარჩენილ ორ ტურში ორი ქულაც ჰყოფნით ჩემპიონობის გასაფორმებლად. 2 ნოემბერს „სპარტაკი“ „როსტსელმაშს“ მიიღებს და ალბათ ჩემპიონიც გახდება. თუმცა, იქაურ ქომაგებს სხვა რამ ადარდებთ. ქვეყნის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „სპარტაკს“ ამ თამაშზე მაყურებელთა დასწრება აუკრძალა. ასე რომ, ოქროს მატჩის მოწმე მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტი და 84 745 ცარიელი სკამი იქნება...

აკრძალვა აკრძალვად, მაგრამ „სპარტაკის“ ფანები მართლაც ზღვარგადასულ აგრესიას ავლენენ. პეტერბურგში მატჩის დაწყებამდე ისინი რამდენჯერმე შეებნენ „ზენიტის“ ფანებს. იმავე დღეს, მოსკოვში, არბატზე ახალგაზრდა ყმაწვილს თავს დაესხნენ და ადგილზევე მოკლეს. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვისი ფანი იყო დაღუპული.

შეგახსენებთ, რომ გაზაფხულზე მოსკოვის „დინამოს“ ფანებმა „ზენიტის“ 15 წლის ქომაგი გამოასალმეს სიცოცხლეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 28 | 21 | 1 | 6 | 66:29 | 64 |
| ლოკომოტივი | 28 | 17 | 8 | 3 | 38:16 | 59 |
| ანჟი | 28 | 14 | 7 | 7 | 41:28 | 49 |
| ტორპედო | 28 | 14 | 7 | 7 | 39:28 | 49 |
| დინამო | 28 | 13 | 8 | 7 | 44:34 | 47 |
| ჩერნომორეცი | 28 | 12 | 10 | 6 | 44:26 | 46 |
| ზენიტი | 28 | 12 | 7 | 9 | 35:25 | 43 |
| ცსკა | 28 | 11 | 5 | 12 | 41:35 | 38 |
| ალანია | 28 | 10 | 8 | 10 | 33:33 | 38 |
| სატურნი | 28 | 9 | 9 | 10 | 25:29 | 36 |
| როტორი | 28 | 8 | 8 | 12 | 34:50 | 32 |
| როსტსელმაში | 28 | 6 | 13 | 9 | 23:25 | 31 |
| ფაკელი | 28 | 6 | 10 | 12 | 24:44 | 28 |
| კრილია | 28 | 6 | 5 | 17 | 23:45 | 23 |
| ნ. ნოვგოროდი | 28 | 3 | 8 | 17 | 16:45 | 17 |
| ურალანი | 28 | 2 | 6 | 20 | 17:51 | 12 |

### თასის მერვედფინალი

**ტორპედო 1:1(პენ. 5:4) დინამო**

1:0 ზირიანოვი (14), 1:1 ნემოვი (72)

**ლოკომოტივი 5:0 გაზოვიკ-გაზპრომი**

1:0 ტერიოხინი (11), 2:0 ევსეევი (38), 3:0, 4:0 ჩუგაინოვი (42, 53), 5:0 ჩერევჩენკო (88)

**კრილია 3:0 მეტალურგი**

1:0 ანიუკოვი (19), 2:0 იოკშასი (68), 3:0 ტიმაშოვი (74ს.პ.)

**ამქარი 1:0 ირტიში**

1:0 პარამონოვი (20)

**ცსკა 1:3 ანჟი**

0:1 ადიევი (13), 1:1 კორნაუხოვი (17), 1:2 ადიევი (41), 1:3 სირხაევი (53)

**ენერგეტიკი 2:2(პენ.1:2) სოკოლი**

0:1 ფედკოვი (26), 1:1 ლიჩაგოვი (38), 1:2 ნიკიტინი (70), 2:2 პოპოვი (84)

**სპარტაკი — ლადა**

მოგვიანებით გაიმართება

## ბელგია

XI ტური

## ჰოლანდია

X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.00 | 822 | მიულერი-ბარსელონა | 1,5 | 12,0 |

კალათბურთი
31 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.00 | 823 | ატლანტა-შარლოტი | 1,7 | 12,0 |
| 24.00 | 824 | ნიუ ჯერსი-კლივლენდი | 1,6 | 12,0 |
| 24.00 | 825 | ორლანდო-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 |
| 24.00 | 826 | დალასი-მილუოკი | 1,7 | 12,0 |
| 24.00 | 827 | ნიუ იორკი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 |
| 24.00 | 828 | ტორონტო-დეტროიტი | 1,35 | 12,0 |
| 24.00 | 829 | ჩიკაგო-საკრამენტო | 1,7 | 12,0 |
| 24.00 | 830 | ჰიუსტონი-მინესოტა | 1,7 | 12,0 |
| 24.00 | 831 | სან ანტონიო-ინდიანა | 1,3 | 12,0 |
| 24.00 | 832 | იუტა-კლიპერსი | 1,05 | 12,0 |
| 24.00 | 833 | გოლდენ სტეიტი-ფინიქსი | 2,8 | 12,0 |
| 24.00 | 834 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 |
| 24.00 | 835 | ვანკუვერი-სიეტლი | 2,0 | 12,0 |

1 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.00 | 836 | ბოსტონი-დეტროიტი | 1,4 | 12,0 |
| 24.00 | 837 | ფილადელფია-ტორონტო | 1,3 | 12,0 |
| 24.00 | 838 | შარლოტი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 |
| 24.00 | 839 | კლივლენდი-საკრამენტო | 2,0 | 12,0 |
| 24.00 | 840 | მაიამი-ორლანდო | 1,5 | 12,0 |
| 24.00 | 841 | სიეტლი-დენვერი | 1,2 | 12,0 |
| 24.00 | 842 | ლეიკერსი-იუტა | 1,2 | 12,0 |

2 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.00 | 843 | ნიუ იორკი-ატლანტა | 1,1 | 12,0 |
| 24.00 | 844 | დალასი-ინდიანა | 2,0 | 12,0 |
| 24.00 | 845 | სან ანტონიო-მინესოტა | 1,25 | 12,0 |
| 24.00 | 846 | ჰიუსტონი-მილუოკი | 1,7 | 12,0 |
| 24.00 | 847 | დენვერი-გოლდენ სტეიტი | 1,25 | 12,0 |
| 24.00 | 848 | ფინიქსი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 |
| 24.00 | 849 | კლიპერსი-ვანკუვერი | 1,5 | 12,0 |

ჰოკეი
31 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.00 | 901 | ოტავა-ტორონტო | 1,8 | 4,0 |
| 24.00 | 902 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 |
| 24.00 | 903 | კოლუმბუსი-ლოს ანჯელესი | 2,5 | 4,0 |
| 24.00 | 904 | აილენდერსი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 |
| 24.00 | 905 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 2,4 | 4,0 |
| 24.00 | 906 | ნეშვილი-სენტ ლუისი | 2,4 | 4,0 |

1 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.00 | 907 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,55 | 4,0 |
| 24.00 | 908 | მონრეალი-დეტროიტი | 2,2 | 4,0 |
| 24.00 | 909 | ფლორიდა-აილენდერსი | 1,8 | 4,0 |
| 24.00 | 910 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 |
| 24.00 | 911 | დალასი-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 |
| 24.00 | 912 | ედმონტონი-კალგარი | 1,55 | 4,0 |
| 24.00 | 913 | ვანკუვერი-კოლორადო | 2,1 | 4,0 |
| 24.00 | 914 | ანაჰაიმი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 |
| 24.00 | 915 | სან ხოსე-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 |

2 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.00 | 916 | ოტავა-რეინჯერსი | 1,55 | 4,0 |
| 24.00 | 917 | ფილადელფია-ნეშვილი | 1,7 | 4,0 |
| 24.00 | 918 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 |
| 24.00 | 919 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 |
| 24.00 | 920 | ატლანტა-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 |
| 24.00 | 921 | სენტ ლუისი-ვაშინგტონი | 1,35 | 4,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტ...**

# სად ბრაზილია, სად ფეხბურთი?
# ფიფამ თქვა, ჩემი შიშითო...

**ბრაზილია** აღარ ითამაშებს მსოფლიოს ქალთა, იუნიორთა, ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატს არ გამოჰკლებია, კორეა-იაპონიის მიღმა დარჩება. ბრაზილია ვერც კოპა ამერიკაზე გამოვა, ხოლო იქაურ მსაჯებს საერთაშორისო ტურნირების მომსახურებას ჩამოაშორებენ. ასევე აიკრძალება ბრაზილიელ ფეხბურთელთა ტრანსფერები უცხოეთში — ეს ყველაფერი ჯერ არ მომხდარა, მაგრამ შესაძლოა მოხდეს, თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიო ფეხბურთში ამის არაერთი პრეცენდენტი არსებობს. თუნდაც მექსიკა, რომელიც ფიფამ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთა. მაშინ მექსიკელთა დასჯის მიზეზი ის იყო, რომ ახალგაზრდული ნაკრების ოთხ ფეხბურთელს ასაკი გაყალბებული ჰქონდა.

მაგრამ ბრაზილია ხომ მექსიკა არაა. მსოფლიოს ჩემპიონატი უბრაზილიოდ? გაუბედავენ? რატომაც არა. ზეპ ბლატერი, ფიფას პრეზიდენტი, ამბობს: „კანონი ყველასთვის ერთია და სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, ბრაზილია იქნება თუ ვინმე სხვა“. და მიზეზი? „ბრაზილიის ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში. ეს დაუშვებელია, რადგან ფიფას იურისდიქციის უხეში დარღვევაა“ — ამ შინაარსის წერილი გაუგზავნა ზეპ ბლატერმა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირას.

...ის პარლამენტის ქვედა პა...მად ფედერაციისა და ფი...“ ურთიერთობის საკითხებს ...იკი“ ეროვნული ნაკრების ... და ცალკეულ ფეხბურთე...ქვს გაფორმებული კონტრაქტები. არსებობს ეჭვი, რომ ფედერაციისა და „ნაიკის“ საქმიანობაში ყველაფერი კანონიერი არაა.

საფეხბურთო საქმეებს არკვევს პარლამენტის ზედა პალატაც. ადრე, ვანდერლეი ლუქსემბურგოზე საუბრისას, ვამბობდით, რომ ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მოთამაშეთა ტრანსფერების განხორციელებისას (ჯერ კიდევ კლუბებში მუშაობისას) ფინანსურ მაქინაციებს მიმართავდა. როგორც ირკვევა, ლუქსემბურგო გამონაკლისი არაა და უკანონო ოპერაციებით უამრავი კლუბი და აგენტი ითბობს ხელს.

აღნიშნული საკითხები ფრიად სერიოზულია და საჩქაროდ გამოსაკვლევი (დაგვიანებული თუ არაა). ხელისუფლების მხარესაა ბრაზილიური პრესა და მოსახლეობა. ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული ბრაზილიელები მავანი საფეხბურთო მოღვაწეების უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ. და ამ დროს ფიფა ამბობს: „ფედერაცია ხელშეუხებელია, ის მხოლოდ მე მემორჩილება!“

აქ ერთი შემთხვევა გვახსენდება, რომელზეც გასულ შაბათს ვწერდით. ფიფამ ტანზანია საფეხბურთო ოჯახიდან განდევნა იმ მიზეზით, რომ იქაურმა პოლიციამ თაღლითობასა და ფულის მითვისებაში მხილებული ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი დააპატიმრა. შეწყვიტეთ გამოძიება და გაანთავისუფლეთ ეგენიო — შეუთვალეს აფრიკელებს ფიფადან. ტანზანიის მთავრობამ ფეხბურთის თამაშს საკუთარი ღირსების შენარჩუნება ამჯობინა. რას იზამს ბრაზილია?

არადა, ბრაზილიური ფეხბურთი მისახედია. იქაური ჩემპიონატის, უკაცრავად, ჩემპიონატების სტრუქტურა ადამიანს თავგზას აუბნევს. ბრაზილიური გუნდები სეზონის მანძილზე ოთხ სხვადასხვა ჩემპიონატში თამაშობენ. ამას დავუმატოთ საერთაშორისო ტურნირები და მივიღებთ — გუნდი კვირაში სამ-ოთხ მატჩს მართავს! წლევანდელს ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონატის ჩატარებას საერთოდ ვერ მოაბა თავი და მის ნაცვლად 116-გუნდიანი ჟოაო ავალანჟის ტურნირი მოაწყო. თამაშის ხარისხი კი... ერთ დროს კორექტულობით განთქმული ბრაზილიური ფეხბურთი დღეს ყველაზე უხეშია მსოფლიოში. მსაჯებს 90 წუთის განმავლობაში საშუალოდ ასჯერ უხდებათ ჯარიმის დანიშვნა, ცემა-ტყეპას ხომ ნუღარ იკითხავთ. ამიტომაცაა, რომ მაყურებელს ასეთი ფეხბურთი მობეზრდა და მატჩების უმრავლესობა, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ იმართება. წარმოგიდგენიათ, ბრაზილიელი რომ ფეხბურთზე არ მივა...

და თუ მიდიან, კარგს არაფერს უნდა ელოდე. აგერ შაბათს „მარაკანაზე“ „ფლამენგომ“ „ვასკუ და გამა“ დაამარცხა. გამარჯვებულის ქომაგებმა დამარცხებულთა გულშემატკივრები აბუჩად აიგდეს, ვასკუელებმა კი გადაწყვიტეს დაემტკიცებინათ, რომ „ფლამენგომ“ შემთხვევით მოიგო. როგორ შეძლებდნენ? ცხადია, იარაღის ტრიალით. შედეგი სავალალოა — 14 წლის ფლავიო აუგუსტო მარონიუ დაიღუპა, რამდენიმე გულშემატკივარი მძიმედ დაიჭრა, მსუბუქად დაშავებულთა და სტადიონის გარეთ დალეწილ მანქანებს ხომ ვერ დათვლით. არა, მაინც როგორ აძლევენ ამ ხალხს სტადიონზე იარაღით მისვლის ნებას.

...ფიფა კიდევ ამბობს, ჩარევა არ გაბედოთო.

**გიორგი დარჯანია**

# ...ს კაცი მზადაა!

## ...იმ ალიევი დაბომბა



**„ინტერის“** ქომაგებისთვის სასიამოვნო სიახლეა — კრისტიან ვიერი გამოჯანმრთელდა და მზადაა, წლევანდელ სეზონში თავისი პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატაროს. ხვალ „სან სიროზე“, სერია A-ს მორიგ ტურში, „ინტერი“ „რომას“ დაუპირისპირდება. მარკო ტარდელიც ვიერის ჰპირდება, რომ ათამაშებს — კრისტიანი უკვე მზადაა. „რომაელთა წინააღმდეგ მატჩს ვიერი სავარაუდოდ სასტარტოში ვერ დაიწყებს, თუმცა შემდეგ ალბათ შეცვლაზე შევუშვებ“ — ბრძანებს მწვრთნელი.

ბოლო ხანს ფორვარდი ამხანაგურ მატჩებში სცდის თავს. რამდენიმე დღის წინ მან მოყვარულთა გუნდ „ალიევის“ წინააღმდეგ ითამაშა და ერთ საათში ოთხი გოლიც შეუგდო.

აბა, „ინტერში“ ისე როგორ იქნება, ვინმეს ტრავმა არ აწუხებდეს. თუ ვიერი გამოჯანმრთელდა, სამაგიეროდ, ივან სამორანო შეაწუხა ტკივილებმა. მილანელი ექიმების დასკვნით, ჩილელს მარჯვენა ფეხზე კუნთი დაეჭიმა, რაც რამდენიმე ხანს დაასვენებს. „რომასთან“ რომ ვერ ითამაშებს, ნაღდია, მაგრამ შესაძლოა შემდეგ ტურში „ვერონასთან“ შეხვედრაც გამოტოვოსო — იუწყება მედპერსონალი. მოკლედ, დარჩა „ინტერი“ ჰაქან შუქურის და რობი კინის იმედად, თუმცა ტარდელი არ წუხს — მე მომწონს ჰაქანის თამაშის სტილი. ვფიქრობ, რომაელთა დაცვის ხაზს მნიშვნელოვანი თავსატეხი გაუჩნდება.

კიდევ ერთი ტრავმა, ოღონდ ნახევარდაცვაში — დაშავებულია ხავიერ ძანეტი. ექიმი კომბი არგენტინელის მარცხენა მუხლის მდგომარეობას შეუშფოთებია და შიშობს, ვაითუ, ნახევარმცველს ერთი კვირა გაუცდესო. ძანეტის თუ გაუმართლა, ეგებ „ვერონასთან“ თამაში მოახერხოს. მოკლედ, დაზუსტებით ვერაფერს ამბობენ.

### ფეხბურთის რუკასთან



...ნტინელი ფორვარდის მარ...რმოს შეძენის სურვილი ერთ...დ ორმა იტალიურმა კლუბმა ...ამ“ და „ფიორენტინამ“ გამო...ლანტიკის გაღმიდან იუწყებიან, ...ინელები „ბოკა ხუნიორსს“ 27 ...დოლარს დაპირდნენ. თავად ფე...ის აგენტი გუსტავო მასკარდი ...ხან „ბოკას“ პრეზიდენტს შეხვდა, რათა მასთან ...ტის შესაძლო გაგრძელების პირობები შეეთანხ...

...ელი ნახევარმცველის, ივან ელგერას ყიდვა ...ერ იუნაიტედმა“ მოიწადინა. ეს ინფორმაცია ...ფეხბურთელმა დაადასტურა, თუმცა იქვე და...ეალში“ ბედნიერი ვარ, აქედან წასვლას ჯერ...ო არ ვაპირებ.“ ესპანელს „სამეფო კლუბთან“ ...ქტი 2004 წლამდე აქვს, ამ შეთანხმების დარ...შემთხვევაში კი საჯარიმო თანხა წინასწარ ...ვრულია — 44 მილიონი გირვანქა. ელგერა ...„ ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ, უთხრეს, რომ

**ალექს ფერგიუსონი მაკვირდება და დიდი სურვილი აქვს, „ოლდ ტრეფორდზე“ მიხილოს.“**

**ფრანგული** „სედანის“ ყოფილმა მწვრთნელმა პატრიკ რემიმ შესაძლოა ბელგიური „გენტი“ ჩაიბაროს. „საინტერესო წინადადებაა. გუნდის ხელმძღვანელებს მაღალი მიზნები აქვთ, მათ სურთ, „გენტი“ ევროთასებზე მოხვდეს“ — განაცხადა 46 წლის სპეციალისტმა, რომელიც „სედანიდან“ სეზონის დაწყების წინ დაითხოვეს. „გენტის“ ყოფილი თავკაცი, ჰოლანდიელი ჰენკ ჰიუვარტი კი თვენახევრის წინ, უეფას თასზე „აიაქსთან“ 0:6 განადგურების შემდეგ გაათავისუფლეს.

**იტალიურმა „ინტერმა“ ლუკა მეცანო სეზონის ბოლომდე „რეჯინაში“ გაანათხოვრა. ფეხბურთელი სადებიუტო მატჩს, ალბათ, ხვალ, „ბოლონიას“ წინააღმდეგ გამართავს.**

**პარაგვაელმა** მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა შესაძლოა კარიერა ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში გააგრძელოს. მას „ნანტი“ და „სტრასბური“ ეპატიჟებიან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი. თასის 1/8 ფინალი** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 17.00 | 126 | ხომუტოვი-სპარტა | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 17.00 | 127 | ოპავა-ტეპლიცე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 17.00 | 128 | ლიბერეცი-ჟიჟკოვი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 17.00 | 129 | ბოჰემიანსი-ბლშანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 17.00 | 130 | სინოტი-სლავია | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| | | **თურქეთი. სუპერთასი** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 21.00 | 131 | გალათასარაი-ბეშიქთაში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 132 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 133 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 23.45 | 134 | სენტ მირენი-დანფერმლაინი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 23.35 | 135 | ჰართსი-სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | | **კალათბურთი. სუპროლიგა** | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 801 | სპლიტი-ალბა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | | **2 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 802 | რაანანა-ულქერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 18.00 | 803 | პლანია-პო ორტეზი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 18.00 | 804 | ცსკა-სიენა | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 18.00 | 805 | ეფესი-ბაიერი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 18.00 | 806 | პარტიზანი-კრკა | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 18.00 | 807 | სკავოლინი-ირაკლისი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 18.00 | 808 | ვილერბანი-რიტასი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 18.00 | 809 | ოსტენდე-მაკაბი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 18.00 | 810 | პანათინაიკოსი-ცეპტერი | 1,05 | 12,0 | 5,5 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | |
| | | **2 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 811 | ლუგანო-ფორტიტუდო | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 18.00 | 812 | ესტუდიანტესი-ზადარი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 18.00 | 813 | პერისტერი-ჟალგირისი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 18.00 | 814 | შარლერუა-აეკ | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 18.00 | 815 | ტაუ-კინდერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 18.00 | 816 | ციბონა-სტ.პეტერბურგი | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 18.00 | 817 | ოვარენსე-რეალი | 4,0 | 12,0 | 1,1 |
| 18.00 | 818 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 1,45 | 12,0 | 2,0 |
| 18.00 | 819 | ბენეტონი-ჰაპოელი | 1,45 | 12,0 | 2,0 |
| 18.00 | 820 | ლონდონი-ბუდუჩნოსტი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 18.00 | 821 | პაოკ-სკაილაინერსი | 1,05 | 12,0 | 5,5 |
| 18.00 | 822 | მიულერი-ბარსელონა | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 823 | ატლანტა-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 824 | ნიუ ჯერსი-კლივლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 825 | ორლანდო-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 24.00 | 826 | დალასი-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 827 | ნიუ იორკი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 7,5 |
| 24.00 | 828 | ტორონტო-დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 24.00 | 829 | ჩიკაგო-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 830 | ჰიუსტონი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 831 | სან ანტონიო-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 24.00 | 832 | იუტა-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 24.00 | 833 | გოლდენ სტეიტი-ფინიქსი | 2,8 | 12,0 | 1,35 |
| 24.00 | 834 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 835 | ვანკუვერი-სიეტლი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 24.00 | 836 | ბოსტონი-დეტროიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 24.00 | 837 | ფილადელფია-ტორონტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 24.00 | 838 | შარლოტი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 24.00 | 839 | კლივლენდი-საკრამენტო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 24.00 | 840 | მაიამი-ორლანდო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 24.00 | 841 | სიეტლი-დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 842 | ლეიკერსი-იუტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | **2 ნოემბერი** | | | |
| 24.00 | 843 | ნიუ იორკი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 24.00 | 844 | დალასი-ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 24.00 | 845 | სან ანტონიო-მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 24.00 | 846 | ჰიუსტონი-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 847 | დენვერი-გოლდენ სტეიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 24.00 | 848 | ფინიქსი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 24.00 | 849 | კლიპერსი-ვანკუვერი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **31 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 901 | ოტავა-ტორონტო | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 902 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 2,8 |
| 24.00 | 903 | კოლუმბუსი-ლოს ანჯელესი | 2,5 | 4,0 | 1,75 |
| 24.00 | 904 | აილენდერსი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 905 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 906 | ნეშვილი-სენტ ლუისი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| | | **1 ნოემბერი** | | | |
| 24.00 | 907 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 908 | მონრეალი-დეტროიტი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 909 | ფლორიდა-აილენდერსი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 910 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 911 | დალასი-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 912 | ედმონტონი-კალგარი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 913 | ვანკუვერი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 914 | ანაჰაიმი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 915 | სან ხოსე-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| | | **2 ნოემბერი** | | | |
| 24.00 | 916 | ოტავა-რეინჯერსი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 917 | ფილადელფია-ნეშვილი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 918 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 2,8 |
| 24.00 | 919 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 920 | ატლანტა-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 921 | სენტ ლუისი-ვაშინგტონი | 1,35 | 4,0 | 4,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიეებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.


**ქუთაისში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ძველ მისამართზე: პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)**

## საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

# ჩემპიონატი გამოირთო

## თელასობა თბილისობის დღეებში



უდენობამ და სერგო იმხნელმა მეათე ეროვნული შეაფერხეს

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**ვითა 66:87 აზოტი**

I ტაიმი 37:46

ვითა: ნ. ვაშაკიძე (1), ქირაქაძე (10, ჩიხლაძე (14), ბურკაძე, მდივანი (8); მარხვაშვილი (19), ნ. შანიძე (6), ბარბაქაძე (9)

აზოტი: ლ. ჩაჩუა (4), გაბისონია (13), ჯიმშელეიშვილი (21), წიკლაური, ბაბიაშვილი (28); ბერუაშვილი (2), ა. ჟღენტი (8), აბზიანიძე (9), დანელიანი (2), ა. ბოისა, მიქიაშვილი, არწივაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

28 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**თსუ 84:67 სსუ**

I ტაიმი 45:36

თსუ: დ. ბერიშვილი (11), მაისურაძე (13), გ. მარკოიშვილი (20), ახალკაცი (16), მაჭარაძე (2); არსიაშვილი (12), ხეცურიანი (6), ვეფხვაძე (2), სანიკიძე (2), ნათობაძე, ზანგურაშვილი

სსუ: გ. ჟღენტი (9), ბ. ბერიშვილი (27), ლაცუზბაია (2), ბერია (15), ტატუნაშვილი (4); ბერეკაშვილი, არჩვაძე (6), სორდია, ბ. ქვილითაია (2), ვ. ქვილითაია (2)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**როლანდ ლაბუჩიძე**

დაახლოებით ერთი კვირის წინ თელასმა ურჩ გადამხდელს, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზს დავალიანების გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა და მეათე ეროვნულის მომავალიც წყვდიადმა მოიცვა. გაუნათებელ დარბაზში მატჩების ნორმალურად ჩატარებას საფრთხე დაემუქრა. „ვითა“ — „აზოტისა“ და თსუ — სსუ-ს შეხვედრაში არც ფავორიტად და არც აუტსაიდერად მიჩნეული გუნდებისგან შექმნიათ პრობლემები ჩემპიონატის ორგანიზატორებს. სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ „ვითას“ ან სსუ-ს მესამე ტურში სარბიელი გამარჯვებულებს დაეტოვებინათ. იქნებ ამითაც აიხსნება ის, რომ მათ თავიანთი უფლებები არ გამოიყენეს და უშუქო დარბაზში თამაშს დაყაბულდნენ.

სამაგიეროდ, განსხვავებული პოზიცია დაიკავა „შევარდენის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგო იმხნელმა და ჩაბნელებულ, უტაბლოო დარბაზში „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშზე კატეგორიული უარი განაცხადა.

***სერგო იმხნელი:*** „წლეულს ექვსეულში მოხვედრა დავისახეთ მიზნად. „დინამო“ ჩვენი უშუალო კონკურენტია და რატომ უნდა ჩავიგდოთ თავი საფრთხეში? ხომ შეიძლება, რომ ასეთ პირობებში მსაჯების უნებლიე შეცდომა წაგების ფასად დაგვიჯდეს და ამან დიდი როლი ითამაშოს ექვსეულში ჩვენს ყოფნა-არყოფნაზე. ხვალ, მეოთხე ტურში, კიდევ ერთ მოცილესთან, თსუ-თან გვაქვს შეხვედრა და თუ შუქი არ იქნება, არც ხვალ ვითამაშებთ და არც მომავალში. ჩვენ ერთ თეთრსაც კი არავინ გვპატიობს და ყველას მიმართ პირნათელნი ვართ. კეთილი ინებოს და კალათბურთის ფედერაციამაც გააკეთოს ის საქმე, რაც უშუალოდ შედის მის კომპეტენციაში“.

ამ ფაქტს, ცხადია, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი აკაკი მეგრელაძეც გამოეხმაურა: „ჩემპიონატის დებულება იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ უშუქო, ტაბლოს გარეშე დარჩენილ დარბაზში გუნდებს მოედანზე სათამაშოდ გასვლა დავავალდებულოთ. „შევარდენის“ ხელმძღვანელობასაც ვერავინ აიძულებს აღნიშნულ პირობებში თამაშს.

რადგან „დინამო“ თამაშზე თანახმა იყო, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა რამდენჯერმე სთხოვეს „შევარდენის“ ხელმძღვანელობას, მატჩი არ ჩაეშალათ, მაგრამ უშედეგოდ. იმხნელზე არაფერმა გაჭრა, მან კალათბურთელებს შინ წასვლა და დასვენება უბრძანა.

როდესაც მოთელვით გართული „დინამო“ დარწმუნდა, რომ მეტოქე მოედანზე გასვლას არ აპირებდა, ფიზმომზადების მწვრთნელ სტადუხინის დაწყებული საქმე მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა გააგრძელა და რალაც საჩვენებელი ვარჯიშის მაგვარი გამოუვიდა. ჩემპიონატში კი (ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში დაგეგმილ შეხვედრებში) უნებლიე და იძულებითი შესვენება გამოცხადდა. გადაუხდიან სქოულს ფულს და ჩართავს შუქს, არ გადაუხდიან და...

მაინც, ვინ უნდა გაისტუმროს ეს დავალიანება, რომელიც დაახლოებით 8000 ლარია? ვერის ბაღის დარბაზი ქალაქის მერიას ეკუთვნის. საჭიროების შემთხვევაში დარბაზს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ქირაობს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვის. თელასი ფულს სთხოვს დარბაზის მეპატრონეს, დარბაზის მეპატრონე კალათბურთის ფედერაციას, კალათბურთის ფედერაცია — სახელმწიფოს კი, მოგეხსენებათ, დიდი ხანია, ბევრ უფრო მნიშვნელოვან საქმეზე ხელებიც დაუბანია.

ახლა კი მიმოვიხილოთ ის ორი შეხვედრა, სადაც პირველ ექვსეულში მოსახვედრად მებრძოლმა გუნდებმა ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერებთან მორიგი ორი ქულა მოიპოვეს.

ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი“ შესუსტებული შემადგენლობით დაუპირისპირდა ერთ დროს მრისხანე „ვითას“. არ იყო „აზოტის“ კაპიტანი და გუნდის ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი. ექსვითელებმა, ამჟამად კი „აზოტის“ წევრებმა — მამუკა ტურაშვილმა და ნუგზარ კოკოლიშვილმა ამჯერად ტრიბუნებიდან უყურეს თავიანთი ყოფილი გუნდის მორიგ მარცხს.

პირველი მეოთხედი „აზოტმა“ მხოლოდ ორი ქულის სხვაობით 22:20 მოიგო, მეორეში კი რუსთაველთა უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა — 24:17. პირველი ტაიმის შემდეგ „ვითამ“, რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა, შეუპოვარი წინააღმდეგობის ფასად ორ ქულამდე 51:53 შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო. გადამწყვეტ მომენტებში ზუსტად მოქმედებდა არჩილ ჟღენტი, ხოლო ზვიად ბაბიაშვილის შეჩერება „ვითას“ ძალებს აშკარად აღემატებოდა. საქართველოს შვიდგზის ჩემპიონებმა თავი იმით ინუგეშეს, რომ „აზოტს“ მესამე მეოთხედში მოუგეს — 21:15. მერე კი ნაადრევად შეურიგდნენ წაგებას, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. 26:8 — „აზოტის“ სასარგებლოდ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუდენტური დერბი თსუ-სა და სსუ-ს შორის თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. ახალკაცისა და გიორგი მარკოიშვილის მიერ 4:0 დაწინაურებულ თსუ-ს ჯერ გიორგი ჟღენტმა ჩაუგდო ორი ქულა, ხოლო მორიგი შეტევისას ბუბა ბერიშვილმა ზუსტი სამქულიანით თანაგუნდელები დააწინაურა კიდეც. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ სსუ წინ გასული აღარავის უნახავს. თბილისელთაგან განსაკუთრებით გამოირჩნენ გიორგი მარკოიშვილი და ირაკლი მაისურაძე, რომელთა ძალისხმევითაც თსუ-მ ათი ქულით — 25:15 მოიგო პირველი მეოთხედი. მართალია, სსუ-მ მეორე მეოთხედში რევანში აიღო, 21:20, მაგრამ საერთო შედეგზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია და ტაიმიც თბილისელთა ცხრაქულიანი უპირატესობით დასრულდა. უმადურობა იქნება კოლხთაგან მონდომება დავუკარგოთ გიორგი ჟღენტს, გოგიტა ბერიას და განსაკუთრებით ბუბა ბერიშვილს, თუმცა სსუ-ს შედარებით გრძელი სკამის მქონე და თანაბარი სიძლიერის კალათბურთელებით დაკომპლექტებულ თსუ-სთან მატჩში ამ სამეულის კარგმა გარჯამაც ვერ უშველა. ფარზე დაგეშილ ახალკაცისათვის ბურთის კალათში მოთავსება იოლი საქმე იყო, ფლანგებიდან მარკოიშვილი აქტიურობდა, დავით ბერიშვილსა და ირაკლი მაისურაძეს კი ხშირად გაჰყავდათ თანაგუნდელები ხელსაყრელ პოზიციაში.

პირველის მსგავსად, მესამე მეოთხედიც თსუ-ს სასარგებლოდ დასრულდა, ოღონდ ამჯერად უფრო მოკრძალებული შედეგით — 22:20. სსუ-მ ბოლო, დასკვნითი მეოთხედის მოგება კი შეძლო 19:17, მაგრამ მატჩის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 7 | 7 | 0 | 734:474 | 14 |
| აზოტი | 3 | 3 | 0 | 292:223 | 6 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | 314:291 | 5 |
| სტუ-ჯეოსელი | 3 | 2 | 1 | 276:291 | 5 |
| შევარდენი | 3 | 1 | 2 | 272:318 | 4 |
| ვითა-სტუ 2 | 4 | 0 | 4 | 285:408 | 4 |
| სსუ | 3 | 0 | 3 | 221:305 | 3 |
| მაკაბი | 2 | 0 | 2 | 172:199 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 2 | 147:204 | 2 |

**4 ტური**

29 ოქტომბერი. ბათუმი

**ბასკო 99:64 სტუ**



ვერნონ მაქსველს „ფილადელფიას“ მოარჯულებს?

# სტეფანიამ ხუთიანი მიიღო, ფილადელფიამ — გიჟი

**„ნიუ იორკ ნიქსი“** ახალ სეზონს, როგორც ყოველთვის, სერიოზული მიზნებით ხვდება. კარგი მწვრთნელი და მძლავრი შემადგენლობა — აი, ორი წინაპირობა, რაც ნიუიორკელთა იმედებს ასაზრდოებს. მართალია, „ნიქსმა“ ლამის გუნდის თილისმად ქცეული პატრიკ იუინგი ხუთ მოთამაშეში გაცვალა, რომელთაგან სამი ყოფილი სიეტლელია, მაგრამ აღმოსავლეთის ერთ-ერთ წამყვან გუნდად მაინც დარჩება და პლეი ოფში მინიმუმ ორი ეტაპის გადალახვასაც შეეცდება. თუმც „ნიუ იორკი“ გვერდზე გადავდოთ და იმ სამ კალათბურთელზე ვთქვათ, რომლებიც „ნიქსმა“ იუინგის სანაცვლოდ „სიეტლიდან“ მიიღო.

ექსსიეტლელებს — ვლადიმერ სტეფანიას, ლაზარო ბორელისა და ვერნონ მაქსველს „ნიქსის“ მაისურით ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ, ისე აღმოჩნდნენ გუნდს მიღმა. კლუბმა სამივე დაითხოვა და უგუნდოდ დარჩენილ ტრიოს სხვა ნავსაყუდელის მოძებნა მოუხდა. ნბა-ში მოთამაშე პირველი ქართველი, ვოვა სტეფანია, კანადურმა „ტორონტო რეპტორზმა“ აიყვანა და ხუთნომრიანი მაისურა უბოძა. დღეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი სეზონი იწყება, „ტორონტო“ შინაურ „ეარ კანადა სენთერში“ „დეტროიტს“ უმასპინძლებს და სტეფანიაც ახალ გუნდთან ერთად რეგულარული ჩემპიონატის ორომტრიალში გადაეშვება. ჯერჯერობით გაურკვეველია ლაზარო ბორელის ბედი. ბორელი პირველი კუბელია, ვისაც ნბა-ში თამაში ეღირსა, თუმც იმ დონის კალათბურთელი არაა, გუნდებმა კალთები დაახიონ. რაც შეეხება „გიჟ მაქსად“ წოდებულ ვერნონ მაქსველს, იგი ამ სამი დღის წინ „ფილადელფიას“ შეუერთდა.

„გიჟი მაქსი“ სულაც არაა ურიგო კალათბურთელი, მაგრამ მშფოთვარე ხასიათის გამო ერთ რომელიმე გუნდში დიდხანს ვერ რჩება. მთელი ენერგია კალათბურთის თამაშს რომ დაახარჯოს და თანაგუნდელებთან, მეტოქეებთან და მსაჯებთან ჩხუბზე ნაკლებად იფიქროს, მას ასე იოლად ვერ შეელევიან. მაქსველმა კი თავის თორმეტწლიან კარიერაში შვიდ გუნდში თამაში მოასწრო, თუ, ცხადია, „ნიუ იორკს“ არ ჩავთვლით, სადაც ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. „გიჟი მაქსი“ „ფილადელფიაში“ მანამდეც თამაშობდა, 1995-96 წლების სეზონში ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მეტოქეებს ყოველ თამაშში საშუალოდ 16,2 ქულას უგდებდა, თუმც იქ სულ ერთი სეზონი გაძლო.

ახლა „ფილადელფიას“ მთავარი მწვრთნელი მაქსველს უკანა ხაზში გუნდის ლიდერ ალენ აივერსონს შეუწყვილებს, თუმც საქმე ისაა, ეს ორი ამრევი როგორ შეეწყობა ერთმანეთს. აივერსონიც არანაკლები ხულიგანია, მარიხუანას ეწევა, ვარჯიშებზე არ დადის და დამრიგებელსაც გვარიანად ანერვიულებს. ერთი ხანობა ბრაუნს ისე მოუშალა ნერვები, რომ იგი მზად იყო, სხვა გუნდში გაეშვა. თუ მწვრთნელმა ამ ორის მოთოკვა შეძლო და არა თანაგუნდელებზე, არამედ მეტოქეებზე დაგეშა (კარგი გაგებით), შეუძლია, საკუთარ თავს მიულოცოს.

193-სანტიმეტრიან მაქსველს კარგად ეხერხება პასის გაკეთება და მეტოქეთა კალათის სამქულიანებით ამოვსება. თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში იგი ორჯერ იყო საუკეთესო სნაიპერი. 1990-91 წლების სეზონში მან ჯამში 172 სამიანი ჩააგდო და ნბა-ს ყველა დროის რეკორდსმენი გახდა. მაქსველის პირად მონაგარში აღსანიშნავია ნბა-ს ჩემპიონის ორი ტიტული, რომლებიც მან „ჰიუსტონში“ ყოფნისას, 1994 და 1995 წლებში მოიპოვა.

**ივანე ძოგიაშვილი**


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი

იზოლირებული ბინა

სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი

აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23

# ანამ კრემლი წააგო

**მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის თასი“. ქალები. დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 1,1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:0, 6:7 (5:7), 7:5; ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — ბარბარა შეტი (8, ავსტრია) 7:6 (9:7), 6:2; ანა კურნიკოვა (4, რუსეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:4, 6:1; ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 4:6, 7:6 (7:3), 6:3.**

**ნახევარფინალი: ჰინგისი — მორესმო 7:5, 6:3; კურნიკოვა — ტოზია 6:2, 6:1.**

**ფინალი: ჰინგისი — კურნიკოვა 6:3, 6:1**

აგერ უკვე მეხუთე წელია, რაც ანა კურნიკოვა პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა მარაქაში გაერია და ბავშვური ასაკისთვის ლამის შეუფერებელი მომხიბვლელობა-სექსუალურობით თანაბრად დაიპყრო ჩოგბურთის მამაკაცი გულშემატკივრების გულები და სპონსორთა სქელი ჯიბეები.

აგერ უკვე მესამე წელია, რაც მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები ანა კურნიკოვას ერთეულებში ტიტულის არქონას უკიჟინებენ და კვირიდან კვირამდე უთვლიან იმ ტურნირების რაოდენობას, რომლებზეც მან გამარჯვება ვერ მოახერხა („კრემლის თასი“ 78-ე იყო).

ტიტულების ყიდვა რომ შეიძლებოდეს, კვირას 19 წლის რუსი სიამოვნებით გადაუხდიდა მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს თავისი ნაპატივები საბანკო ანგარიშიდან ერთ-ორ მილიონ დოლარს, რათა ამ უკანასკნელს სპორტულ კომპლექს „ოლიმპიისკიში“ „უჩვეულოდ“ ბევრი შეცდომა დაეშვა ან რაიმე მაინც „წამოსტკივდებოდა“ და თავისი ყველა აუგის მთქმელი და ჟურნალისტ-მათემატიკოსი ჩაეჩუმებინა.

ჰინგისს რომ ნამდვილი ქართული დაქალობის რაიმე გაეგებოდეს, თავადაც ყოველგვარი თხოვნისა და ანაზღაურების გარეშე „დაუწვებოდა“ ფინალში კორტს გარეთ ახლო მეგობარსა და კორტზე მეწყვილე რუსს.

მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული მხოლოდ თეორია და მავანთა სურვილებია, ჩოგბურთის ტოტალიზატორული მაფიაც, ეტყობა, არც ისე ორგანიზებულად მოქმედებს, როგორც სპორტის სხვა სახეობებში. ასე რომ, მოსკოვში რუსებმა კი არ გაიხარეს თანამემამულის პირველი გამარჯვებით, ისევ მარტინა ჰინგისმა გაიღიმა დაჯილდოების ცერემონიალზე, კარიერის 34-ე და სეზონის მე-8 ტიტული მიითვალა, კიდევ ერთხელ გაინაღდა სეზონის ბოლოს პირველი ჩოგნობა და ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვისაც საპრიზოებით 14 მილიონი დოლარი დაუგროვებია.



ანა კურნიკოვა და მარტინა ჰინგისი

REUTERS მოსკოვიდან



ევგენი კაფელნიკოვი

„ძალიან კმაყოფილი ვარ მოსკოვში ჩამოსვლით. მომეწონა დარბაზი, ტურნირი და პარასკევს ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებამაც უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ყველა მეუბნებოდა, ტრიბუნები თითქმის ყოველთვის ცარიელიაო, მაგრამ ბოლო სამი დღეა, სრული ანშლაგი იყო — აღნიშნა მარტინამ — დღეს ფსიქოლოგიურად მძიმე მატჩი იყო ჩემთვისაც და ანასთვისაც. თავიდან თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ მეორე სეტში ის საკუთარ თავზე გაბრაზდა და მეც აშკარად ვაჯობე“.

კურნიკოვამ მეტოქეს პირველივე გეიმში მოწოდება აართვა, თუმცა თავისიც მაშინვე დაკარგა, ერთ მომენტში ზედიზედ 8 უნებლიე შეცდომა დაუშვა და სულ 46 წუთში დამარცხდა.

„არ ვიტყოდი, რომ ბოლოსკენ უბრალოდ დავნებდი, დღეს მარტინამ ჩემზე გაცილებით უკეთ ითამაშა და დამსახურებულადაც მომიგო. მისნაირი სტაბილურობის მისაღწევად ძალიან ბევრი უნდა ვიშრომო“ — განაცხადა კურნიკოვამ. რუსს ორი მცირე, მაგრამ სასიამოვნო ამბავი მაინც გაუქარვებდა ცოტათი ნაღველს. ოთხშაბათიდან ის ისევ საუკეთესოთა ათეულში დაბრუნდა, მოსკოვში ფინალში გასვლით კი წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც დაიბევა.

**მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის თასი“. კაცები. დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: მარატ საფინი (1, რუსეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 7:6 (7:5), 6:1; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:2; მარკ როსე (4, შვეიცარია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:2), 4:6, 7:6 (7:2); დევიდ პრინოზილი (გერმანია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 (7:3), 5:7, 7:6 (7:5).**

**ნახევარფინალი: პრინოზილი — საფინი 6:7 (4:7), 6:3, 6:3; კაფელნიკოვი — როსე 4:6, 6:2, 7:5**

**ფინალი: კაფელნიკოვი — პრინოზილი 6:2, 7:5**

კურნიკოვას მარცხით ნირწამხდარ მოსკოველებს გუნება ევგენი კაფელნიკოვმა გამოუკეთა. 26 წლის სოჭელი „კრემლის თასის“ მარადმწვანე ჩემპიონია, ამჯერად მან უკვე ზედიზედ მეოთხედ იმარჯვა.

მასპინძლები წინასწარ ილესავდნენ კბილებს — ფინალში თავიანთი ორი საუკეთესო ჩოგბურთელის, კაფელნიკოვისა და მარატ საფინის შეხვედრას და რუსული საჩოგბურთო ფედერაციისთვის მადის აღმძვრელ ბრძოლას ელოდნენ. საფინი ფინალში გასვლით „ჩემპიონთა რბოლა 2000-ში“ გუსტავო კუერტენს გაუსწრებდა და პირველ ადგილზე მოკალათდებოდა.

არ გამოვიდა... წყვილებში თამაშის ოსტატმა პრინოზილმა მეტისმეტად აღელვებულ რუსს ნახევარფინალში გუდა-ნაბადი ააკვრევინა და 15 ათასი რუსიც ჩააჩუმა.

გაუხარდა თუ არა კაფელნიკოვს მთავარი კონკურენტის ვადამდე ჩამოცილება გზიდან, ძნელი სათქმელია, მაგრამ მეორე დღეს საფინის შური სამაგალითოდ იძია.

„იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი, რომ დღეს აუცილებლად მოვიგებდი. პრინოზილთან ბოლო პირადი შეხვედრა წავაგე, მაგრამ აქ, მოსკოვში ვიცოდი, რომ ასე არ მოხდებოდა. ზედმეტად თავდაჯერებულიც არ ვყოფილვარ, უბრალოდ საკუთარი ძალებისა და უნარის მწამდა“.

**ბაზელი. შვეიცარიის დარბაზის ღია პირველობა. ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: ტომას ენკვისტი (2, შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 4:6, 6:2, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — გრეგ რუზედსკი (ინგლისი) 7:6 (7:5), 6:2; ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:3; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) 6:4, 6:4.**

**ნახევარფინალი: ენკვისტი — ჰენმანი 6:1, 6:3; ფედერერი — ჰიუიტი 6:4, 5:7, 7:6 (8:6)**

**ფინალი: ენკვისტი — ფედერერი 6:2, 4:6, 7:6 (7:4), 1:6, 6:1.**

ტურნირის დასრულების შემდეგ ჩემპიონს უნდა აქებდე და არა დამარცხებულ ჩოგბურთელს, მაგრამ 19 წლის როჯერ ფედერერი ნამდვილად იმსახურებს მისთვის გამონაკლისის გაკეთებას. შვეიცარიელს რომ სამომავლოდ დიდი სლემის ტიტულები და მსოფლიოს პირველი ჩოგნობა ელის, არაერთხელ თქმულა და გაგონილა. ახლა იმასღა დავუმატებთ, რომ ასე თვალსასეიროდ და ავანტიურისტულად მხოლოდ ჩოგბურთის ოქროს ხანაში თუ თამაშობდნენ და გირჩევთ, საქმეში მისი ხილვის შანსი, თუნდაც ტელევიზორში, ხელიდან არ გაუშვათ. თქვენ ნამდვილად არაფერს დაკარგავთ.

**ავთანდილ სვანიძე**



კრივალოსანი

# იუდა და ძმანი მისნი

**მაიკ ტაისონთან** ბრძოლის მეორე რაუნდის შემდეგ რინგიდან წასული პოლონელი ანჯეი გოლოტას მწვრთნელი ელ კერტო ბრაზობდა, რომ გოლოტას ბრძოლის შეწყვეტა პირველივე რაუნდის მერე უნდოდა, მაგრამ მან არ დაანება. დღეს ეს სიბრაზე კერტოს, როგორც ჩანს, სანანებლად გახდომია, რადგან ნერვოლოგი უესლი იაპორის თქმით, პოლონელი სერიოზულადაა დაშავებული და ჩხუბი რომ შეწყვიტა სრულიად მართალი იყოო.

„ბრძოლის შემდეგ ჩემი შეგირდი გავაკრიტიკე. ვამტკიცებდი, რომ მესამე რაუნდის ჩასატარებლად რინგზე უნდა გასულიყო, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, ძალიან თუ იყო დაშავებული. მისი ჯანმრთელობის ამბავი სრულყოფილად ახლახან შევიტყე“ — ამბობს ელ კერტო პრომოუტერის, მარტინ ევანსის გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში — „ცხადია, გაგრძელდება თუ არა ბრძოლა მხოლოდ სპორტსმენის მდგომარეობაზეა დამოკიდებული“.

შეგახსენებთ, რომ დეტროიტში გამართული ბრძოლის პირველ რაუნდში ტაისონმა გოლოტა ნოკდაუნში ჩააგდო, მაგრამ პოლონელმა იხტიბარი არ გატეხა და წამოხტა, თუმცა მალევე იგრძნო, რომ შეუძლოდ იყო და ბრძოლის შეწყვეტა განიზრახა. ამის გამგონე მწვრთნელმა ათლეტს თავს რისხვა დაატეხა, უყვიროდა „რას შვრებიო“ და ისიც დაემორჩილა, თუმცა მეორე რაუნდის შემდეგ, ქომაგთა გაწბილების მიუხედავად, დარბაზიდან მაინც წავიდა. როგორც გაირკვა გოლოტა სერიოზულად ყოფილა დაშავებული.

**ზაბ ჯუდა** ანუ ჩვენებურად იუდა, ის კაცია, ვისაც ექვსი ძმა ჰყავს და ექვსივე მოკრივეა. აქვე ავღნიშნავთ, რომ IBF-ის მძიმე წონის ჩემპიონის ტიტული მან ექტორ კიროსის ცემით შეინარჩუნა. ბრძოლა, რომელიც წესით თორმეტ რაუნდს უნდა გაგრძელებულიყო, მერვე რაუნდის მეორე წუთის მიწურულს შეწყდა. ჯუდამ აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა და ახლა 24 ჩხუბიდან ყველა მოგებული აქვს. კიროსთან ბრძოლა კი დარბაზს აშკარად არ მოეწონა, რადგან მეტოქემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ხალხს სეირი დააკლდა.

**IBF-ის** პირველი მძიმე წონის ჩემპიონი ვასილი ჟიროვი, რომელსაც კარიერაში გამართული 26 ბრძოლიდან ყველა მოგებული აქვს — ამათგან 24 ნოკაუტით — ახალ პრომოუტერს ეძებს. არაა გამორიცხული, რომ ტოპ რენკის შემცვლელად მან ლეგენდარული ემანუელ სტიუარტი აირჩიოს, თუ რა თქმა უნდა, ის დაყაბულდება. უზბეკის მენეჯერი ივაილო გოცევი ამასთან დაკავშირებით ამბობს:

„ტოპ რენკმა დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ვასილი ჟიროვმა იგი დატოვა. დღეს, ჟიროვის კარიერაში მნიშვნელოვანი მომენტია და ამიტომაც პრომოუტერის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს.“

გოცევის თქმით მოკრივემ უკვე მიიღო სხვადასხვა წინადადებები. თანაც ბევრი პრომოუტერი ჟიროვისთვის ახალი მწვრთნელის მოძებნითაცაა დაკავებული.

„ჩვენ ახალ მწვრთნელსაც ვეძებთ და გასულ შაბათ-კვირას ემანუელ სტიუარდთანაც გვქონდა მოლაპარაკება. თუ სტიუარდმა დასტური გვითხრა, ვგონებ, ვასილის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“ — თქვა მენეჯერმა.

1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი ვასილ ჟიროვი უახლოეს მომავალში, ალბათ დეკემბერში, მთავარ კონკურენტს, ალექს გონსალესს უნდა ეჩხუბოს.

**WBC-ს** ყოველწლიურ, რიგით 38-ე კონფერენციაზე, ორგანიზაციის პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა განაცხადა, რომ 25-წლიანი მუშაობის შემდეგ თანამდებობას სტოვებს.

„WBC-ს დირექტორაქის წევრებს ახალი პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატურების წამოყენებას მოვუწოდებ. ცხოვრება ციკლებისგან შედგება და ხშირად ადამიანი ვერ ხვდება სად მთავრდება მისი ციკლი. ვგონებ მე ამ მომენტს ვგრძნობ და ვფიქრობ, რომ ჩვენს დირექტორატში ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც საქმეს ამიერიდან უკეთ წარუძღვება“ — განაცხადა ღვაწლმოსილმა სულეიმანმა.

**ფელიქს** „ტიტო“ ტრინიდადისა და ფერნანდო ვარგასის ბრძოლა მსუბუქ საშუალო წონაში შესაძლოა წლის საუკეთესო ჩხუბი გახდეს. იგი იმდენ სეირს გვპირდება, რომ ტელეეკრანებზე სარფით მოხვედრა ნამდვილად არ გაუჭირდება. ამასთან დაკავშირებით ყბადაღებული პრომოუტერი დონ კინგი ამბობს:

„ბრძოლას ტელეკომპანიები „მარსი“ და „პლუტო“ გადასცემენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მთელი დედამიწა ნახავს. ამიტომაც ვთვლი, რომ ჩემთვის ასეთი ჯადოსნური დამაბულობის მოვლენაში მონაწილეობა დიდი პატივია.“



ფელიქს ტრინიდადი

დონ კინგი „ტიტოს“ პრომოუტერი გახლავთ და აცხადებს, რომ მისი მებრძოლი აუცილებლად ნოკაუტით გაიმარჯვებს. გარდა ამისა ეს სკანდალებით ცნობილი პიროვნება ვერც ოსკარ დე ლა ჰოიას ლანძღვისგან იკავებს თავს.

„ტრინიდადსა და ვარგასს დიდებული ტექნიკა აქვთ და ამას საქმეში იყენებენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი რინგზე ასვლას არ გაურბიან, მათი ბრძოლა არაფრით დაემსგავსება იმ ცუღლუტობას, ოსკარ დე ლა ჰოიას ტიტოს წინააღმდეგ რომ ჰქონდა ჩაფიქრებული. ხალხი შეურაცხყოფილი დარჩა როდესაც ნახა, რომ მილიონების მკეთებელმა ტიპმა კარლ ლუისივით მოკურცხლა.“

აქ დონ კინგმა ის გაიხსენა, დე ლა ჰოიამ ტრინიდადთან ჩხუბის ბოლო ოთხ რაუნდზე უარი რომ განაცხადა და დარბაზიდან წავიდა.

**22 წლის** მანჩესტერელ მოკრივეს, ინგლისის პირველი ქვესაშუალო წონის ჩემპიონს, რიკი „ჰითმენ“ ჰეტონს შესაძლოა პლასტიკური ოპერაცია დასჭირდეს. ეს ეჭვი ჯონ თექსტონთან შაბათის ბრძოლის შემდეგ გაჩნდა.

ჰითმენზე ამბობენ პრინც ნასიმ ჰამედის შემდეგ ყველაზე ნიჭიერი ინგლისელი მოკრივეაო, მაგრამ აგერ უკვე მეოთხედ ემართება ერთი და იგივე. თავად ამბობს:

„სულ მარცხენა თვალი მიშავდება — რის გამოც უკვე მეორე იარა დამაჩნდა და ეს ამბავი, მართალი გითხრათ მაწუხებს. შესაძლოა ნაკერების გახსნა და ხელახლა დამუშავება დამჭირდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ წლამდე რინგზე ველარ მიხილავთ, მაგრამ ეს არ მაშინებს. მე ის კაცი გახლავართ, ვინც თორმეტ თვეში შვიდი ბრძოლა გამართა და მწამს გაისად კვლავაც ბევრს ვიჩხუბებ.“

ჰეტონმა უემბლიზე გამართულ 12 რაუნდიან ბრძოლაში თექსტონს აჯობა.

„ერთი-ორჯერ დავატრიალე კასეტა თავიდან და დავრწმუნდი, რომ ჯერჯერობით ჩემი მაქსიმუმი ეს არის და ვაჩვენე კიდეც. ვაღიარებ, ტრავმა რომ მივიღე, ცოტა ვიპანიკე, აბა წარმოიდგინეთ, ბრძოლა 10 წამის დაწყებული იყო სისხლი თქრიალით რომ წამომივიდა. ნერვები მომეშალა, სულ ერთი და იგივე რატომ მემართება-მეთქი, მაგრამ ჩემმა ექიმმა დამამშვიდა, ისეთი არაფერიაო და ვგონებ პირველი რაუნდის შემდეგ თექსტონს ერთიც ალარ მოუგია.“

**ტუტა სიხარულიძე**

# მეტრეკეებმა ველო დააყენეს

## პატარა ბუღამ მოიგო და წავიდა



ტრეკზე კოცნა: იენს ლემანი ყოველ გამარჯვებას ასე აღნიშნავს

**პარასკევს,** შაბათსა და კვირას ინგლისურ მანჩესტერში ტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების რვა კომპლექტი გათამაშდა და ტურნირიც დასრულდა. საბოლოოდ გერმანიამ და საფრანგეთმა ოთხ-ოთხი ოქრო მოიპოვეს, მაგრამ არაოფიციალური გუნდური პირველობა გერმანიას დარჩა, რომელმაც სხვა სინჯის მედლებიც ბლომად ირგუნა.

ვაჟთა შორის სპრინტი იან ვან ეიდენმა მოიგო, რომელიც ფინალში უბრძოლველად მოხვდა. ნახევარფინალში მისი მეტოქე თანამემამულე იენს ფიდლერი იყო, რომელმაც რბოლაზე უარი თქვა, ავად ვარო. სამაგიეროდ, დიდი ბრძოლა გაიმართა მეორე ნახევარფინალში, სადაც ლორან განე იტალიელ რობერტო კიაპას შეხვდა. ფრანგმა ძლივს მოიგო 2:1, რის შემდეგაც მასა და კიაპას შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ჩხუბში ჟიურიმ იტალიელი დაადანაშაულა და იგი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ასე რომ, სპრინტში ბრინჯაოს მედალი გაუთამაშებელი დარჩა. ფინალის პირველ რბოლაში ვან ეიდენმა ძალიან ადრე შეუტია და სწორადაც მოიქცა. დაღლილი განე, რომელსაც ორი წრე ჰქონდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაინც ვერ დაეწია მეტოქეს. მეორე ხელშიც დაახლოებით ამგვარი ტაქტიკით მოიქცა გერმანელი. მან სპრინტი ფინიშამდე საკმაოდ ადრე წამოიწყო და გაიმარჯვა კიდეც. 24 წლის მრბოლისთვის ეს პირველი ოქროა მსოფლიოს ჩემპიონატებზე. აქამდე მას მხოლოდ ბრინჯაო მოუგია 1996 წელს.

პარასკევს მეორე ოქრო ბელარუსმა ქალმა ნატალია მარკოვნიჩენკომ დაისაკუთრა. 500-მეტრიან დისტანციაზე იგი საუკეთესო იყო. მართალია, მისი შედეგი ფრანგ ფელისია ბალანჟეს ოლიმპიადაზე ნაჩვენებ დროზე გაცილებით უარესი იყო, მაგრამ 29 წლის ფრანგს, რომელიც ამ დისციპლინაში არასოდეს დამარცხებულა, კარიერის დასრულება გადაუწყვეტია და არც მანჩესტერში ჩასულა.

შაბათს 39 წლის ბრიტანელმა ივონ მაკგრეგორმა გამოდევნებით რბოლაში იმარჯვა და თავის ქვეყანას 34-წლიანი შესვენების შემდეგ ამ დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაუბრუნა. კარიერის უდიდესი წარმატების მისაღწევად მაკგრეგორს ფინალში გერმანელი იუდით არნდტის დამარცხება დასჭირდა. მან უპირატესობის მოპოვება მხოლოდ ბოლო სამ წრეზე მოახერხა, მანამდე კი ძნელი სათქმელი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. ბრინჯაო ელენა ტკაჩუკმა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ მარიონ კლინიეს არ დაანება.

ოლიმპიურ სპრინტში საფრანგეთის ნაკრებმა თავისი ტიტული შეინარჩუნა და საერთოდ, 1997 წლიდან მოყოლებული ამ დისციპლინაში მას ტოლსწორი არ მოეპოვება. „ლურჯები" უკვე ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონები არიან და წლეულს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც გაიმარჯვეს. ლორან განემ, ფლორიან რუსომ და არნო ტურნანმა, ისევე როგორც ავსტრალიაში, მანჩესტერშიც დიდი ბრიტანეთის ნაკრებს მოუგეს ფინალური რბოლა. „ჩვენ პირველობას არ ვგეგმავდით. ფლორიანს სიდნეის მერე თითქმის აღარ ურბოლია, ლორანი კი ინდივიდუალური რბოლის მერე საკმაოდ დაღლილი იყო" — თქვა ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ კინტენმა. თუმცა მისი შეგირდები სულაც არ აპირებდნენ პირველობის დათმობას. მათ ყოველ გარბენში გააუმჯობესეს საკუთარი შედეგი და ფინალში 34 მეასედით აჯობეს მეტოქეს. თითოეულმა ფრანგმა თავის უშუალო კონკურენტზე უკეთესი დრო აჩვენა და ოქროც სადღა წავიდოდა. მესამე ადგილი ესპანეთს დარჩა, რომელმაც იაპონიას სძლია.

კვირას თავისი ბოლო რბოლა გამართა „პატარა ბუღად" წოდებულმა ფრანგმა ფრედერიკ მანიემ. 31 წლის სპორტსმენს ადრეც ჰქონდა გადაწყვეტილი, მანჩესტერის შემდეგ ველოსპორტიდან წასულიყო, მაგრამ კარიერის მაჟორულ ნოტაზე დასრულება სურდა, რაც გამოუვიდა კიდეც. მან მეშვიდე ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ამიერიდან ახალგაზრდა ფრანგების გაწვრთნით შეიქცევს თავს. კიერინში იგი პირველი 1995 და 1997 წლებშიც ყოფილა, მერე კი გერმანელი იენს ფიდლერი ველარ დაუჩაგრავს და მანჩესტერში ესეც რომ შეძლო, უზომოდ ბედნიერი ჩანდა. მანიე პელოტონს სათავეში ბოლო წრისას მოექცა და თავის ყველაზე ძლიერ მეტოქესაც რამდენიმე კორპუსით მიასწრო ფინიშზე.

გამოდევნებით რბოლის ფინალი კვირას წმინდა გერმანული გამოდგა — იენს ლემანმა შტეფან შტეინბერგს აჯობა. შეიძლება ითქვას, რომ ლემანმა მესამე გერმანელის, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის, რობერტ ბარტკოს არყოფნით ისარგებლა. ბოლო ხანებში ბარტკო მუდმივად ჯაბნის ხოლმე 32 წლის თანამემამულეს დისციპლინაში, რომელიც, ფაქტობრივად, გერმანელთა შინაურ საქმედ იქცა. ლემანმა შტეინბერგს, რომელთან ერთადაც 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადაზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ოქრო მოუგია, ძალიან იოლად სძლია. მან პირველივე წრეზე მოიპოვა უპირატესობა, რომელიც ნელ-ნელა გაზარდა და საბოლოოდ 5 წამსაც გაუტოლა.

კვირას მეორედ გაჩემპიონდა ბელარუსი ნატალია მარკოვნიჩენკო, ამჯერად სპრინტში. მან კანადელ ლორი-ან მანზერს აჯობა მეტად დაძაბულ ფინალურ ბრძოლაში (2:1). 25 წლის ბელარუსი ბალანჟეს მემკვიდრე გახდა, რომელსაც 1997 წლიდან მოყოლებული ყველა მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგია. მარკოვნიჩენკოსთვის, რომელიც რუსეთში ვარჯიშობს, ეს პირველი სერიოზული წარმატებაა. აქამდე მან მხოლოდ მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე გამოიჩინა თავი.

ბოლო, ქულებზე რბოლა ესპანელი ხუან ლანერასის გამარჯვებით დასრულდა. სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი თავისი კარიერის მანძილზე მეხუთედ გახდა მსოფლიოში უძლიერესი, ოღონდ აქედან ორჯერ ამერიკულში იმარჯვა. 160-წრიანი რბოლის ბედი ბოლოსვლა გადაწყდა. მანამდე ოთხმა კაცმა დანარჩენები მთელი წრით ჩამოიტოვეს და მედლებიც ერთმანეთში გაინაწილეს. თუმცა ბოლომდე გაურკვეველი იყო, ვის რა სინჯის მედალი შეხვდებოდა და ვინ საერთოდ უმედლოდ დარჩებოდა. საბოლოოდ ლანერასმა ივარგა და ესპანეთს მანჩესტერში პირველი და ერთადერთი ტიტული მოუტანა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე |
|---|
| სპრინტი. ვაჟები |
| 1. იან ვან ეიდენი (გერმანია) |
| 2. ლორან განე (საფრანგეთი) |
| ბრინჯაო არ გათამაშდა. |
| 500 მ. ქალები |
| 1. ნატალია მარკოვნიჩენკო (ბელარუსი) — 34,838 წმ |
| 2. კუიუპ იანგი (ჩინეთი) — 35,461 |
| 3. იან ვანგი (ჩინეთი) — 35,478 |
| ოლიმპიური სპრინტი. ვაჟები |
| 1. საფრანგეთი — 44,627 წმ |
| 2. დიდი ბრიტანეთი — 44,969 |
| 3. ესპანეთი — 45,382 |
| გამოდევნებით რბოლა. ქალები |
| 1. ივონ მაკგრეგორი (დიდი ბრიტანეთი) — 3წთ 35,274 |
| 2. იუდით არნდტი (გერმანია) — 3წთ 36,547 |
| 3. ელენა ტკაჩუკი (რუსეთი) — 3წთ 37,974 |
| სპრინტი. ქალები |
| 1. ნატალია მარკოვნიჩენკო |
| 2. ლორი-ან მანზერი (კანადა) |
| 3. კატრინ მეინკე (გერმანია) |
| კიერინი. ვაჟები |
| 1. ფრედერიკ მანიე (საფრანგეთი) |
| 2. იენს ფიდლერი (გერმანია) |
| 3. პაველ ბურანი (ჩეხეთი) |
| გამოდევნებით რბოლა. ვაჟები |
| 1. იენს ლემანი (გერმანია) — 4წთ 21,836 |
| 2. შტეფან შტეინბერგი (გერმანია) — 4წთ 26,704 |
| 3. რობ ჰეილესი (დიდი ბრიტანეთი) — 4წთ 21,998 |
| ქულებზე რბოლა |
| 1. ხუან ლანერასი (ესპანეთი) — 19 ქულა |
| 2. მატიე გილმორი (ბელგია) — 18 |
| 3. ფრანც შტოკერი (ავსტრია) — 17 |



# ჰერმინატორმა ასით დაიწყო

REUTERS ზოლდენიდან



ჰერმან მაიერმა მშობლიურ მთებში ჩვეულად იქროლა

**სამთოსათხილამურო** სეზონი ამ უქმეებზე დაიწყო და მარტამდე გაგრძელდება. ფიცხელი შეჯიბრი სლალომში, გიგანტურ სლალომში, სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში მოეწყობა. მთელი სეზონის მანძილზე დაგეგმილ მსოფლიოს თასის გათამაშებას წლევანდელი სიახლე დაავგირგვინებს — თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციამ კალენდარში ახალი გუნდური შეჯიბრი ჩანიშნა „ერთა გრანპრის" სახელით (16-დან 18 მარტამდე). მასზე 7 მოწინავე სათხილამურო ქვეყანა 12-კაციან ნაკრებს წარადგენს ექვსი კაცისა და ამდენივე ქალის შემადგენლობით. ჩათვლა გუნდური იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატი ავსტრიაშივეა დაგეგმილი, მას სანქტ ანტონის მთები უმასპინძლებს და საერთოდ, ავსტრიელები არც წლეულს აპირებენ იმ იმიჯის დაკარგვას, რომელიც ბოლო წლებში დაუმკვიდრდათ. ისინი სამთოთხილამურობის ბატონ-პატრონი არიან და ახალ სეზონს ახალი ძალით ხვდებიან. კვლავ მგელივითაა „ჰერმინატორი", იგივე ჰერმან მაიერი, რომელმაც გასულ სეზონში სლალომის გარდა ყველა ჯილდო მოხვეტა და 2000 სარეკორდო ქულა დააგროვა." ის არ იყო ჩემი ზედა ზღვარი — უთხრა ხელობით კალატოზმა „როიტერს" — მეტის გაკეთება შემიძლია, ოღონდ ჯანმრთელი ვიყო". მაიერის თავკაცობით ავსტრიამ სეზონი 19 110 ქულით დაასრულა და ქალთა და ვაჟთა 107 პოდიუმი ჩაწერა ისტორიაში, რომელთაგან პირველთა 39 და მეორეთა 25 გამარჯვება იყო. მანდილოსნებშიც ავსტრიელებს თითქმის ყველაფერი დარჩათ — საერთო ჩათვლა და სუპერ გიგანტი რენატა გოეჩლისა, გიგანტური სლალომი მიქაელა დორფმაისტერისა. მხოლოდ სწრაფდაშვება მოიგო გერმანელმა რეგინა ჰეუსლმა და სანამ ამ ჩინებულ ამბავს ეტყოდნენ, უკვე ფეხი ჰქონდა მოტეხილი. ამიტომ ჰეუსლი ჯერ ვერ ისრიალებს, ისევე როგორც მისი თვისტომი, სლალომში ოლიმპიური ჩემპიონი ჰილდე გერგი.

ქალებზე საუბარი იანიკა კოსტელიჩით გავაგრძელოთ, რადგან შარშან სწორედ ამ ხორვატ გოგოს უწინასწარმეტყველებდნენ ავსტრიული დიქტატურის დამხობას. კოსტელიჩი ერთი თვის მანძილზე იყო კიდეც საერთო ჩათვლის სათავეში, მაგრამ მერე ვარჯიშისას მუხლი მოიმტვრია და აქამდე არც გამოჩენილა. კვირის პირველ ეტაპზე კოსტელიჩი მე-12 ადგილზე გავიდა და ამ ამბავს „მომავლის ნათელი სიმბოლო" უწოდა. მათგან კი, ვისაც ჯერ კიდევ ბუნდოვანი მომავალი აქვს, დავასახელებთ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და ერთხელ თასის მფლობელ ალექსანდრა მაიზნიცერს (ავსტრიიდან) ქალებში და ოლიმპიურ ვიცე-ჩემპიონ შტეფან ებერჰარტერს, რომელსაც ჩილეს ანდებში საზაფხულო შეკრებისას თეძო დაუზიანებია.

კვირას ავსტრიულ ზოელდენში გიგანტური სლალომი გაიმართა. ბევრს ეცადა მიქაელა დორფმაისტერი, ეჩვენებინა, რომ შარშან ეს დისციპლინა შემთხვევით არ მოუგია, მაგრამ მაინცდამაინც არაფერი გამოუვიდა — ორი სრიალის ჯამში მეშვიდე იყო. რენატე გოეჩლი სულ ჩაფლავდა, პირველივე ცდაზე მოსრიალდა და ქულაც ვერ მიითვალა. იხეირა გერმანელმა მარტინა ერტლმა, რომლის პირველი ცდა უპრეტენზიო ჩანდა (მე-17 ადგილზე განათავსა), მაგრამ მეორე დიდებული გამოდგა.

კაცებში კვირა მაიერისა გახლდათ. „ჰერმინატორმა" თავის გიჟურ სტილში იქროლა, უახლოეს მდევარს 1,01 წამით გაუსწრო და მერე სიხარულით თოვლი დაკოცნა. სხვა საყურადღებო მოთხილამურეთაგან მე-4 იყო გიგანტურ სლალომში მაიერის მთავარი კონკურენტი, შვეიცარიელი მიხაელ ფონ გრუნინგენი, მე-8 ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტი (შარშანდელი მეორეადგილოსანი), მე-17 ადგილზე კი შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი, ავსტრიელი იოზეფ შტრობლი ვიხილეთ.

**დავით გულუა**

| მსოფლიოს თასი. I ეტაპი. |
|---|
| ზოელდენი, ავსტრია. გიგანტური სლალომი |
| ქალები |
| 1. მარტინა ერტლი (გერმანია) 2:22,68; 2. ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) 2:22,82; 3. ანია პერსონი (შვედეთი) 2:22,86. |
| საერთო ჩათვლა |
| 1. ერტლი 100; 2. ფლემენი 80; 3. პერსონი 60. |
| კაცები |
| 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 2:16,89; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2:17,90; 3. ფრედრიკ ნიბერგი (შვედეთი) 2:17,93. |
| საერთო ჩათვლა |
| 1. მაიერი 100; 2. ებერჰარტერი 80; 3. ნიბერგი 60. |



27 ოქტომბერი
კაროლინა — ნიუ ჯერსი 3:3
1:1 2:1 0:1 0:0
ბუფალო ტორონტო 2:1
1:1 0:0 1:0
კოლუმბუსი — ვაშინგტონი 3:1
2:0 1:1 0:0
აილენდერსი — მონრეალი 2:1
1:0 1:0 0:1
ტამპა — ოტავა 0:6
0:2 0:2 0:2
რეინჯერსი — პიტსბურგი 1:4
0:3 0:0 1:1
მინესოტა — კალგარი 3:1
2:0 0:1 1:0
ნეშვილი — ფლორიდა 3:3
0:1 1:2 2:0 0:0
დალასი — ფინიქსი 2:4
1:1 1:2 0:1
ვანკუვერი — ატლანტა 1:1
0:1 0:0 1:0
ანაჰაიმი — ედმონტონი 3:2
0:0 1:0 2:2
28 ოქტომბერი
მონრეალი — აილენდერსი 1:2
0:0 0:0 1:2
ბოსტონი — ტორონტო 1:2
0:0 1:0 0:1 0:1
ფლორიდა — ოტავა 3:1
1:0 1:1 1:0
ფინიქსი — ლოს ანჯელესი 3:1
1:1 0:0 2:0
პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 0:9
0:4 0:4 0:1
დეტროიტი — კოლუმბუსი 4:1
2:1 1:0 1:0
ჩიკაგო — ბუფალო 1:3
0:1 1:2 0:0
სენტ ლუისი — დალასი 4:3
1:1 1:2 1:0 1:0
კოლორადო — ედმონტონი 4:2
2:0 0:0 2:2
სან ხოსე — ატლანტა 2:2
0:0 1:1 1:1 0:0
29 ოქტომბერი
კაროლინა — სენტ ლუისი 1:4
1:2 0:1 0:1
რეინჯერსი — ბოსტონი 5:1
2:0 1:0 2:1
ფილადელფია — ვაშინგტონი 1:1
0:0 1:0 0:1 0:0
კალგარი — ანაჰაიმი 3:6
1:0 1:3 1:3
მინესოტა — ჩიკაგო 2:3
1:2 0:1 1:0

REUTERS ედმონტონიდან



კოლორადოელი დენ ჰინოტი (13) ედმონტონელ ერიკ ბრიუერს გადაეღობა

# ქართველების ბრმა დებიუტი



ოლიმპიადის სარბიელი სტამბოლის შეთანხმებათა და გამოფენათა ცენტრი

დასაწყისი პირველ გვერდზე

აქ არ შეიძლება ლაპარაკი იყოს ეგრეთ წოდებულ ღარიბ და მდიდარ ქვეყნებზე — ყველა მათგანის ხარჯებს თავის თავზე ორგანიზატორები იღებენ. საფიქრებელია, რომ უპირველეს ყოვლისა, ეს ამა თუ იმ ქვეყნისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს. კი, ბატონო, ფიდეს დევიზი მართლაც არის — „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“, მაგრამ ყველა ოჯახში ხომ არიან უფროს-უმცროსნი და ოჯახის გამორჩეული წევრები? ჰოდა, ქართული საჭადრაკო ელიტა ნამდვილად იყო უკეთესი პირობების ღირსი.

წარსულს რომ თავი დავანებოთ, ქალთა გუნდი რეიტინგით დღეს ჩინეთის შემდეგ მეორეა, კაცები კი საუკეთესო ათეულში შედიან. ახლა შეადარეთ ეს ციფრები შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების რაოდენობას — სარეკორდოს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ისტორიაში, კაცებში — 128, ქალებში კი 85.

პირველი დღის გაუგებრობას უნდა მოვაწეროთ ისიც, რომ თქვენს კორესპონდენტს რატომღაც აღმოაჩნდა არა პრესის, არამედ ფიდეს 71-ე კონგრესის დელეგატის აკრედიტაცია.

ვერც ტურნირის გახსნის ცერემონიალითაც დაიკვეხნიან ორგანიზატორები, რომელიც მოულოდნელად პირველი ტურის დღეს დაამთხვიეს და დილის ათ საათზე დანიშნეს. ბევრმა მოჭადრაკემ დარბაზში მოსვლას გამოძინება და ტურისთვის მზადება ამჯობინა. ყოველ შემთხვევაში, მოჭადრაკეთა ჩვენი ათეულიდან დარბაზში არავინ გახლდათ და, მე რომ მკითხოთ, ბევრიც არაფერი დაუკარგავთ.

— გახსოვთ, რა საოცრად გაიხსნა ოლიმპიადები მანილასა და დუბაიში? — ახსენებდნენ ერთმანეთს ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია.

ერთი კი უეჭველად მოგხვდებოდათ თვალში — ფიდეს პრეზიდენტის წარდგენა, როგორც „ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი“ (რუსეთის მოხსენების გარეშე) და ის, რომ კირსან ილუმჟინოვმა თავისი სიტყვა მხოლოდ რუსულად წარმოთქვა.

პირველ ტურში, რომელიც ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო, ჩვენი ვაჟთა გუნდის მოწინააღმდეგე, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ნაკრები გახლდათ. დიახ, ჩვენს ოთხეულს დაუპირისპირდნენ რუსი, პოლონელი და ესპანელი მოჭადრაკეები. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ უსინათლო მოჭადრაკეთა ასოციაციას. „მათი თამაშის სპეციფიკას რომ თავი დავანებოთ, არც კი ვიცი, ჩვენს კომპიუტერულ ბანკში მოიპოვება თუ არა რაიმე ინფორმაცია იმაზე, თუ რას და როგორ თამაშობენ. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ძლიერია და იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა კენჭისყრის შედეგებს გუნდის ლიდერმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

რამდენადმე მოულოდნელი იყო ვაჟთა გუნდის შემადგენლობა პირველ ტურში: ზურაბ აზმაიფარაშვილი პლუს გუნდის ეგრეთ წოდებული „ახალგაზრდული ნაწილი“ — გიორგი ყაჭეიშვილი, თამაზ გელაშვილი და ბაადურ ჯობავა. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე სამივეს „კოლექტიური დებიუტი“ პირველივე დღეს შედგა. როგორც შემდეგ დებიუტანტებმა მითხრეს, აქამდე მხოლოდ ერთს — 17 წლის ჯობავას ჰქონია უსინათლო მოჭადრაკესთან თამაშის გამოცდილება, ისიც ადრეულ ასაკში, ხარკოვში.

— დავიტანჯე, თან მეცოდება, თამაშიც უცნაურია — მეუბნება გიგა ყაჭეიშვილი. საქმე ისაა, რომ შენს წინ, მაგიდის მეორე მხარეს არავინაა, მოწინააღმდეგე ზის გვერდზე, მისთვის სპეციალური დაფაა გაშლილი და რომ იტყვიან, ის ცალკე, თავისთვის თამაშობს. ყოველი სვლის გაკეთების წინ საჭადრაკო დაფაზე განლაგებულ ყველა ფიგურას ხელით რამდენჯერმე ეძებს.

ისე კი, მოკრძალებასა და პატივისცემას ნამდვილად იმსახურებენ ადამიანები, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში ამ დონეზე თამაშობენ ჭადრაკს“.

პირველი ქულა ოლიმპიადის პირველ დღეს ჩვენს გუნდს ნინო გურიელმა მოუტანა. მან ჯერ კიდევ დებიუტისა და მიტელშპილის გასაყარზე მხედარი „მოჰპარა“ ფინელ მეტოქეს და ისიც უმალვე დანებდა. შემდეგ იყო და, სტამბოლში პირდაპირ ესპანეთიდან 18-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნებულმა ბაადურ ჯობავამ თავისი დებიუტი მოგებით დაიწყო, რომელსაც მხარი სულ მალე გიგა ყაჭეიშვილმაც აუბა.

თამაზ გელაშვილს პეტერ დუკაჩევსკიმ, რომ იტყვიან, დრო დააკარგვინა — უიმედო პოზიციაში დიდხანს არ ნებდებოდა, რის უფლებასაც თავმოყვარე მოჭადრაკე თავის თავს ნამდვილად არ უნდა აძლევდეს.

ამასობაში მაია ჩიბურდანიძემ და ნინო ხურციძემ ენდშპილში არავითარი შანსი არ დაუტოვეს ფინელებს და მატჩიც მშრალი ანგარიშით, 3:0 მოიგეს. სხვათა შორის, ამ ორი წლის წინ, ელისტაში, ჩვენი ქალთა გუნდის მოწინააღმდეგე პირველ ტურში ფინეთის ნაკრები იყო და მაშინ მათ ერთი ქულის „წართმევა“ შეძლეს.

ვაჟთა პირველ დაფაზე სერგეი კრილოვთან ზურაბ აზმაიფარაშვილს ერთ მომენტში მძიმე პოზიცია შეექმნა. უსინათლო მოჭადრაკეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა ორი ფიგურის შეწირვით ერთი შეხედვით თითქოს მძლავრი შეტევა მიიღო. პარტიის ამ მონაკვეთში კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ზურაბს (რომელიც შავებით თამაშობდა და რომლის რეიტინგიც თითქმის 400 ერთეულით მეტია, ვიდრე მისი მოწინააღმდეგის) შემორჩა ეტლი, კუ და პაიკი მოწინააღმდეგის ეტლისა და ოთხი პაიკის წინააღმდეგ. სულ მალე დაფიდან ხუთივე პაიკი გაქრა და საჭადრაკო დაფაზე დაფიქსირდა პოზიცია, რომლის შესახებ თავის დროზე რობერტ ფიშერს უთქვამს — 50 პარტიიდან 50-ს მოვიგებო. მაგრამ ეტლითა და კუთი ეტლის წინააღმდეგ მოგებაც ისეთივე ძნელია, როგორც თავდაცვა — ორივე მხარეს სჭირდება ფილიგრანული ტექნიკა.

მოგეხსენებათ, ზურაბს ტექნიკა და ოსტატობა ნამდვილად არ აკლია.

— ერთ პერიოდში ყაიმი შემომთავაზა. მაშინ ეს ნამდვილად არაკორექტული იყო. მე, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და თან დავამატე — თქვენ ისე კარგად ჩაატარეთ ეს პარტია, ყაიმის შემოთავაზება უხერხულია-მეთქი — თქვა ზურაბ აზმაიფარაშვილმა საჭადრაკო დაფასთან გატარებული ექვსი საათის შემდეგ.

მეორე ტურში კენჭისყრამ ქალებს ინდოელები შეახვედრა, ვაჟებს კი — კანადელები.

ჭადრაკის სამშობლო — ინდოეთი არასდროს ყოფილა საჭადრაკო ქვეყანა. მაგრამ გამოჩნდა ანანდი და „ჩატურანგა“ (ასე ეძახდნენ ამ თამაშს ინდოეთში) სწრაფი ტემპით იწყებს აღმავლობას — ანანდი ხომ ისეთივე კატალიზატორის როლს თამაშობს თავის ქვეყანაში, როგორიც თავის დროზე ნონა გაფრინდაშვილის ფენომენი გახლდათ საქართველოში.

წინა საჭადრაკო ოლიმპიადაზე ინდოელმა გოგონებმა საკმაოდ საპატიო მე-14 ადგილი დაიკავეს. მათი ლიდერი, სუბარამან ვიჯაიალაკშმი, პირველი დიდოსტატი ქალია ინდოეთში, ხოლო ამ ქვეყნის გუნდს კი ლენინგრადელი დიდოსტატი სალოვი ავარჯიშებს.

— საზიზღრად ვითამაშე — ასე შეაფასა თავისი თამაში პირველ დაფაზე თავად ნანა იოსელიანმა. მას დებიუტში უფრო სასიამოვნო პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ცენტრის გაძლიერება დააყოვნა და შავებით მოთამაშე მოწინააღმდეგეს კონტრთამაშის შესაძლებლობა მისცა. „პარტია შესანიშნავად მიჰყავდა და ნანას საშუალება არ მისცა, როგორმე თავი დაეხსნა“ — ასეთი იყო ნონა გაფრინდაშვილის აზრი.

თეთრებით ნინო გურიელმა სწრაფი ყაიმი დააფიქსირა. იმედები მხოლოდ ნინო ხურციძეზე იყო, რომელმაც მეორე დაფაზე შავებით პოზიცია არა თუ გაათანაბრა, უკეთესიც კი მიიღო, მაგრამ გამარჯვებისთვის არასაკმარისი. ნინომ მაინც გააგრძელა შეუპოვარი ბრძოლა და ბოლოს და ბოლოს ენდშპილში ზუსტი თამაშით აიძულა მეტოქე დანებებულიყო და გუნდი დამარცხებას გადაარჩინა.

ვაჟთა გუნდი ამ ორი წლის წინ ელისტაში კანადის ნაკრებს ფინიშის სწორზე — მე-10 ტურში შეხვდა. მაშინ ჩვენებმა იმარჯვეს — 3:1. სტამბოლში კი ქულების გაყოფა მოხერხდა. აქაც გუნდი მისმა დებიუტანტმა თამაზ გელაშვილმა იხსნა.

პირველ ორ დაფაზე ყაიმი შედარებით ადრე დაფიქსირდა — გია გიორგაძემ თეთრებით რეალურად ვერაფერი მიიღო, ხოლო ზურაბ სტურუამ პოზიცია იოლად გაათანაბრა. თავიდან უკეთესად იდგა მესამე დაფაზე გიგა ყაჭეიშვილი. შუა თამაშში მოწინააღმდეგეს მისცა შანსი, ორი მსუბუქი ფიგურა დარჩენოდა ეტლის წინააღმდეგ მაშინ, როცა დაფაზე 6-6 პაიკი ჯერ კიდევ ცოცხლობდა. პარტიის ხსნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, თამაზ გელაშვილმა მოიგო ისეთი პარტია, რომელიც ეტლების ენდშპილში ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. „ვხედავდი, რომ გუნდი აგებდა, აბა, რა უნდა მექნა, ყველა შანსს ვეძებდი“ — თქვა პარტიის დამთავრების შემდეგ თამაზმა.

სხვათა შორის, თამაზს მოწინააღმდეგე ტურის დაწყების წინ შეუცვალეს — კომპიუტერს შეეშალა და რა ვქნათო — ასე ახსნეს ეს ფაქტი არბიტრებმა, თან შესთავაზეს — ნახევარ საათს მოგცემთ და მოემზადეო.

— აბა, ნახევარ საათში რას მოვასწრებდი და მეც პირდაპირ მივუჯექი დაფას — ჩინებულ ხასიათზე გახლდათ თამაზ გელაშვილი, რომელმაც მასთან სათამაშოდ მომზადებულ იოოს სძლია.

გუნდის შემდგენლობის განსაზღვრა კაპიტნის პრეროგატივაა, მაგრამ უკვე მეორე ტურში ზურაბ აზმაიფარაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის დასვენება მაინც მოულოდნელი, ძნელად ასახსნელი იყო. როგორც წესი, შვეიცარული სისტემის პრინციპიდან გამომდინარე, წამყვანი გუნდები თავიანთ ლიდერებს უპირატესად პირველ ტურში ასვენებენ. ასე მაგალითად, ოლიმპიადის გახსნის დღეს არ უთამაშიათ ხალიფმანს (რუსეთი), ლეკოს (უნგრეთი), შიროვს (ესპანეთი), ტორეს (ფილიპინები), ტოპოლოვს (ბულგარეთი), კორჩნოის (შვეიცარია), კრასენკოვს (პოლონეთი) და სხვა.

...მოკლედ, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მატარებელი დაიძრა. ვნახოთ, ფინიშზე რომელი გუნდი რომელ ვაგონში აღმოჩნდება.

**გუშინ**

მესამე ტური

ვაჟები. საქართველო — ლიტვა 2:2
ქალები. საქართველო — აზერბაიჯანი 3:0



# თბილისი პარგავს, ხმერგიანი იმატებს

**არც** ისე დიდი ხნის წინ საქართველო თავს იწონებდა ძიუდოისტთა თუ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირებით. ერთსაც და მეორესაც მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატებს უწოდებდნენ და თბილისის სპორტის სასახლესაც რჩეული ფალავნები მრავლად უხილავს. ძიუდოისტთა შეჯიბრი, მაგალითად, ძუგარო კანოსა და პარიზისას უტოლდებოდა, მაგრამ დროის დინებამ მას ავტორიტეტი დაუკარგა. ამ უქმეებზე დასრულებულ 28-ე ტურნირზე სულ ხუთი გუნდი გვესტუმრა — სომხეთი, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთი. გუნდს ვამბობთ, თორემ რა გუნდებია — თურქები და რუსები თითო-ოროლა ძიუდოისტით ჩამოვიდნენ. მთლიანობაში ქალთა და ვაჟთა შორის სტუმარ-მასპინძლიანად 132 მონაწილე მოგროვდა, ქალთა ერთ წონაში კი მხოლოდ ორმა იჭიდავა.

უდროობის ტურნირი — ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისურ შეჯიბრს. სეზონის მიწურულია და საერთაშორისო კალენდარი მნიშვნელოვანი ტურნირებისგან თავისუფალია. მომავალ საპასუხისმგებლო ტურნირებამდე კი იმდენად შორია, არც მათთვის მოსამზადებლად გამოდგება. აგერ, ოლიმპიადაც ახლახან დამთავრდა და... ერთი სიტყვით, განტვირთვის დროა და არა დატვირთვის. ამის მაგალითად ნესტორ ხერგიანიც გამოდგება, რომელმაც ზედმეტი სამიოდე კილოგრამის დაკლებას, ზედა, 66 წონაში გამოსვლა არჩია.

ზემოხსენებული მიზეზით თბილისს ფრანგთა გარდა სახელოვანი ფალავნები არ სწვევიან. მართალია, უძლიერესი შემადგენლობით არც ფრანგები ჩამოსულან, მაგრამ მათი გუნდი მაინც ყველაზე ტიტულიანი იყო. აკი მასპინძელთა მერე ყველაზე მეტი წარმატებითაც იჭიდავეს. ალბათ, ეს უფრო იმიტომ, რომ თბილისში რჩებიან ოთხდღიანი ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად. გუნდის ლიდერი 100-კილოიანი გისლენ ლემერი იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი, რომელმაც ოლიმპიურ გუნდში ადგილი საკმაოდ შებერებულ, მაგრამ სიდნეიში მაინც მეორედ გაჩემპიონებულ 37 წლის სტეფან ტრენოსთან საკონტროლო შეხვედრით დაკარგა. თუმცა ტიტულებმა ჯიქურაულთან შეხვედრაში ვერ უშველა. ეს ფინალური შეხვედრა ივერისთვის (რომელმაც გვარიანად ანერვიულა მაყურებელი) სარევანშოც გამოდგა — სწორედ ლემერმა მოუგო მას 1997 წლის ევროპის პირველობაზე.

ამ უღიმღამო, არაფრის მთქმელმა ტურნირმა თავისი მისია მაინც შეასრულა — ჩვენთვის ხომ ახლა მთავარია, არ დავკარგოთ იგი, ხოლო სამომავლოდ რამდენად ხელსაყრელ ვადებში ჩავატარებთ, ეს ისევ ჩვენსავე მარიფათზეა დამოკიდებული.

ტურნირის უმთავრეს ღირსებად ახალგაზრდების დათვალიერება იქცა. მართალია, მომავალი თაობის ზოგიერთი ლიდერი თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში გამოდიოდა და ნაკრების ყველა წევრიც არ ჭიდაობდა, მაგრამ ახალგაზრდებმა აშკარად აგრძნობინეს უფროსებს, რომ სადავეების ხელში აღება სურთ. აგერ მაგალითიც: 66-ის ფინალში დავით მარგოშვილმა მოსუქებულ და ოლიმპიადამოვლილ ხერგიანს სძლია.

**ირაკლი თავაძე**

**ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი**

ტექნიკური შედეგები

60 კგ
1. ლაშა სარჯანაშვილი (საქართველო)
2. დავით ხანიშვილი (საქართველო)
3. გიორგი კურტანიძე (საქართველო)
3. სირილ სოიერი (საფრანგეთი)

66
1. დავით მარგოშვილი (საქართველო)
2. ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3. ნაზიმ სულთანოვი (აზერბაიჯანი)
3. ბესიკ ორბელაძე (საქართველო)

73
1. არჩილ ჩოხელი (საქართველო)
2. დავით ნადარაია (საქართველო)
3. ფირუზ ტყეშელაშვილი (საქართველო)
3. კრისტოფ მასინა (საფრანგეთი)

81
1. ანდრე ალარი (საფრანგეთი)
2. სედრიკ კლავესიე (საფრანგეთი)
3. ზაზა გულიაშვილი (საქართველო)
3. მერაბ თადუმაძე (საქართველო)

90
1. დევიდ ბუზუკლიანი (საფრანგეთი)
2. არამ ღარიბიანი (სომხეთი)
3. სოსო პავლიაშვილი (საქართველო)
3. გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო)

100
1. ივერი ჯიქურაული (საქართველო)
2. გისლენ ლემერი (საფრანგეთი)
3. კრისტიან ლეგარდი (საფრანგეთი)
3. გიორგი კოროხაშვილი (საქართველო)

მძიმე
1. რამაზ ჩოჩიშვილი (საქართველო)
2. ალექსი დავითაშვილი (საქართველო)
3. ზვიად ჩინჩალაძე (საქართველო)
3. ფრედერიკ ლეკანუ (საფრანგეთი)



წონამომატებულ ნესტორ ხერგიანს (თეთრ კიმონოში) თბილისური ტურნირი დავით მარგოშვილმა ასე დაასრულებინა



# დღე სასწაული და დღე შემწყნარებლობისა

კათოლიკურ ეკლესიას წმინდა წელიწადი უდგას და ამის აღსანიშნავად რომის ოლიმპიურ სტადიონზე სპორტული იუბილე გაიმართა. ხოლო სპორტი იტალიაში სხვა რაა, თუ არა ფეხბურთი. თან, დღეს 80 წლის პაპი, იოანე პავლე II ახალგაზრდობაში მეკარეობით გახლდათ გატაცებული.

იუბილე მესით დაიწყო, შემდეგ კი მოედანზე იტალიელი და ამ ქვეყანაში მოთამაშე უცხოელი ვარსკვლავები გავიდნენ. მათ ბურთაობით მიიპყრეს მორწმუნე საზოგადოებისა და პაპის მაღალი ყურადღება, ბოლოს კი მისი უწმინდესობის წინაშე წარდგომის ბედნიერება ხვდათ წილად.

აქ, სწორედ ამ მოვლენის ამსახველ ფოტოებს გთავაზობთ. ერთგან პაპი ფეხბურთის ცქერით გართულა, მეორეგან არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტასგან ბურთს იღებს საჩუქრად, ხოლო მესამეგან კათოლიკეობიდან ბუდიზმში გაქცეულ ძე ცთომილს, რობერტო ბაჯოს ბეჭედზე მთხვევის ნებას რთავს.

— ეს დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია — თქვა მოგვიანებით ბუდისტმა.



REUTERS რომიდან



REUTERS რომიდან

# კუბელი კომბლე

— აი, ავიღებ ამ კომბალს, ჩაგცხებ თავში და ნახავ, თუ [illegible] მომიწერ დოკუმენტზე ხელს. შენსავით ინტელიგენტი პოლიტიკოსი კი არ ვარ. შენ გგონია, არავისთვის არასდროს არაფერი ჩამიცხია? ჩაცხობით ვარ თუ ვარ, თორემ...

— ვერ ჩამცხობ, ვერა. მთელი სტადიონი ხალხი გვიყურებს.

ეს საუბარი, ბარკისიმეტოში ბეისბოლის მთავარ სარბიელზე რომ გაიმართა დღეს იმით დამთავრდება, რომ ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი (რომელსაც ემუქრებიან), კუბის ბელადს ფიდელ კასტროს (რომელიც ემუქრება) ხელშეკრულებას დაუდებს და ნავთობს შეღავათიან ფასში მიჰყიდის. მანამდე კი ცოტა იღლაბუცებს.







# ფერარის ზეიმი და ტრაგედია

ეს საშინლად დამსხვრეული მანქანა „ფერარია“, ოღონდ სპორტული კი არა, სამოქალაქო, რომელსაც „ფერარის“ გერმანელი პილოტი ულრიხ პლატენჰარდტი მართავდა. იგი სხვა მანქანას შეეჯახა. პლატენჰარდტი გარდაიცვალა, მეორე მძღოლი, შვეიცარიელი დანიელ კუნზლი კი საავადმყოფოშია.

ტრაგედია „ფერარელთა“ დიდი წარმატების მეორე დღეს მოხდა და ფორმულა ერთის გუნდთა ჭიდილში 21 წლის ნანატრი გამარჯვების საზეიმო ცერემონიალი ვერ ჩაშალა, თუმცა დაამწუხრა.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge